



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი  
საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა *ინგლისური ფილოლოგია,*  
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა *გერმანული ფილოლოგია,*  
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა *რომანული ფილოლოგია (ფრანგული,  
იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა),*  
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა *სლავური ფილოლოგია,*  
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა *თურქოლოგია,*  
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა *თურქოლოგია,*  
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა *ევროპული ფილოლოგია (მოდულები:  
ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია),*  
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა *(თარგმანმცოდნეობა და  
კულტურათმორისი კომუნიკაცია)*

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

20-25.11.2022

23.12.2022

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	6
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	30
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	30
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....	73
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	90
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .....	99
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	135

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245 428 158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

<b>თავმჯდომარე</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ცაგარელი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
<b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
<b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
<b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რევაზ ტაბატაძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
<b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ნარსია, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
<b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიული კატალოზიშვილი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
<b>წევრი</b> (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელისაბედ მაჩიტაძე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7	პროგრამა 8
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ინგლისური ფილოლოგია	გერმანული ფილოლოგია	რომანული ფილოლოგია (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა)	სლავური ფილოლოგია	თურქოლოგია	თურქოლოგია	ევროპული ფილოლოგია (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია)	თარგმანმცოდნეობა და კულტურათმშორისი კომუნიკაცია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი გერმანულ ფილოლოგიაში	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი რომანულ ფილოლოგიაში	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი სლავურ ფილოლოგიაში	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი თურქოლოგიაში	თურქოლოგიის მაგისტრი	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი, გერმანული ფილოლოგიის მაგისტრი, ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრი	თარგმანმცოდნეობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ენის დაუფლება 0231	ენის დაუფლება 0231	ენის დაუფლება 0231	ენის დაუფლება 0231	ენის დაუფლება 0231	ენის დაუფლება 0231	ენის დაუფლება 0231	ენის დაუფლება 0231
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის								

სწავლების უფლების მითითება <sup>1</sup>								
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240	240	240	240	120	120	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N 245, 04.11.2011	გადაწყვეტილება N 246, 04.11.2011	ახალი	ახალი	ახალი	ახალი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N 47, 12.03.2012	ახალი

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ<sup>2</sup>**

კლასტერში გაერთიანებულია რვა პროგრამა, მათ შორის ხუთი საბაკალავრო (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია, სლავური ფილოლოგია, თურქოლოგია) და სამი სამაგისტრო (თურქოლოგია, ევროპული ფილოლოგია, თარგმანმცოდნეობა და კულტურათმცოდნეობის კომუნიკაცია). ყველა მათგანი დაკავშირებულია უცხო ენის დაუფლებასთან (ვიწრო სფერო 023 *სწავლის სფეროების კლასიფიკატორში*) და უცხო ენის სწავლებასთან ერთად მოიცავს შესაბამის ენათმეცნიერულ, ლიტერატურათმცოდნეობით და რიგ შემთხვევაში ქვეყანათმცოდნეობით დისციპლინებს.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების უმეტესობა (ხუთი მათგანი) ახალია. ისინი შექმნილია უკვე არსებული ან ძველი პროგრამების დაშლის (ლინგვისტიკისა და ევროპისტიკის პროგრამების მოდულებით შეიქმნა თარგმანმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა), გაერთიანების (თურქეთისმცოდნეობისა და თურქული ფილოლოგიის პროგრამების გაერთიანებით შეიქმნა თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა), მოდიფიკაციის (ევროპისტიკის სამაგისტრო პროგრამა გადაკეთდა ევროპული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამად) ანდა გაფართოების (რუსული ფილოლოგიის პროგრამა შეივსო ორი დამატებითი სლავური ენით და გადაკეთდა სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამად; ანალოგიურად, ფრანგული ფილოლოგიის პროგრამა გაფართოვდა ესპანური და იტალიური ენებით და წარმოდგენილია რომანისტიკის საბაკალავრო პროგრამის სახით) შედეგად, რაც აისახა თითოეული მათგანის სახელწოდებებზე, მიზნებზე, შედეგებსა და სტრუქტურებზე. ეს ცვლილებები განპირობებულია, ერთი მხრივ, 2011-2012 წლებში გავლილი აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების სურვილით, მეორე მხრივ კი სწავლის სფეროების განახლებულ კლასიფიკატორთან პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფის საჭიროებით. სწორედ რეკომენდაციების გათვალისწინებით გაიზარდა არსებულ პროგრამებში თეორიული კურსებისა და არჩევითი კომპონენტის ხვედრითი წილი. ახალ პროგრამებში (მაგალითად, თურქოლოგიის პროგრამაში) კი ფილოლოგიური შემადგენლობის გაძლიერებით შესაძლებელი გახდა მათი ჩართვა უცხო ენის დაუფლების პროგრამების კლასტერში.

კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში რაოდენობრივი მონაცემების მხრივ ყველაზე უფრო დიდია ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა. მის განხორციელებაში მონაწილეობს 43 პროფესორ-მასწავლებელი, რომელთაგან 32 ბსუ-ის აფილირებული აკადემიური პერსონალის წევრია. ისინი ემსახურებიან სტუდენტთა კონტინგენტს, რომლის მოცულობაც ამჟამად არ აღემატება 350-ს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამაზე სტუდენტების მოთხოვნა ყველაზე უფრო მაღალია, რაც იმითაც დასტურდება, რომ პროგრამაზე მობილობით გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობა აღემატება გადასულ სტუდენტთა რაოდენობას, და ზოგჯერ ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის ყოველწლიურად გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას (80), შეინიშნება სტუდენტთა რაოდენობის კლება (82-62-56-49); სტუდენტთა შენარჩუნების მაჩვენებელი დაბალია საკრედიტაციოდ წარმოდგენილ დანარჩენ საბაკალავრო პროგრამებზეც.

გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართულია 29 პროფესორ-მასწავლებელი, რომელთაგან 19 არის აკადემიური პერსონალის წევრი. პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობასთან

<sup>2</sup> პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

მიმართებით სტუდენტთა რაოდენობის შეფარდება მკვეთრად არაპროპორციულია, რადგან ჩარიცხვის იდეალური მაჩვენებლების შემთხვევაშიც მათი ჯამური რაოდენობა არ აღემატება 20-ს. მსგავსი ვითარებაა რომანულ და სლავურ ფილოლოგიათა პროგრამებზეც. რომანული ფილოლოგიის პროგრამაზე 26 პროფესორ-მასწავლებელი (მათ შორის 20 აფილირებული პროფესორი), სლავური ფილოლოგიის პროგრამაზე კი 18 (მათ შორის 16 აფილირებული პროფესორი) ემსახურება დაახლოებით ოც-ოც სტუდენტს.

სტუდენტების რაოდენობის მხრივ უკეთესი მოცემულობაა თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე, რომელზეც ამჟამად დაახლოებით 50 სტუდენტი ირიცხება. პროგრამაში ჩართულია 22 პროფესორ-მასწავლებელი, რომელთაგან 14 ბსუ-ის აფილირებული პროფესორია. სხვა პროგრამებისგან განსხვავებით, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში შეიმჩნევა მოწვეული პერსონალის მატება (7).

თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ახალია, ბსუ-ში ელიან 12 მაგისტრანტის მიღებას. ამ პროგრამაში ჩართულია 11 პროფესორ-მასწავლებელი, რომელთაგან 7 აფილირებულია. მსგავსი ვითარებაა თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის პროგრამაზე, რომელზეც ელიან კონტინგენტს 20 სტუდენტის შემადგენლობით. ხოლო ევროპული ფილოლოგიის მოქმედ სამაგისტრო პროგრამაზე ირიცხება დაახლოებით 30 მაგისტრანტი, რომლებსაც ასწავლის 26 პროფესორ-მასწავლებელი (მათ შორის 20 აფილირებული). ამ პროგრამაზე თავი იჩინა როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის მცირე მატებამ (3-3).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტს წინ უსწრებდა ერსპერტთა ჯგუფის წევრების შეხვედრა, რომელიც შედგა 7 ნოემბერს ონლაინ-ფორმატში (Zoom). შეხვედრაზე ჯგუფის წევრები გაეცნენ ვიზიტის დღის წესრიგს და გაინაწილეს ფუნქციები. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების, თვითშეფასების ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი ეწვია ბსუ-ს. ოთხდღიანი ვიზიტის ფარგლებში ჯგუფის წევრები შეხვდნენ და გაესაუბრნენ პროგრამების თვითშეფასების ჯგუფს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამაში ჩართულ აკადემიურსა და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, სტუდენტებსა და კურსდრამთავრებულებს. შეხვედრებმა ჩაიარა კოლეგიალურ ატმოსფეროში. უნივერსიტეტის წარმომადგენლები კოოპერაციულად იყვნენ განწყობილნი და ცდილობდნენ, მოეწოდებინათ ყველა დამატებითი დოკუმენტი და დროულად მოეგვარებინათ აკრედიტაციის პროცესში წარმოქმნილი ყველა ტექნიკური პრობლემა. ვიზიტის მესამე დღეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებს მიეცათ შესაძლებლობა, გასცნობოდნენ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებს, მეოთხე დღეს კი მათ დაათვალიერეს პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შეამოწმეს საბიბლიოთეკო რესურსების შესაბამისობა სილაბუსში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურასთან. დამატებითი შეხვედრის დანიშვნის საჭიროება არ შექმნილა. ძალზე ინფორმაციული და სასარგებლო გამოდგა მეორე შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, რომელიც ვიზიტის ბოლო დღეს იყო დანიშნული. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო კლასტერში შემავალ პროგრამებზე დაკვირვების შედეგად გაკეთებული ძირითადი მიგნებები. ვიზიტის დასრულების შემდეგ ჯგუფის წევრებს მიეცათ სამი კვირა ანგარიშის წარსადგენად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

















- 2.1. – შეფასებულია როგორც სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- 2.2. – შეფასებულია როგორც სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- 2.3. – შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- 2.4. – შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3 - შეფასებულია როგორც სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- 3.1. – შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- 3.2. – შეფასებულია როგორც სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4 - შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- 4.1. – შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- 4.2. – შეფასებულია როგორც სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- 4.3. – შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- 4.4. – შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- 4.5. – შეფასებულია როგორც სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- სტანდარტი 5 - შეფასებულია როგორც სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- 5.1. – შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- 5.2. – შეფასებულია როგორც სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან
- 5.3. – შეფასებულია როგორც სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1. მნიშვნელოვანია, ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიისა და თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების მიზნების აღწერაში დაზუსტდეს, როგორი წვლილის შეტანა შეუძლია პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში ადგილობრივი მოცემულობის გათვალისწინებით.
2. პროგრამების მიზნების შემუშავებისას გასათვალისწინებელია შრომის ბაზრის მოთხოვნები, რომლებიც უნდა გაირკვეს კვალიფიციურად ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე.
3. ბსუ-მა უნდა აამოქმედოს პროგრამის მიზნების შემუშავების იმგვარი მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება არა მხოლოდ პროგრამების ხელმძღვანელების, არამედ აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა ამ პროცესში.
4. მნიშვნელოვანია, კლასტერში გაერთიანებული პროგრამის მიზნებში (რომანული ფილოლოგიის გარდა) აისახოს თითოეული მათგანის ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება, პოტენციური და პერსპექტივები.

5. პროგრამების სწავლის შედეგები მეტად უნდა შეესაბამებოდეს დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.
6. ბსუ-მა უნდა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში და სწავლის შედეგების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.
7. რომანულ ფილოლოგიის დარგში კვალიფიკაციის მისანიჭებლად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში თანაბარი ყურადღება და ადგილი დაეთმოს ფრანგულ, ესპანურსა და იტალიურ ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობას.
8. სლავური ფილოლოგიის პროგრამაში ფილოლოგიური კვალიფიკაციის მისანიჭებლად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში ენათმეცნიერულ კომპეტენციებთან ერთად სათანადო ყურადღება და ადგილი დაეთმოს ლიტერატურათმცოდნეობით კომპეტენციებსაც.
9. დამსაქმებლებს, სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, შეიტანონ წვლილი პროგრამის შემუშავებაში.
10. პროგრამის მოქნილობის უზრუნველსაყოფად და სტუდენტთა წინარეცოდნის გასათვალისწინებლად საჭიროა ენის პრაქტიკულ კურსებს მიენიჭოს არჩევითი სტატუსი.
11. ენის შესწავლის დაწყებამდე მნიშვნელოვანია, სტუდენტებს ჩაუტარდეთ ტესტირება ენის ცოდნის დონის დასადგენად, რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს ენის შესწავლა შესაბამისი საფეხურიდან.
12. ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან
13. აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
14. გადაიხედოს და მოდიფიცირდეს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო გეგმა ინგლისური ენის ინტეგრირებულ კურსებთან დაკავშირებით; სტუდენტები განაწილდნენ ჯგუფებში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე ინგლისურ ენაში, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს, სწავლა დაიწყოს ინგლისური ენის იმ დონიდან, რომელიც შესაბამისი იქნება მის ენობრივ კომპეტენციასთან;
15. გადაიხედოს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო გეგმა (კურიკულუმი) დადგინდეს საგნებისათვის წინაპირობები და, რიგ შემთხვევაში, მოხდეს მათი მოდიფიკაცია.
16. გერმანული ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან
17. აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად გერმანული ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
18. გერმანული ფილოლოგიის პროგრამაში გადაიხედოს და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსისთვის წინაპირობები.



19. რომანული ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან
20. აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად რომანული ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
21. რომანული ფილოლოგიის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა, „ძირითადი სპეციალობის“ ფარგლებში თანაბარი ადგილი დაეთმოს სხვადასხვა რომანულ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებულ თეორიულსა და პრაქტიკულ კურსებს, რისთვისაც შეიძლება გამოსადეგი აღმოჩნდეს კურიკულუმში არჩევითი მოდულების გამოყოფა.
22. სლავური ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან
23. აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად სლავური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
24. სლავური ფილოლოგიის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა, „ძირითადი სპეციალობის“ ფარგლებში თანაბარი ადგილი დაეთმოს სხვადასხვა სლავურ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებულ კურსებს და თანაბარი დატვირთვითა და მოცულობით ისწავლებოდეს ყველა სლავური ენა.
25. მნიშვნელოვანია, რომ სლავური ფილოლოგიის პროგრამაში სავალდებულო კურსეზე/საგნებზე დაშვების წინაპირობა იყოს დასამუშავებელი ლიტერატურისა და კურსის ასათვისებლად საჭირო წინარეცოდნის ადეკვატური.
26. თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან
27. აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
28. მნიშვნელოვანია, თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში სავალდებულო სტატუსით დაემატოს კურსები, რომლებითაც სტუდენტები დაეუფლებიან კვლევითი მიდგომებსა (კვლევის მეთოდები) და კვლევის ტექნიკებს / დიზაინს (აკადემიური წერა).
29. მნიშვნელოვანია, ევროპული ფილოლოგიის პროგრამაში სავალდებულო სტატუსით დაემატოს კურსები, რომლებითაც სტუდენტები დაეუფლებიან კვლევითი მიდგომებსა (კვლევის მეთოდები) და კვლევის ტექნიკებს / დიზაინს (აკადემიური წერა).
30. ევროპული ფილოლოგიის პროგრამაში დაცული უნდა იყოს ბალანსი ლიტერატურათმცოდნეობით და ენათმეცნიერულ კომპონენტებს შორის, რისთვისაც შეიძლება გამოსადეგი აღმოჩნდეს კურიკულუმში არჩევითი მოდულების გამოყოფა.

31. მნიშვნელოვანია, თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის პროგრამაში სავალდებულო სტატუსით დაემატოს კურსები, რომლებითაც სტუდენტები დაეუფლებიან კვლევითი მიდგომებსა (კვლევის მეთოდები) და კვლევის ტექნიკებს / დიზაინს (აკადემიური წერა).
32. თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, დაცული იყოს ბალანსი თეორიულ (ზოგად თარგმანმცოდნეობით) და პრაქტიკულ (დარგობრივი და ლიტერატურული თარგმანი შესაბამისი ენიდან) კომპონენტებს შორის.
33. ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით და პროგრამებში ფუნქციური დუბლირებების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია, გაიზარდოს ენის კურსებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების რაოდენობა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე (თითო ქვესაფეხურის დასაძლევლად საკონტაქტო საათების მინიმალური რაოდენობა არ უნდა იყოს კვირაში 6-8 საათზე ნაკლები).
34. ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის კურსებისთვის ლექტორის/კურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი „რიდერები“ განთავსდეს უნივერსიტეტის ბილიოთეკაში.
35. გერმანული ფილოლოგიის პროგრამის კურსებისთვის ლექტორის/კურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი „რიდერები“ განთავსდეს უნივერსიტეტის ბილიოთეკაში.
36. სლავური ფილოლოგიის პროგრამაში თითოეული სასწავლო კურსი უნდა გადაიხედოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი შინაარსისა და სწავლის შედეგების ურთიერთშესაბამისობა.
37. სლავური ფილოლოგიის პროგრამაში თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა უნდა განისაზღვროს ამ კურსის შინაარსითა და ინდივიდუალური სპეციფიკით.
38. სლავური ფილოლოგიის პროგრამაში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა უნდა იყოს ადეკვატური და შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის ინდივიდუალურ (!) სპეციფიკას.
39. სლავური ფილოლოგიის პროგრამაში სწავლის შედეგებთან სასწავლო მასალის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, სილაბუსებში სამეცნიერო წყაროებთან ერთად მითითებული იყოს დაკვირვების ობიექტად გამოსადეგი პირველადი წყაროებიც / საკვლევი ტექსტებიც.
40. უსდ-ს ბიბლიოთეკაში განთავსდეს თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა.
41. თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსის სათაური შესაბამისი იყოს მის შინაარსთან (დასათაურდეს როგორც „თურქული ენების ისტორია“ და არა „თურქული ენის ისტორია“).
42. ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების კურსების ძირითადი ევროპული ფილოლოგიის პროგრამაში გამდიდრდეს ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების კურსების ძირითადი ლიტერატურის ნაწილი;
43. ევროპული ფილოლოგიის პროგრამაში სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ ინტეგრირდეს სასპეციალიზაციო მოდულების ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების ნაწილში, ასევე გადაიხედოს სასწავლო ლიტერატურა და კურსს გაუძღვეს შესაბამისი დარგის სპეციალისტი;
44. ევროპული ფილოლოგიის პროგრამისთვის ლექტორის/კურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი

„რიდერები“ განთავსდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

45. თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმშორისი კომუნიკაციის პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირდეს სასწავლო ლიტერატურა სასპეციალიზაციო ენების შესაბამისად, ასევე გადაიხედოს და კურსს გაუძღვეს შესაბამისი დარგის სპეციალისტი;
46. თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმშორისი კომუნიკაციის პროგრამაში ლექტორის/კურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი „რიდერები“ განთავსდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
47. მნიშვნელოვანია, პროფესორ-მასწავლებლებს მიეცეთ შესაძლებლობა, თვითონ განსაზღვრონ სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები თავიანთი კურსებისთვის ამ უკანასკნელთა მიზნების, შინაარსისა და მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით.
48. სწავლება-სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, სწავლება წარიმართოს სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რომლებითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტების აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში.
49. ბსუ-მა უნდა იზრუნოს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური პროგრამების შემუშავების პრაქტიკის დანერგვაზე.
50. ბსუ-მა უნდა უზრუნველჰქოს, რომ პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლები იცნობდნენ და იყენებდნენ ელექტრონული სწავლების მეთოდებსა და ხელსაწყოებს.
51. პროგრამაში უნდა დაიშვას შეფასების მეთოდებისა და კომპონენტების მრავალფეროვნება, რათა შესაძლებელი იყოს სწავლის თითოეული შედეგის შეფასება სასწავლო კურსის ინდივიდუალური სპეციფიკის გათვალისწინებით.
52. ბსუ-მა უნდა უზრუნველჰქოს, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები იწერებოდეს ქართულ ენაზე.
53. მნიშვნელოვანია, შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ სამეცნიერო ბაზების გაცნობა სტუდენტებისათვის და მათი გამოყენების ინსტრუქციის მიწოდება კვლევითი პროცესების გაუმჯობესების მიზნით;
54. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალზე დაკისრებული პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მოვალეობების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, შემცირდეს პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვა იმგვარად, რომ მათ რჩებოდეთ დრო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის.
55. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველსაყოფად შესაბამისი რაოდენობის აკადემიური პერსონალით მნიშვნელოვანია, ბსუ-ში მოქმედებდეს აკადემიური პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის უფრო კონკრეტული მეთოდოლოგია, რომელიც აისახება შესაბამის წესში და რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება, თითოეულ პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელ და პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე აფილირებულ პროფესორთა რაოდენობა დაიგეგმოს სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად.
56. პროგრამის მდგრადობის ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, ბსუ-მა სისტემატურად შეისწავლოს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებლები, გააანალიზოს ისინი და ანალიზის შედეგები გამოიყენოს პროგრამის მდგრადობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

57. მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ჩართული იყონ სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამების შეფასების პროცესში იმგვარად, რომ მათ მიერ თავიანთ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები ნაკარნახევი იყოს პროგრამების შეფასების ანალიზის შედეგებით.
58. გერმანული ფილოლოგიის პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ მასში ლიტერატურათმცოდნეობითი და ენათმეცნიერული კომპონენტების განხორციელებაში ჩართული იყოს მეტი აფილირებული პროფესორი.
59. რომანული ფილოლოგიის პროგრამაში სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სამივე რომანული (ფრანგული, ესპანური და იტალიური) ენისა და ლიტერატურის მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი. ბალანსი დაცული უნდა იყოს როგორც სამივე ფილოლოგიის წარმომადგენელთა შორის, ისე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის.
60. სლავური ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სამივე სლავური (რუსული, პოლონური და უკრაინული) ენისა და ლიტერატურის მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი. ბალანსი დაცული უნდა იყოს როგორც სამივე ფილოლოგიის წარმომადგენელთა შორის, ისე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის.
61. ევროპული ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სამივე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ფილოლოგიის მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი. ბალანსი დაცული უნდა იყოს როგორც სამივე ფილოლოგიის წარმომადგენელთა შორის, ისე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის.
62. თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში ჩართული იყოს აფილირებული პერსონალი, რომლის კომპეტენციებიც უკავშირდება ლიტერატურულსა და დარგობრივ თარგმანს. დაცული უნდა იყოს ბალანსი ინგლისურ-ქართული, გერმანულ-ფრანგული, ფრანგულ-ქართული და რუსულ-ქართული თარგმანის სპეციალისტებს შორის.
63. მნიშვნელოვანია, აკადემიური პერსონალის შეფასება და კმაყოფილების კვლევა განხორციელდეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სამუშაო ჯგუფის მიერ იმგვარად, რომ წარმოჩნდეს პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კონკრეტული საჭიროებები.
64. კვლევის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად საჭიროა, შემცირდეს პროფესორთა აკადემიური დატვირთვა, მათთვის გამოიყოს სამუშაო სივრცე (კაბინეტები კომპიუტერული აღჭურვილობით) და მათ მიეცეთ შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად ისარგებლონ ხანგრძლივი (რამდენიმეთვიანი, ერთსემესტრიანი) აკადემიური მივლინებებით (ინგლ. sabbatical).
65. ბსუ-მა უნდა უზრუნველჰყოს თავისი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ შეძლონ, ჯეროვნად გაუძღვენ სასწავლო პროცესს ონლაინ-ფორმატში.

66. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები მიღწევის უზრუნველსაყოფად ბსუ-ის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს და საერთო ონლაინ-კატალოგში უნდა იმეზნებოდეს სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო წყარო და სხვა სასწავლო მასალა.
67. იმისთვის, რათა ენის დაუფლების სფეროსთან დაკავშირებული ახალი და უახლესი სამეცნიერო კვლევის შედეგები გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად, ბსუ-მა უნდა უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება მათთვის ხელმისაწვდომი თანამედროვე სამეცნიერო პერიოდული გამოცემების, ციფრული რესურსებისა და საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ.
68. გადამუშავდეს *საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი*, სადაც აისახება კლასტერული აკრედიტაციის ჩარჩოში წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესები, პროცედურები და თანმხლები დოკუმენტები.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

1. ბსუ-მა უნდა უზრუნველყოს ყველა ახალი (რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო, სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო, თურქოლოგიის სამაგისტრო, თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმშორისი კომუნიკაციის სამაგისტრო) პროგრამის საჯარო ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის.
2. სასურველია, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებში აისახოს თურქულენოვანი ქვეყნების შესწავლაც.
3. საჭიროა, (კურიკულუმებში ან თვითშეფასების ანგარიშში მაინც) გამოიკვეთოს, რამდენადაა კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების ურთიერთმიმართება დამყარებული თანმიმდევრული გართულების პრინციპზე, რათა აშკარა იყოს, საბაკალავრო საფეხურის რომელ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს „დაშენდება“ სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი კომპეტენციები.
4. მიზნების აღწერაში თანაბარი ყურადღება და ადგილი დაეთმოს ევროპული ფილოლოგიის პროგრამით გათვალისწინებულ სამივე ევროპულ (ინგლისურ, გერმანულსა და ფრანგულ) ენას.
5. სასურველია, გადაიხედოს და შინაარსობრივად დაზუსტდეს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების რუკები.
6. სასურველია, სწავლის შედეგების მინიმალური ზღვრების დადგენა ძველ პროგრამებზე მოხდეს სწავლის შედეგების ანალიზის საფუძველზე, ხოლო ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში მსგავსი პროგრამების სწავლის შედეგების ანალიზი და დარგობრივი გამოცდილება იქნას მხედველობაში მიღებული.
7. სასურველია, სასწავლო გეგმებში კურსები დაჯგუფდეს თემატური ან რაიმე სხვა ლოგიკური პრინციპით. მიზანშეწონილი ჩანს ასევე მოდულარული პრინციპის ამოქმედებაც, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, არჩევითი მოდულის ფარგლებში გაიღრმავონ კომპეტენციები მათთვის სასურველი (ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ისტორიის, ქვეყანათმცოდნეობის...) მიმართულებით.

8. სასურველია, პროგრამების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება მათში უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების ჩართვით.
9. მნიშვნელოვანია, გერმანული ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში შექმნილი საბაკალავრო ნაშრომები ეფუძნებოდეს თანამედროვე ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნიერო სტატიებს და სხვა)
10. სლავური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურა შეიძლება აიწყოს მოდულურული პრინციპით (რუსისტიკის, პოლონისტიკისა და უკრაინისტიკის სავალდებულო-არჩევითი მოდულები). თითოეულ მოდულში ენის კურსებთან ერთად მოექცეოდა შესაბამისი ქვეყნის ლიტერატურისა და ქვეყანათმცოდნეობის კურსები, ასევე თარგმანთან, ფუნქციურ სტილისტიკასა და დარგობრივ ენებთან დაკავშირებული გამოყენებითი კურსები.
11. სწავლის შედეგების მისაღწევად სავსებით საკმარისი იქნებოდა, სლავური ფილოლოგიის პროგრამაში თითო ან ორ-ორი მსხვილი (5-6-კრედიტიანი) კურსი დათმობოდა თითოეულ სლავურ ენაზე შექმნილ ლიტერატურასა და სლავური ენების შედარებითი ენათმეცნიერული კვლევის საკითხებს.
12. სასურველია, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაეცნონ დარგობრივ ტექსტებს და ფლობდნენ სათანადო ლექსიკას, რაც დაეხმარებათ დასაქმებაში.
13. სასურველია, თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები დამსაქმებლები და გაითვალისწინონ მათი რეკომენდაციები, რაც გაამარტივებს კურსდამთავრებულთა დასაქმებას.
14. სასურველია, უნივერსიტეტმა შესთავაზოს ევროპული ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტებს საგნების ფართო არჩევანი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსების (ყველა სასპეციალიზაციო მოდულისთვის) ფარგლებში;
15. თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმშორისი კომუნიკაციის პროგრამის სასწავლო გეგმა შესაძლებელია მოდულარული პრინციპით მოდიფიცირდეს (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული სასპეციალიზაციო ენის მოდულები). თითოეულ მოდულში ინტეგრირდეს პრაქტიკული სასწავლო კურსები კონკრეტული ენიდან თარგმანში, ასევე დარგობრივ თარგმანთან დაკავშირებული პრაქტიკული სასწავლო კურსები.
16. უნივერსიტეტმა შესთავაზოს თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმშორისი კომუნიკაციის პროგრამის სტუდენტებს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსების ფართო არჩევანი მის მიერ არჩეული ენობრივი სპეციალიზაციის ფარგლებში;
17. სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ყოველკვირეული სასწავლო მასალა გვერდების მითითებით.
18. გამდიდრდეს ინგლისური ენის ინტეგრირებული კურსების ძირითადი ლიტერატურის ნაწილი ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში.
19. განახლდეს გერმანული ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურის ნაწილი;
20. გამდიდრდეს ფრანგული ენების კურსების ლიტერატურის ნაწილი, თუნდაც დამატებითი ლიტერატურის სახით.
21. სასურველია, სლავური ფილოლოგიის თეორიული კურსების შემთხვევაში გამოიყოს მეტი დრო დამოუკიდებელი მუშაობისთვის, რაც უნდა აისახოს მათთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობაზეც.

22. პროგრამაში, რომელსაც სლავისტიკის პროფილი აქვს, უნდა გამოიყენებოდეს არა მხოლოდ რუსულენოვანი, არამედ სხვა (სლავურ) ენებზე შექმნილი სამეცნიერო წყაროებიც.
23. თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში სალექციო თემები მიეთითოს ქართულ ენაზე.
24. თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილ სილაბუსებში გადაიხედოს და განახლდეს ლიტერატურა.
25. სასურველია, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში მეტი ყურადღება დაეთმოს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას.
26. სასურველია, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ყურადღება გამახვილდეს დარგობრივ ტექსტებზე.
27. თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში სალექციო თემები მიეთითოს ქართულ ენაზე;
28. სასურველია, თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში განახლდეს ლიტერატურა და გამოყენებული იყოს ქართველი ავტორების უახლესი ნაშრომები.
29. ევროპული ფილოლოგიის პროგრამაში გამდიდრდეს ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების კურსების ძირითადი ლიტერატურის ნაწილი;
30. სასურველია, კომპიუტერულ ტექნოლოგიების და პარალელური კორპუსების ინტეგრირება თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში;
31. თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის პროგრამაში გამდიდრდეს ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენების კურსების ძირითადი ლიტერატურის ნაწილი;
32. სასურველია, სლავური ფილოლოგიის პროგრამაზე მისაღები სტუდენტების გაზრდილი კონტინგენტი შენარჩუნდეს ან კიდევ უფრო გაიზარდოს პროგრამის გაფართოების გათვალისწინებით.
33. თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს უცხო ენის ფლობა B2-დონეზე.
34. უნივერსიტეტმა/დეპარტამენტმა სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლასთან, ენების ცენტრთან თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან უნდა გააფორმოს მემორანდუმები, რომლებშიც განსაზღვრული იქნება თანამშრომლობის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.
35. სწავლის შედეგების მიღწევის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია მოხდეს პროგრამის სილაბუსებით გაწერილი სასემინარო აქტივობების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გამრავალფეროვნება. აღნიშნული შეფასების მეთოდები შეირჩეს სასწავლო კურსის მიზნების, შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდების, შინაარსისა და რეალური პროცესების გათვალისწინებით და სილაბუსებში გაიწეროს შერჩეული შეფასების მეთოდების დეტალური კრიტერიუმები.
36. აკადემიურ პერსონალს, განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალს შესაბამისი სამსახურის მიერ ჩაუტარდეს პერიოდულად კონსულტაციები შეფასების სისტემის არსებული გაიდლაინებისა და შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებული ახალი სტანდარტებისა და წესების გაცნობის მიზნით.

37. სასურველია ინტერნაციონალიზაციის პროცესების ხელშეწყობის მიზნით გაცვლით პროგრამებში საბაკალავრო საფეხურის სტუდენტთა აქტიურად ჩართვის ხელშეწყობა და საორგანიზაციო პროცედურებზე პასუხისმგებელი შესაბამისი მხარდამჭერი სამსახურების აქტივობის გაძლიერება;
38. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუსავების ხელშეწყობის მიზნით სასურველია უცხოელი მოწვეული ლექტორების (native speakers) სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა;
39. მნიშვნელოვანია, განხორციელდეს სტუდენტურ კონფერენციებში საბაკალავრო პროგრამების სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა და მხარდაჭერა;
40. სასურველია, კონსულტაციები ტარდებოდეს ნაკლებად ფორმალიზებული სახით (ბრძანებისა და ცხრილის გარეშე) და კონსულტაციების ჩასატარებლად თითოეული პროფესორისთვის გამოყოფილი იყოს ინდივიდუალური ან საზიარო სამუშაო სივრცე.
41. სასურველია, პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვები არ იყოს ასე განსხვავებული ერთმანეთისგან და მეტად შეესაბამებოდეს საუნივერსიტეტო წესის მიხედვით განსაზღვრულ დატვირთვის სქემას.
42. სასურველია, აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი რაოდენობრივი მაჩვენებლები უფრო ზუსტი იყოს, სახელდობრ, სტუდენტების რაოდენობა დაანგარიშებული უნდა იყოს არა ჰიპოტეტური/სასურველი რაოდენობების, არამედ რეალური რაოდენობების გათვალისწინებით, ხოლო აკადემიური პერსონალის რაოდენობრივ მაჩვენებლებში უნდა აისახოს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი, რომელსაც პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი აქვს.
43. სასურველია, ბსუ-ის ადმინისტრაციას ჰქონდეს ხედავ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებში აკადემიური პერსონალის ახალი კადრებით შევსების / ახალგაზრდა პროფესორთა დასაქმების სიხშირის შესახებ.
44. სასურველია, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალის რესურსი არ იხარჯებოდეს ენის პრაქტიკული კურსების სწავლებაზე.
45. სასურველია, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე დაცული იყოს რაოდენობრივი ბალანსი ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების პროფესორებს შორის, რათა სტუდენტებს არ ჰქონდეთ შეზღუდვა თავიანთი საბაკალავრო ნაშრომებისთვის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევისას.
46. სასურველია, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალის რესურსი არ იხარჯებოდეს ენის პრაქტიკული კურსების სწავლებაზე.
47. იმისთვის, რათა აკადემიური პერსონალისთვის ტრეინინგების გავლა არ გამოდგეს უშედეგო, სასურველია ბსუ-ს ჰქონდეს ტრეინინგის შედეგად სასწავლო პროცესში განხორციელებული ცვლილებების მონიტორინგისა (და საჭიროების შემთხვევაში — წახალისების) მექანიზმი.
48. სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით სასურველია, ტრადიციული ტიპის აუდიტორიებთან ერთად ენის სწავლების სფეროს საგანმანათლებლო პროგრამისთვის მოიპოვებოდეს სასემინარო ტიპის აუდიტორიები მერხების წრიული განლაგებით.
49. სასურველია, კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახები თავისუფლად ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისა და პერსონალისთვის.



50. სასურველია, მცირეშემოსავლიანი / წამგებიანი პროგრამების ფინანსური მდგრადობის შესანარჩუნებლად ბსუ-ის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს შემოსავლის ალტერნატიულ წყაროებზე დამყარებული სტრატეგია.
51. თითოეული პროგრამის ბიუჯეტის გასაანალიზებლად უფრო სასარგებლო იქნება, თუ მოქმედი პროგრამების შემთხვევაში სამომავლოდ წარმოდგენილი იქნება არა ბიუჯეტის სასურველი, არამედ რეალური ვარიანტი.
52. თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში უნდა აისახოს სრული აკადემიური პერსონალის სახელფასო ხარჯი.
53. თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში უნდა აისახოს სრული აკადემიური პერსონალის სახელფასო ხარჯი.
54. რეგულარულად მომზადდეს ვორკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ, შიდა ხარისხის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით.
55. სასურველია გაფართოვდეს გარეშეფასების არეალი და განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უცხოელ დარგის ექსპერტთა მიერ.
56. სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც ასევე გაითვალისწინებდა კალსტერული აკრედიტაციის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

არგუმენტირებულ პოზიციაში რეკომენდაციების რჩევებად გადაკეთების მოთხოვნა ძირითადად დასაბუთებულია იმით, რომ დაწესებულებას აქვს ესა-თუ-ის წესი. თუმცა აკრედიტაციის პროცესში ყურადღება მახვილდება არა მხოლოდ წესებზე, არამედ ამ წესების განსახორციელებლად არსებულ რესურსებსა და მექანიზმებზე, რომლებიც მოწმდება დაკვირვებით პრაქტიკაზე. ინტერვიუები ემსახურება სწორედ ამ პრაქტიკების არსებობის შემოწმებას. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები უმეტესად სწორედ ამ პრაქტიკებს ეხება და არა წესებს. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ წესების არსებობა არ არის საკმარისი პროგრამების განსახორციელებლად. მნიშვნელოვანია, რომ წესები სრულდებოდეს პრაქტიკაში. ამასთან, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი დასკვნაზე მუშაობისას ხელმძღვანელობდა აკრედიტაციის სტანდარტებით. მაგალითად, პროგრამის მიზნებისა და შედეგების განვითარებაში ჩართულობა და მათი გაზიარება დაინტერესებული პირების მიერ უნდა დადასტურდეს ინტერვიუებში. როდესაც ინტერვიუებში აშკარავდება, რომ დაინტერესებული პირები საერთოდ არ იცნობენ არც მიზნებს და არც შედეგებს (რაკი არ შეუძლიათ დაასახელონ პროგრამის არც ერთი მიზანი ან შედეგი, რომელიც მათთვის იქნებოდა მნიშვნელოვანი), ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მათ არ მიუღიათ მონაწილეობა მიზნებისა და

შედეგების შემუშავების პროცესში. ამ მოცემულობას ვერ შეცვლის ვერც გამოკითხვის მასალები, ვერც სამუშაო ჯგუფების შეხვედრის ოქმები და ვერც ის ცვლილებები, რომლებიც კონკრეტული კურსების დამატების სახით განხორციელდა პროგრამაში სტუდენტთა და დამსაქმებელთა მოთხოვნების საფუძველზე. რაკი რეკომენდაციები სტანდარტთან შეუსაბამობით არის ნაკარნახევი, მათი გადაკეთება რჩევად ვერ მოხერხდება.

არსებული წესების არაქმედითობისა და არსებული რესურსების გამოუყენებლობის (ან არაადეკვატურად გამოყენების) მაგალითებად გამოდგება ასევე შემდეგი გარემოებები:

- უნივერსიტეტში არის წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე, მაგრამ მათი გამოყენება არ დასტურდება არც ინტერვიუებში და არც წარმოდგენილ ნაშრომებში;
- უნივერსიტეტში მოიპოვება რეგულაცია აკადემიური პერსონალის პედაგოგიური დატვირთვის შესახებ, თუმცა როგორც აღმოჩნდა, არაერთი პროფესორის რეალური დატვირთვა მნიშვნელოვნად აღემატება ამ წესით განსაზღვრულ წლიურ დატვირთვას, რის გამოც პრობლემური ხდება მათი ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.
- უნივერსიტეტი ზღუდავს პერსონალის აკადემიური მობილობის ხანგრძლივობას ერთ-ერთი რეგულაციის საფუძველზე, რაც ასევე უარყოფითად აისახება პროფესორთა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე.
- უნივერსიტეტს აქვს პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი, თუმცა კლასტერში წარმოდგენილ მრავალენოვან პროგრამებში თავს იჩენს კურსების ზოგი ახალი (პოლონურ, უკრაინულ, იტალიურ, ესპანურ ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობასთან დაკავშირებულ, ასევე სხვადასხვა ენიდან თარგმნასთან დაკავშირებული) ბლოკის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენციების მქონე აფილირებულ პროფესორთა აშკარა სიმწირე.
- უნივერსიტეტში მოქმედებს პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების წესი, მაგრამ არც ინტერვიუებითა და არც წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება პერსონალის კონკრეტული საჭიროებების გარკვევის შედეგად ტრენინგების დაგეგმვის შემთხვევები.

რჩევად ვერ გადაკეთდება ასევე რეკომენდაცია ენის ცოდნის დონის დასადგენად ტესტის ჩატარებასა და ენის კურსებისთვის არჩევითი სტატუსის მინიჭების შესახებ, რადგან ზოგ პროგრამაზე ირიცხებიან სტუდენტები, რომლებსაც უკვე აქვთ შესაბამისი ენის გარკვეული წინარეცოდნა და პროგრამის ხისტი სტრუქტურის გამო ისინი იძულებული არიან, გაიარონ იმ დონის კურსები, რომლებიც მათ არ სჭირდებათ. ამგვარმა შემთხვევებმა შეიძლება თავი იჩინოს სხვა პროგრამებშიც. იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტში შესაბამისი წესის არსებობის მიუხედავად ფაქტობრივად არ გვხვდება ინდივიდუალური პროგრამების შექმნის პრაქტიკა და ამ შესაძლებლობის შესახებ არც სტუდენტები არიან ინფორმირებული, საჭიროდ მიგვაჩნია, ამ შენიშვნამ შეინარჩუნოს დამავალდებულებელი სტატუსი.

განსაკუთრებით სადავო გამოდგა პროგრამების სტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები. მიგვაჩნია, რომ 1. ზოგადი ჰუმანიტარული კომპეტენციის განმავითარებელი კურსები უნდა მოექცეს სწავლის ძირითადი სფეროს გარეთ (ზოგადი, საფაკულტეტო ან სხვა სახის მოდულის სახით); 2. არჩევითი კომპონენტი (არჩევითი კურსების სახით) აუცილებლად უნდა გამოიყოს ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებშიც (ამას გვახსენებდნენ ავტორიზაციის სტანდარტი, ESG, აკადემიური თავისუფლების ზოგადი პრინციპებიც და ამგვარი მოცემულობა გვხვდება ყველა დასავლურ ანალოგშიც); 3. დაუშვებელია, მრავალენოვან პროგრამაში უპირატესობა ენიჭებოდეს ერთ-ერთ ენასა და მასთან დაკავშირებულ თეორიულ კურსებს დანარჩენების უგულვებელყოფის ხარჯზე; 4. ბალანსი ლიტერატურათმცოდნეობითა და ენათმეცნიერულ კურსებს შორის დაცული უნდა იყოს სავალდებულო კურსების ბლოკის ფარგლებშიც

(და არა არჩევითი კურსების ხარჯზე), თუ პროგრამა ფილოლოგიის კვალიფიკაციას ანიჭებს სტუდენტს; 5. პრაქტიკული და პრაქტიკაზე ორიენტირებული კურსები (მაგალითად, უცხო ენის სწავლების მეთოდის ან თარგმანის) უნდა ისწავლებოდეს შესაბამისი ენების სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაბამისი ენის სპეციალისტის ჩართულობით, რისთვისაც მიზანშეწონილია მრავალენოვან პროგრამებში გამოიყოს ცალ-ცალკე მოდულები (მაგალითად, ინგლისურ-ქართული თარგმანის, გერმანულ-ქართული თარგმანის და ა.შ.), რომელთა ფარგლებშიც შეთავაზებული იქნება შესაბამის ენასთან დაკავშირებული კურსები; 6. თეორიული კურსების შემთხვევაში საკონტაქტო საათების რაოდენობა უნდა იყოს მინიმალური, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი დრო დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად.

ასევე პრინციპული მნიშვნელობის მქონეა სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდებისა (აქტიური სწავლის ტექნიკები, ამობრუნებული გაკვეთილის მოდელი, პრობლემაზე/პროექტზე დაფუძნებული სწავლა, შერეული სწავლა, სწავლა თამაშით და სხვა) და სტუდენტზე ცენტრირებული მიდგომების გამოყენება სწავლის ისეთი შედეგების მისაღწევად, როგორებიცაა სინთეზის, ანალიზის, შეფასებისა და წარმოების/შექმნის უნარები. არანაკლებად მნიშვნელოვანია ის, რომ უნივერსიტეტში უნდა მოიპოვებოდეს ერთიანი საბიბლიოთეკო კატალოგი, რომელშიც იძებნება ყველა კურსის რიდერი და სხვა სასწავლო ლიტერატურა.

ექსპერტთა დასკვნაში გვხვდება რამდენიმე უზუსტობა, რომლებიც განპირობებულია აკრედიტაციის კლასტერული ფორმატით. სახელდობრ, სამ პროგრამასთან დაკავშირებული ხარვეზი განზოგადდა მთლიან კლასტერზე. ამგვარი განზოგადებები აღმოიფხვრა და შესაბამისი პროგრამების სახელწოდებები დაზუსტდა დასკვნის საბოლოო ვარიანტში. ზოგი რეკომენდაცია კი დაზუსტდა გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით.

არგუმენტირებულ პოზიციაში მოცემული ზოგი შენიშვნა გავითვალისწინეთ და რამდენიმე რეკომენდაცია გადაკეთდა რჩევად, რაკი წარმოდგენილი არგუმენტები დამაჯერებლად მოგვეჩვენა. მაგალითად, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების ურთიერთმიმართების შესახებ რაიმე სახის მსჯელობა არ გვხვდება არც თვითშეფასების ანგარიშში და არც კურიკულუმებში. თუმცა ის, რომ სხვადასხვა საფეხურის პროგრამების სწავლის შედეგები დამყარებულია თანმიმდევრული გართულების პრინციპზე აშკარა ხდება, თუ სასწავლო გეგმებსა და კურსებს დავაკვირდებით. ამრიგად, შესაძლებლად მივიჩნით, ეს რეკომენდაცია გადაკეთებულიყო რჩევად, რომელსაც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი გაითვალისწინებს სამომავლოდ. დასკვნის საბოლოო ვარიანტში დარჩა 68 რეკომენდაცია და 56 რჩევა.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება<sup>3</sup>
2. კლასტერული შეფასება<sup>4</sup>

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები
<b>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
<b>3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</b>	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
<b>4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</b>	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური

<sup>3</sup> შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

<sup>4</sup> შეფასების მიდგომები: **საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
<b>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

##### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

##### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

##### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ის მიერ აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი პროგრამების მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, უმეტესწილად რეალისტური და მიღწევადია პროგრამის სასწავლო გეგმისა (კურიკულუმის) და პროგრამით დადგენილი სწავლა-სწავლების მეთოდების მეშვეობით. მათში გათვალისწინებულია სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა (კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს VI-VII დონეების აღმწერების) და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებები. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნებში ასახულია, როგორი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები ექნება კურსდამთავრებულს, მაგრამ რამდენიმე საბაკალავრო პროგრამაში (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, თურქოლოგია) უგულვებელყოფილია, როგორი წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამების მიზნების შესაბამისობა ბსუ-ის მისიასთან მეტნაკლებად აშკარაა კლასტერში გაერთიანებულ ყველა პროგრამაში. თუმცა ბუნდოვანი რჩება, რამდენად იყო შრომის ბაზრის მოთხოვნები გათვალისწინებული პროგრამის მიზნების შემუშავებისას. მაგალითად, დასაქმების ბაზრის კვლევის ანალიზის შედეგად არაერთი პროგრამის შემთხვევაში გამოვლინდა, რომ პოტენციურ დამსაქმებლებს აქვთ სურვილი, უსდ-მ უზრუნველჰყოფს სასწავლო პრაქტიკა, თუმცა პროგრამებში ამ ეტაპზე პრაქტიკის კომპონენტი გათვალისწინებული არაა და დამსაქმებელთა ეს მოთხოვნა არც პროგრამების მიზნებშია გათვალისწინებული. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული პროგრამისთვის გამოიკითხა ათამდე ან მეტი დამსაქმებელი, კითხვარი აშკარად მიმართული იყო უკვე დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ცოდნისა და უნარების შესაფასებლად და არა იმის გასარკვევად, რამდენად შეესაბამება პროგრამის მიზნები შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამებში ასევე არაფერია ნახსენები მათი ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივებისა და პოტენციალის შესახებ. მართალია, ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამებში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს საერთაშორისო თანამშრომლობა არა ერთ უნივერსიტეტთან საზღვარგარეთ, არის აკადემიური

მობილობისა და სეზონურ სკოლებში, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის გამოცდილებაც, ზოგ (მაგალითად, სლავური ფილოლოგიისა და თურქოლოგიის) პროგრამაში ჩართული უცხოელი მასწავლებელიც, მაგრამ ინტერნაციონალიზაციის ამგვარი ასპექტები არ ასახულა პროგრამის მიზნების აღწერაში (ამ მხრივაც გამონაკლისი რომანული ფილოლოგიის პროგრამა).

ყველა მოქმედი პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომია ინგლისურსა და ქართულ ენებზე უნივერსიტეტის ვებგვერდზე — <https://www.bsu.edu.ge/>, ხოლო ახალი პროგრამები სავარაუდოდ განთავსდება საუნივერსიტეტო ვებ-გვერდზე აკრედიტაციის გავლის შემდეგ. პროგრამების მიზნები აშკარად გაზიარებულია პროგრამის ხელმძღვანელების მიერ, რაკი სწორედ მათ იმუშავებს პროგრამების შემუშავებაზე, თუმცა სხვა დაინტერესებულ პირთა (პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა, დამსაქმებელთა) მიერ პროგრამის საერთო მიზნების გაცნობიერება ინტერვიუებით არ დადასტურებულა.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

ითვალისწინებს რა უნივერსიტეტის მისიას, ფაკულტეტის დებულებასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას, პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტის მომზადებას.

ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა სტუდენტს სთავაზობს თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების სინთეზს; პროგრამა მოიცავს ინგლისური ფილოლოგიის დარგში სათანადო ცოდნის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს და მათი შინაარსი და მოცულობა, ასევე ფორმატი უმეტესად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს. თუმცა პროგრამის პირველი მიზანი — „მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხების, თარგმანისა და ენობრივი მედიაციის თეორიული, გამოყენებითი და ტექნოლოგიური საფუძვლების, კომუნიკაციის თეორიებისა და ტექნიკის, კვლევის ელემენტებისა და აკადემიური ტექსტის შექმნის ძირითადი პრინციპების შესახებ“ არ არის რეალისტური და მიღწევადი პროგრამის სასწავლო გეგმისა და პროგრამით დადგენილი სწავლა-სწავლების მეთოდების მეშვეობით.

შრომის ბაზრის კვლევის ანალიზის შედეგად, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის პოტენციურ დამსაქმებლებად მოიაზრება ტურიზმის სფერო, სამედიცინო დაწესებულება, მთარგმნელობითი ბიურო, საგანმანათლებლო დაწესებულება, სამინისტრო, ბანკი, სასტუმრო და უნივერსიტეტი.

პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ადგილობრივსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ანალოგიური პროგრამების შინაარსი და მათი განხორციელების მოდელები დარგში თანამედროვე მიღწევებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

საგანმანათლებლო პროგრამა „გერმანული ფილოლოგია“ მიზნად ისახავს, საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულს გადასცეს ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლებიც მას დასაქმების ფართო შესაძლებლობას მისცემს კონკურენტუნარიან თანამედროვე, ცვალებად შრომის ბაზარზე. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ დარგის ფართო ცოდნას, შეისწავლიან გერმანული ფილოლოგიის ძირითად ასპექტებს: ლინგვისტურ და ლიტერატურათმცოდნეობით თეორიებს, გერმანისტიკის ძირითად

ცნებებსა და ტერმინოლოგიას, გერმანული ენისა და გერმანულენოვანი ლიტერატურის განვითარების ეტაპებს, გერმანულ ენობრივ სივრცეში კომუნიკაციის პრინციპებს. ასევე ჩამოუყალიბდებათ ენობრივი კომპეტენციის B2 დონით გათვალისწინებული მოსმენის, წაკითხულის გააზრების, წერითი და ზეპირმეტყველების პრაქტიკული უნარ-ჩვევები და განვითარებენ როგორც ინტერკულტურულ, ასევე ინტერდისციპლინურ კომპეტენციებს.

პროგრამის შემუშავებისას ერთმანეთს შედარდა ადგილობრივი და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოცდილება. კერძოდ, გათვალისწინებული იქნა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ანალოგიური პროგრამების შინაარსი და მისი განხორციელების მოდელები, დარგში თანამედროვე მიღწევებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით (თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, „გერმანული ფილოლოგია“; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, „გერმანისტიკა“; აწსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, „გერმანული ფილოლოგია“; კონსულტაციები - დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტი; მიუნსტერის ვესტფალიის ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტი).

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (რომანული ფილოლოგია (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა, პირველი საფეხური)

პროგრამის მიზნებში წარმოჩნდება, რამდენად პასუხობს პროგრამა აქტუალურ გლობალურსა და რეგიონულ გამოწვევებს / საჭიროებებს მსოფლიოში რომანული ენების გავრცელებულობის გათვალისწინებითა და ევროკავშირისკენ საქართველოს სწრაფვის პირობებში. სახელდობრ, რეგიონში სავაჭრო, საქმიანი, კულტურული, საერთაშორისო და ტურისტული კავშირების ზრდის, უცხოელი ინვესტორების გააქტიურებისა და გაცვლითი პროგრამების ამოქმედების შედეგად იზრდება მოთხოვნა რამდენიმე უცხო ენების მცოდნე სპეციალისტებზე. გაცნობიერებული ჩანს ბსუ-ის რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის უნიკალურობაც რეგიონში, რაკი ეს ერთადერთი პროგრამა იქნება, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს ერთდროულად რამდენიმე რომანული ენის შესწავლის შესაძლებლობა ექნებათ. პროგრამის მიზნებში გვხვდება მინიმუმ პროგრამის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებზეც.

პროგრამის შემუშავებისას განხორციელდა ადგილობრივი და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოცდილების შედარება. კერძოდ, გათვალისწინებული იქნა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ანალოგიური პროგრამების შინაარსი და მისი განხორციელების მოდელები დარგში თანამედროვე მიღწევებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით (ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი (ბელგია), სორბონას უნივერსიტეტი (საფრანგეთი), ლუვენის უნივერსიტეტი, ნამურის უნივერსიტეტი, პეკსის უნივერსიტეტი და სხვ.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

პროგრამის მიზნები დეტალურადაა აღწერილი პროგრამაში. საბაკალავრო საფეხურზე ოთხწლიანი სწავლის განმავლობაში სავსებით რეალისტური ჩანს პროგრამის მიზნების მიღწევა, სახელდობრ: პროგრამის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ ფართო ფილოლოგიური ცოდნის სლავური ენებისა და ლიტერატურის შესახებ, განვითარებენ დარგობრივ (ფილოლოგიური ანალიზის) და ზოგად (არგუმენტირებული მსჯელობის) უნარებს და დაეუფლებიან ორ სლავურ ენას (B1 ან B2 დონეზე). აღწერილი მიზნები შეესაბამება როგორც სწავლის ფეროს აღწერას, რომელიც მოცემულია უცხო ენის



დაუფლების დარგობრივ მახასიათებელში, ისე კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მეექვსე დონის აღმწერს.

პროგრამის მიზნებში ყურადღება გამახვილებულია ასევე იმაზე, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, შეისწავლონ ერთდროულად ორი სლავური ენა, რაც პროგრამის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი თავისებურებაა. მართალია, პროგრამის მიზნებში აღნიშნულია, რომ სლავისტიკის პროგრამა ეხმიანება აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას, მაგრამ მასში არაა განმარტებული, როგორი წვლილის შეტანა შეუძლია სლავისტიკის პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში ადგილობრივი მოცემულობის გათვალისწინებით. პროგრამის ხელმძღვანელთა თქმით, შრომის ბაზარზე დიდია ორენოვანი სპეციალისტისა და პოლონური ენის მცოდნეთა საჭიროება, თუმცა ამგვარი საჭიროება არ დასტურდება შრომის ბაზრის კვლევისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტით.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)**

ბსუ-ის მიერ აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს შესაბამისად, სწავლის ძირითადი სფეროს გათვალისწინებით. თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს, შესაბამისი ცოდნისა და უნარის მქონე სპეციალისტის მომზადებას, რომელიც იქნება მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი, შეძლებს დასაქმებას საჯარო და კერძო სექტორში, აგრეთვე, სწავლის გაგრძელებას სწავლების მომდევნო საფეხურზე. თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს, ფლობდეს თურქულ ენას არანაკლებ B2 დონეზე.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კლასტერის ფარგლებში თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა გამოირჩევა ყურადღების გამახვილებით ქვეყანათმცოდნეობით / რეგიონმცოდნეობით ასპექტებზე, რაც სათანადოდაა ასახული პროგრამის მიზნების აღწერაში და სავსებით დასაშვებია ენების დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)**

თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალი და პირველად გადის აკრედიტაციას. იგი ლოგიკურად ებმის კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მე-6 დონეს და შეესაბამება მე-7 დონეს. პროგრამა აგებულია სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნების შესაბამისად. თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია ბაზრის კვლევისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებიდან გამომდინარე, შესაბამისი ცოდნისა და უნარის მქონე სპეციალისტის მომზადებაზე, რომელიც იქნება მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და შეძლებს დასაქმებას საჯარო და კერძო სექტორში, ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუტებში; სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებში; სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში; რედაქციებსა და გამომცემლობებში; კულტურისა და ტურიზმის სფეროში, საბანკო სექტორში, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში და სხვა.

პროგრამის მიზნებში ასახულია, ერთი მხრივ, თურქოლოგიის როგორც დარგის შესწავლის მნიშვნელოვნება თანამედროვე გლობალურ სამყაროში და, მეორე მხრივ, წარმოდგენილი სამაგისტრო

პროგრამის გამორჩეულობა, რაც დაკავშირებულია ერთდროულად თურქული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და კულტურის კომბინირებულ შესწავლასთან.

პროგრამის შემუშავების პროცესში გაანალიზებული და გათვალისწინებული იქნა ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოცდილება, გაფორმდა მემორანდუმები საქართველოსა და თურქეთის რამდენიმე უნივერსიტეტთან (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ართვინის, რიზეს და სამსუნის უნივერსიტეტებთან, იუნუს ემრეს ინსტიტუტთან). თურქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან კავშირს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (ევროპული ფილოლოგია (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია), მეორე საფეხური)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ევროპული ფილოლოგია“ მიზნად ისახავს სამაგისტრო საფეხურის სპეციალისტის/მკვლევრის მომზადებას, რომელსაც შეეძლება მიღებული კვალიფიკაციით მუშაობა და სწავლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელება. პროგრამა მოიცავს ინგლისური, გერმანული და ფრანგული ფილოლოგიის სფეროებში სათანადო ცოდნის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების უმეტესობას და მათი შინაარსი და მოცულობა, ასევე ფორმატი უმეტესად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს.

პროგრამის მიზნების აღწერაში საგანგებო ადგილი ეთმობა პროგრამის მიზნების აქტუალურობას თანამედროვე გლობალურ სამყაროში კულტურათშორისი კონტაქტებისა და დიალოგის მუდმივად მზარდი მნიშვნელოვნების პირობებში. თუმცა ამ აღწერაში იმთავითვე თავს იჩენს ინგლისური ენის დომინანტური პოზიცია დანარჩენი ევროპული (გერმანული და ფრანგული) ენების უგულვებელყოფის ხარჯზე, სახელდობრ, ნახსენებია მხოლოდ ინგლისური ენა.

პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ადგილობრივსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ანალოგიური პროგრამების შინაარსი და მათი განხორციელების მოდელები დარგში თანამედროვე მიღწევებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (თარგმანმცოდნეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)

თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეიძენენ თარგმანმცოდნეობის თეორიების, მთარგმნელობითი სტრატეგიების და კულტურათშორისი კომუნიკაციის ღრმასა და სისტემურ ცოდნას; განივითარებენ მთარგმნელობითი საქმიანობის უნარ-ჩვევებს, სინქრონულ და დიაქრონიულ ჭრილში ლინგვისტური ანალიზის უნარს, თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების განხორციელების უნარს ქართულ ენასა და კულტურასთან შედარებით/შეპირისპირებით ასპექტში; თანამედროვე გამოწვევებისა და უახლესი მიღწევების კრიტიკულად გააზრების უნარი. ასევე გაიღრმავებენ წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარს წყარო და სამიზნე ენებზე (C1 დონეზე). ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა სტუდენტს სთავაზობს თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების ერთობლიობას და მოიცავს თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის დარგში სათანადო ცოდნის მისაღებად აუცილებელი სასწავლო

კურსების ფართო სპექტრს, რომელთა შინაარსი და მოცულობა, ასევე ფორმატი შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს.

დარგში თანამედროვე მიღწევებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით, პროგრამის შემუშავებისას ერთმანეთთან დადარდა ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებული გამოცდილება, კერძოდ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „თარგმანი და კულტურათშორისი ურთიერთობები“, „თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა“, ასევე ბირმინჰემის, უარუიკისა და მანჩესტერის უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამები.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- ბსუ-ის მისია (უნივერსიტეტის მისია (bsu.edu.ge));
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი - [bsu.edu.ge](http://bsu.edu.ge)
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანალიზი
- ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- გაცვლითი პროგრამის სტუდენტთა მონაცემები;
- პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი საქმე;
- გაცვლითი პროგრამის სტუდენტთა მონაცემები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ფაკულტეტის დებულება;
- ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- მემორანდუმები
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები

### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია, ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიისა და თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამების მიზნების აღწერაში დაზუსტდეს, როგორი წვლილის შეტანა შეუძლია პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში ადგილობრივი მოცემულობის გათვალისწინებით.
2. პროგრამების მიზნების შემუშავებისას გასათვალისწინებელია შრომის ბაზრის მოთხოვნები, რომლებიც უნდა გაირკვეს კვალიფიციურად ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე.
3. ბსუ-მა უნდა აამოქმედოს პროგრამის მიზნების შემუშავების იმგვარი მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება არა მხოლოდ პროგრამების ხელმძღვანელების, არამედ აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა ამ პროცესში.

4. მნიშვნელოვანია, კლასტერში გაერთიანებული პროგრამის მიზნებში (რომანული ფილოლოგიის გარდა) აისახოს თითოეული მათგანის ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება, პოტენციალი და პერსპექტივები.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

1. ბსუ-მა უნდა უზრუნველყოს ყველა ახალი (რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო, სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო, თურქოლოგიის სამაგისტრო, თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის სამაგისტრო) პროგრამის საჯარო ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1** (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 2** (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 3** (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 4** (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 5** (თურქოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

1. სასურველია, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებში აისახოს თურქულენოვანი ქვეყნების შესწავლაც.

**პროგრამა 6** (თურქოლოგია, მეორე საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 7** (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

1. მიზნების აღწერაში თანაბარი ყურადღება და ადგილი დაეთმოს ევროპული ფილოლოგიის პროგრამით გათვალისწინებულ სამივე ევროპულ (ინგლისურ, გერმანულსა და ფრანგულ) ენას.

**პროგრამა 8** (თარგმანმცდონეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

## შეფასება<sup>5</sup>

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცდონეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

<sup>5</sup> შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

## კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან თვალსაჩინოდ და დამაჯერებლადაა მოცემული პროგრამების მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკებზე. სწავლის შედეგები პროგრამაში დაჯგუფებულია იმგვარად, რომ ცალ-ცალკე გამოიყოს ცოდნასთან, უნარებთან, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობასთან დაკავშირებული კომპეტენციები, რომლებიც ექვემდებარება გაზომვას/შეფასებას და რომელთა დაუფლება-განვითარებაც სავსებით შესაძლებელია საბაკალავრო პროგრამისთვის განკუთვნილი 4 სასწავლო წლის განმავლობაში. სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მეექვსე დონის აღმწერს და შინაარსობრივად თავსებადია სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალურ სფეროსთან „ენების დაუფლება“ (0231).

მსჯელობის საგნად შეიძლება იქცეს პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობა დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან მით უფრო, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. როგორც დამსაქმებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, პროგრამის კურსდამთავრებულები ძირითადად საქმდებიან სკოლებში (მასწავლებლებად), მთარგმნელობით ბიუროებში (მთარგმნელებად) და ტურისტულ სფეროებში (გიდებად). ამ სფეროებში დასაქმებულად სტუდენტებს სჭირდებათ პრაქტიკული (პედაგოგიური, მთარგმნელობითი, ინტერკულტურული კომუნიკაციის) უნარები, რომლებიც არაა პროგრამაში სათანადოდ გამოკვეთილი.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ძირითადად ჩართული იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებს გაუჭირდათ პროგრამის სწავლის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგების დასახელება (დასახელდა მხოლოდ უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი); სტუდენტებთან გასაუბრებისას კი აღმოჩნდა, რომ ისინი არ იცნობენ პროგრამის სწავლის შედეგებს (მათ ვერ შეძლეს, დაესახელებინათ სწავლის შედეგების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები).

კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შინაარსობრივი ბმა / კავშირი ამავე კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგებთან რთული დასადგენია. ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ საბაკალავრო პროგრამების „ინგლისური ფილოლოგია“, „გერმანული ფილოლოგია“, „რომანული ფილოლოგია“ და „სლავური ფილოლოგია“ ლოგიკური გაგრძელება შეიძლება იყოს სამაგისტრო პროგრამები „ევროპული ფილოლოგია“ და „თარგმანმცოდნეობა და კულტურათმცოდნეობის კომუნიკაცია“, ხოლო თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის სწავლის გაგრძელება ოპტიმალური უნდა იყოს თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე. თუმცა როგორი ურთიერთმიმართებაა ამ ორი საფეხურის პროგრამებს შორის და რამდენად ემყარება ეს ურთიერთმიმართება თანმიმდევრული გართულების პრინციპს, ბუნდოვანი რჩება.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

ბსუ-ის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები განახლებული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისია. სწავლის შედეგებში გამოყოფილია ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კატეგორიები. პროგრამაში შესული

სასწავლო კურსების გარკვეული კომპონენტების (მაგ. საბაკალავრო ნაშრომი, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული აქტივობები და ა.შ.) მეშვეობით პროგრამაში დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხელშეწყობასა და განვითარებას.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის საბაკალავრო დონეს და ფარავს პროგრამაში დეკლარირებულ მიზნების შესაბამის კომპონენტებს. პროგრამა ითვალისწინებს დარგობრივ მახასიათებლებს, რაც პროგრამის საგანთა თემატური ვარიაციულობითაც დასტურდება. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულირებული და მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში დეტალურად და ვრცლად არის აღწერილი პროგრამის მოდიფიკაციის პროცესი და პროგრამათა დაჯგუფების განმაპირობებელი ასპექტები.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

ბსუ-ის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია ცოდნა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კატეგორიები. აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია სტუდენტის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხელშეწყობა და განვითარება, რაც პროგრამაში შესული სასწავლო კურსების გარკვეული კომპონენტების (მაგ. სასწავლო კურსებით გათვალისწინებული აქტივობები, საბაკალავრო ნაშრომი და ა.შ.) მეშვეობით მიიღწევა.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულირებული და მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან მკაფიოდ და დამაჯერებლადაა წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკაზე.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა, პირველი საფეხური)**

რომანული ფილოლოგიის სწავლის შედეგების აღწერაში ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება: 1. ენათმეცნიერული კომპეტენციების ჩამონათვალში ფრანგული ენა და ენათმეცნიერება დახასიათებულია როგორც „ძირითადი“, რომლის „პარალელურადაც“ უნდა იქნას შესწავლილი ესპანური ან იტალიური ენა; 2. რომანულენოვანი ქვეყნების ლიტერატურასთან დაკავშირებული კომპეტენციები გათანაბრებულია დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის ცოდნასთან; იმავე ჩანაწერში გვხვდება რომანული ენების ისტორია, რაც არსებითად არავითარ კავშირში არაა ლიტერატურათმცოდნეობით კომპეტენციასთან, და იქვე ცალკეა ნახსენები „ფრანკოფონული ლიტერატურა“, რითაც დამატებით დასტურდება ფრანგული ფილოლოგიის (მოცემულ შემთხვევაში ფრანგულენოვანი ლიტერატურის) დომინანტური პოზიცია ამ პროგრამის ფარგლებში.

ამკარაა, რომ სწავლის შედეგებში დიდწილად უგულებელყოფილია იტალიურსა და ესპანურ ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობასთან დაკავშირებული კომპეტენციები.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

სწავლის შედეგები პროგრამაში გაწერილია დიდწილად ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში მოცემული აღწერის მიხედვით, მაგრამ მასში ამკარად უგულებელყოფილია ის, რომ „ფილოლოგიური პროფილის პროგრამა მოიცავს ენათმეცნიერებისა და

ლიტერატურათმცოდნეობის ასპექტებს“, ე.ი. არა მხოლოდ ენათმეცნიერულ, არამედ ლიტერატურათმცოდნეობით კომპეტენციებსაც. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები კი არსებითად ენათმეცნიერული კომპეტენციებით შემოიფარგლება.

ექვვარეშეა, რომ ორი სლავური ენის შესწავლისა და საბაზისო ფილოლოგიური ცოდნის მიღების შემდეგ სლავისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს, გააგრძელოს სწავლა მომდევნო საფეხურზე. ამის მიუხედავად მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი ბოლო 5 წლის მონაცემებით არ აღემატება 15%-ს.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)**

თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს და შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კონტექსტს, მიზნებს, შინაარსს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, აგრეთვე, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერს. პროგრამის სწავლის შედეგები სრულად ასახავს საბაკალავრო დონის კვალიფიკაციის მისაღწევ კომპეტენციებს. სწავლის შედეგების ცოდნა-გაცნობიერების ნაწილი ასახავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას და აკონკრეტებს დარგობრივი ცოდნის სხვადასხვა ასპექტს. უნარების ნაწილი მოიცავს 5 პუნქტს და დაწვრილებით არის აღწერილი, რომელ უნარებს ფლობს კურსდამთავრებული. უნარების ნაწილი ასახავს დარგობრივ უნარებს სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში და მოიაზრებს როგორც დარგობრივ გაცნობიერებას, ასევე ტრანსფერულ უნარებს. აღნიშნულია, რომ კურსდამთავრებული B2 დონეზე ფლობს თურქულ ენას. პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და არის გაზომვადი. პროგრამის სწავლის შედეგებსა და მიზნებს შორის კავშირი ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)**

თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. იგი ეყრდნობა დარგობრივ მახასიათებელს და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს. პროგრამის სწავლის მიზნებსა და შედეგებს შორის კავშირი მართებულად არის ასახული პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე. სწავლის შედეგები აღწერილია სამ კატეგორიად: ცოდნა-გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობა. პროგრამის სწავლის შედეგები სრულად ასახავს თურქოლოგიის სამაგისტრო დონის კვალიფიკაციის შესაბამის კომპეტენციებს. პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.

თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო სფეროში და დასაქმების ბაზარზე. იგი იძლევა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ „თურქოლოგიის“ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის გავლისას.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია), მეორე საფეხური)**



ბსუ-ის ევროპული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები განახლებული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისია. პროგრამაში შესული სასწავლო კურსების გარკვეული კომპონენტების (მაგ. სამაგისტრო ნაშრომი, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული აქტივობები და ა.შ.) მეშვეობით პროგრამა დიდ ყურადღებას აქცევს სტუდენტის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხელშეწყობასა და განვითარებას.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის სამაგისტრო დონეს და ფარავს პროგრამაში დეკლარირებულ მიზნების შესაბამის კომპონენტებს. პროგრამა ითვალისწინებს დარგობრივ მახასიათებელს, რაც პროგრამის საგანთა თემატური ვარიაციულობითაც დასტურდება.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)**

ბსუ-ის თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია განახლებული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის სამაგისტრო დონეს და ფარავს პროგრამაში დეკლარირებულ მიზნების შესაბამის კომპონენტებს. პროგრამა ითვალისწინებს დარგობრივ მახასიათებელს, რაც პროგრამის საგანთა თემატური მრავალფეროვნებით დასტურდება.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიში
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი
- პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვის ანალიზი
- ინტერვიუების შედეგები
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

#### **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

1. პროგრამების სწავლის შედეგები მეტად უნდა შეესაბამებოდეს დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.
2. ბსუ-მა უნდა უზრუნველჰყოს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში და სწავლის შედეგების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის.

### კლასტერის საერთო რჩევები:

1. საჭიროა, (კურიკულუმებში ან თვითშეფასების ანგარიშში მაინც) გამოიკვეთოს, რამდენადაა კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების ურთიერთმიმართება დამყარებული თანმიმდევრული გართულების პრინციპზე, რათა აშკარა იყოს, საბაკალავრო საფეხურის რომელ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს „დაშენდება“ სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი კომპეტენციები.

### რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

#### პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

#### პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

#### პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

1. რომანულ ფილოლოგიის დარგში კვალიფიკაციის მისანიჭებლად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში თანაბარი ყურადღება და ადგილი დაეთმოს ფრანგულ, ესპანურსა და იტალიურ ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობას.

რჩევ(ებ)ი:

#### პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

1. სლავური ფილოლოგიის პროგრამაში ფილოლოგიური კვალიფიკაციის მისანიჭებლად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში ენათმეცნიერულ კომპეტენციებთან ერთად სათანადო ყურადღება და ადგილი დაეთმოს ლიტერატურათმცოდნეობით კომპეტენციებსაც.

რჩევ(ებ)ი:

#### პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

#### პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)**

რეკომენდაცი(ებ):

რჩევ(ებ):

**პროგრამა 8 (თარგმანმცდონეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)**

რეკომენდაცი(ებ):

რჩევ(ებ):

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცდონეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**კლასტერული შეფასება**

## კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი უშუალოდ დამოკიდებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაზე, რაც პერმანენტულად უნდა ხორციელდებოდეს პროგრამის განმახორციელებლების მხრიდან. მოცემული აქტივობა ხაზს უსვამს სტუდენტთა მიღწევებს სწავლის პროცესში, ადგენს და განსაზღვრავს პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ამლევს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებს საშუალებას, განსაზღვრონ ახალი აქტივობები პროგრამის განვითარების მიზნით. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლოა განხილულ იქნას რამდენიმე ეტაპად, მათ შორის მნიშვნელოვანია: საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების განსაზღვრა, კურიკულუმის ანალიზი, სწავლის შედეგების შეფასება და მონაცემების გამოყენება, პროგრამის გასაუმჯობესებელი ახალი ფაზის დაგეგმვა.

ბსუ კლასტერული აკრედიტაციის პროცესში იდგა ახალი გამოწვევების წინაშე, რაც გულისხმობს, რომ უშუალოდ პროგრამების ფარგლებში უნდა მომზადებულიყო სწავლის შედეგები და მათი ვიზუალიზაციის მიზნით კი - კურიკულუმის სხვადასხვა რაკურსის აღმწერი რუკები. ამავდროულად, გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ერთ კლასტერში მოთავსება, თავის მხრივ, წარმოადგენდა ერთგვარ სიახლესა და სირთულესაც იმ თვალსაზრისით, რომ კლასტერულად გადანაწილებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მომზადებისას პროგრამის განმახორციელებლებს უწინარესად უნდა დაენახათ თავიანთი პროგრამების განსხვავებულობა კლასტერში შემავალი სხვა პროგრამების მიმართ, თუმცა ასევე უნდა ასახულიყო ის მკვეთრი წერტილები, რაც მოცემული პროგრამების კლასტერული დაჯგუფების საფუძველს იძლეოდა.

წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მოცემულია დანართების სახით თითოეული პროგრამისათვის.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი გაწერილია ინსტიტუციურად. საკუთრივ შედეგების შეფასების პროცესი კომპლექსურია და შედეგების გაზომვის მიზნით პროცესულურად გულისხმობს პირველ ეტაპზე საკუთრივ მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზის პროცესს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბსუს მონაცემთა შესაგროვებლად პროგრამული უზრუნველყოფა აქვს, რომლის დეტალური ანალიზი შესაძლებელია სასწავლო წლის ნებისმიერ მონაკვეთში, რაც აადვილებს ანალიზის პროცესს.

თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას პაკეტის ფარგლებში თან ახლავს:

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა N1;
- სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა N2;
- სასწავლო კურსების გაცნობა, განმტკიცებისა და გადრმავეების შედეგების შესაბამისობის რუკა;

მართებულად მომზადებული წინამდებარე დანართები გარკვეულწილად ნიშნავს პროგრამის სწავლის შედეგების ზუსტ და მიზანმიმართულად შეფასებას. წინამდებარე პროცესის მომზადება მეტ-ნაკლებად მარტივია ახალი პროგრამის შემთხვევაში, რაც შეეხება უკვე ინსტიტუციური მეხსიერების ნაწილად დაფიქსირებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შეფასებას, ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეფასების პროცესის განჭვრეტას დიაქრონულ რაკურსში, რაც ნიშნავს იმას, რომ პროგრამა გააზრებულ იქნას განვითარების პროცესში. აქედან გამომდინარე, პროგრამა ადგენს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებს, რომელთა ვარირება სრულ წარმოდგენას ქმნის საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მრუდზე. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სავარაუდო სამიზნე ნიშნულების გადახედვა ხდება პროგრამის ამოქმედებიდან სულ მცირე ორი სემესტრის შემდეგ.

სწავლის შედეგების რეალური სამიზნე ნიშნულების დასადგენად. სწავლის შედეგების ანალიზის დოკუმენტი თვითშეფასების ანგარიშს თან ახლავს ანალიზური მასალის სახითაც.

წარმოდგენილი დანართების შესწავლის შემდგომ ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებში დადგინდა:

- გადასახედია და დასაზუსტებელი მესამე მიზანი და მე-5 შედეგი, რომელთა თანაკვეთაა მონიშნული მიზნებისა და შედეგების შედარების რუკაზე, სადაც ფიქსირდება 'კვლევის მეთოდის შერჩევა', რაც საბაკალავრო საფეხურისთვის შეუთავსებელია, იმდენად რამდენადაც კვლევის მეთოდების კომპეტენციის მიმცემი სასწავლო კურსი კურიკულუმში არ ფიქსირდება;

ერთია მიზნებისა და შედეგების თანაშეწონილობა, ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები ერთგვარი განზოგადოებული ჩარჩოა სასწავლო კურსების მიერ შემოთავაზებული შედეგებისა, საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კურსებში უნდა ხერხდებოდეს პროგრამის შედეგების ერთგვარი რეფლექსია, თუ პირდაპირი არაა, მაშინ იმპლიციტური მაინც. სასწავლო კურსებისა და პროგრამის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ:

- სასურველია დაკორექტირდეს ცალკეული სავალდებულო სასწავლო კურსების მიმართება პროგრამის შედეგებთან (მაგალითად, ფილოსოფიის შესავალი ვერ იქნება კვეთაში მე-6 შედეგთან, რომელშიც მსჯელობაა სწავლის შემდგომი დაგეგმვისა და მენეჯმენტის შესახებ; საინფორმაციო ტექნოლოგიები - მე-7 შედეგში მართალია ინოვაციებია ნახსენები, მაგრამ საკუთრივ შედეგის შინაარსი ნაკლებად შეიძლება ასახოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლო კურსმა; ლათინური ენა - უფრო შესაძლებელია გავიდეს მე-3 შედეგზე და გერმანული ენის შემსწავლელს დაეხმაროს უცხოური ენის სტრუქტურის გააზრებაში, ხოლო იგივე სასწავლო კურსი ვერ ასახავს პირველი შედეგის მოთხოვნებს; დასავლური ლიტერატურის კურსისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა ასევე პირველი შედეგი, რომელიც ლიტერატურის თეორიებისა და მასთან დაკავშირებული ცნებების გაცნობას გულისხმობს, თუ ანტიკურ ლიტერატურას აქვს იგივე შედეგი, მით უფრო დასავლურ ლიტერატურას, რომლის ნაწილი და საფუძველია ბევრ თემასა და საკითხში ანტიკური ლიტერატურა; ინგლისური ენის კურსი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ასახავს შედეგს N4, სადაც მსჯელობაა გერმანულ ენაზე ტექსტის ინტერპრეტაციასა და კომუნიკაციაზე; ასევე დეტალურად უნდა იქნას და დაკვირვებით განსაზღვრული გერმანული ენის დასაწყისი პრაქტიკული კურსები, სადაც დაბალი ენობრივი კომპეტენცია ვერ აჩვენებს შედეგს ტექსტის ინტერპრეტაციისა და დარგობრივი კომუნიკაციის შესახებ და.შ.);
- არსებითია, რომ სასწავლო კურსებისა და პროგრამის შედეგების თანაკვეთის რუკაზე აისახოს ძირითადი საკომპეტენციო საგნები, სხვა მხრივ არჩევითი საგნების შემთხვევაში, თუ კონკრეტულ საგნებთან მიმართებით არჩევანი არ დადგა, მაშინ გაუგებარია, რამდენად იქნება შესაძლებელი პროგრამის კონკრეტული შედეგის მიღწევა?

საგანმანათლებლო პროგრამას ასევე წარმოდგენილი აქვს სასწავლო კურსების გრადაციის რუკა, რომლის ანალიზის თანახმად:

- შესავალი კურსების კომპეტენციაში უნდა განიხილებოდეს სასწავლო კურსი *ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია*, ვინაიდან მასში წარმოდგენილი თემები ის ენციკლოპედიური ცოდნაა, რაც შესაძლოა შემდგომში ტრანსფერული უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს;
- განმტკიცების გრადაციის ნაწილში უნდა განვიხილოთ დასავლური ლიტერატურის კურსი, რომელსაც წინ უსწრებს შესავლის კურსის სახით ანტიკული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი, პირველის შემთხვევაში განხილულია პირველი ლიტერატურული ჟანრები და მათი ნიმუშები, რომელთაც ასახვა ჰპოვეს შემდგომში დასავლური

ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში და ჩამოაყალიბეს კონკრეტული ტექსტთაშორისი მიმართებები (ინტერტექსტუალური), ხოლო მეორემ - ერთიანობაში წარმოდგენა უნდა შექმას ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც ფილოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი არსებითი ქვედარგის შესახებ;

- ამავე გრადაციაში უნდა განიხილებოდეს გერმანული ენის გრამატიკის კურსი, რომლის წინა გრადაციის საფეხურს ქმნის ენათმეცნიერების შესავალი და გარკვეულ წილად გერმანული ენის პრაქტიკული კურსები, იგივე შეეხება გერმანული გრამატიკის მეორე ნაწილს;

ბსუ-მა წარმოადგინა პროცედურის დეტალური აღწერა, რომლის საფუძველზე პროგრამული უზრუნველყოფის შიდა ელექტრონულ ბაზაში შეგროვებული მონაცემების ანალიზი განხილულია როგორც საბაკალავრო ისე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის. მათ შორისაა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა *გერმანული ფილოლოგია*, რომლის ფარგლებში ჩატარებული სწავლის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ გაზაფხულის სემესტრის მონაცემების თანახმად:

- სტუდენტთა სწავლის შედეგები შუალედური გამოცდების მიხედვით: საშუალო და საშუალოზე მაღალია, რაც უჩვენა გამოცდა ჩაბარებულმა პირველ კურსელ სტუდენტთა 57,9%-მა; ცოტა უფრო მაღალი პროცენტია მეორე კურსელთა სწავლის შედეგების ანალიზის მიხედვით - 70%; რაც შეეხება მეოთხე კურსელი სტუდენტის აკადემიურ მონაცემებს (ის ერთადერთია საგანმანათლებლო პროგრამაზე), ის გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური მოსწრებით; დასკვნითი გამოცდის სტატისტიკა კი ასე გამოიყურება: სამივე საფეხურის სტუდენტთა 26,14% - მაღალი აქვს აკადემიური მოსწრება, ხოლო საშუალოზე და მასზე მაღალი მოსწრება უფიქსირდება 30,68%, ხოლო საშუალოზე დაბალით - 7,95%;
- შემჯამებელი ანგარიშის მიხედვით: სწავლის შედეგები საშუალო და საშუალოზე მაღალია და ის უტოლდება 57,14%;

ამ მონაცემებისგან განსხვავებული სურათი გვხვდება სამიზნე ნიშნულების რუკაზე, სადაც სტუდენტთა 70-80% მაჩვენებელს მონიშნული აქვს საშუალოზე მაღალი სწავლის შედეგი. ანალოგიური სურათი გვხვდება სხვა მოქმედ პროგრამებზეც.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა N1
- სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა N2
- სასწავლო კურსების გაცნობა, განმტკიცებისა და გაღრმავების შედეგების შესაბამისობის რუკა

### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

### კლასტერის საერთო რჩევები:

1. სასურველია, გადაიხედოს და შინაარსობრივად დაზუსტდეს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების რუკები.

2. სასურველია, სწავლის შედეგების მინიმალური ზღვრების დადგენა ძველ პროგრამებზე მოხდეს სწავლის შედეგების ანალიზის საფუძველზე, ხოლო ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში მსგავსი პროგრამების სწავლის შედეგების ანალიზი და დარგობრივი გამოცდილება იქნას მხედველობაში მიღებული.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცდონეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ში 2022 წლიდან მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი, რომელიც ზოგად დებულებებთან, ტერმინთა განმარტებებთან, პროგრამის დაგეგმვა-შემუშავებისა და მასში ცვლილებების შეტანის ან გაუქმების პირობებთან, კურიკულუმის კომიტეტისა და პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განსაზღვრასთან, პროგრამის შეფასების მექანიზმების აღწერასთან ერთად მოიცავს დეტალურ ინსტრუქციას საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ, რომელსაც ერთვის კურიკულუმისა და სილაბუსის შაბლონები. კლასტერში გაერთიანებული თითოეული პროგრამა შემუშავებულია ამ ინსტრუქციისა და შაბლონების მიხედვით.

საბაკალავრო პროგრამებში თავი იჩინა რამდენიმე მსგავსმა თავისებურებამ, სახელდობრ: 1. ძირითადი სწავლის სფეროში მოქცეულია კურსები, რომელთა სწავლის შედეგებიც არაა თავსებადი ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელში აღწერილ სწავლის შედეგებთან; 2. ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში დარგობრივად არ გამოიყოფა არჩევითი კურსები; არჩევითობის პრინციპი მოქმედებს მხოლოდ ე.წ. თავისუფალი კომპონენტის არჩევის შემთხვევაში; 3. ენის კურსების ყველა საფეხური სავალდებულოა, რის გამოც ისეთი სტუდენტიც, რომელსაც უკვე აქვს გარკვეული ენობრივი კომპეტენცია, იძულებულია, დახარჯოს დრო და კრედიტები ენის კურსების იმ საფეხურების გასავლელად, რომელთა გავლაც მათთვის უსარგებლოა; 4. მრავალენოვან პროგრამებში (მათ შორის, სამაგისტრო საფეხურის პროგრამებშიც) — რომანული ფილოლოგია, სლავური ფილოლოგია, ევროპული ფილოლოგია, თარგმანმცოდნეობა და კულტურათაშორისი კომუნიკაცია — შეიმჩნევა ერთ-ერთი ენის ან ერთ-ერთ ენასთან დაკავშირებული ფილოლოგიური დისციპლინებისთვის უპირატესობის მინიჭება პროგრამის შინაარსითა და მისანიჭებელი კვალიფიკაციით გათვალისწინებული სხვა ენებისა და ფილოლოგიების წინაშე, რის შედეგადაც ამ პროგრამებში წარმოიქმნება გარკვეული შიდა დისბალანსი და შეუთავსებლობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და დარგობრივ აღმწერთან; 5. კურსები უმეტესად დაჯგუფებულია არა თემატურად, არამედ სემესტრული თანმიმდევრობით; 6. ენის კურსებისთვის გამოიყოფა კვირაში 4-5 საათი (სამაგისტრო საფეხურზე კი 2 საათი), რაც არაა საკმარისი შესაბამისი ქვესაფეხურების დასაძლევად, თუ გავითვალისწინებთ ენობრივი კომპეტენციების საერთო ევროპულ ჩარჩოს მოთხოვნებს.

პროგრამების შემუშავებაში მეტნაკლებად ჩართული იყო აკადემიური პერსონალი. მაგალითად, ერთ-ერთ ინტერვიუზე გაირკვა, რომ ერთ-ერთი პროფესორის ინიციატივით მის საგანს გაუქმებია წინაპირობა. თუმცა დამსაქმებელთა და სტუდენტთა ჩართულობა პროგრამების შემუშავების პროცესში, როგორც ჩანს, ერთობ ზედაპირული ხასიათის იყო. მათი ინიციატივით რომელიმე სასწავლო კურსის დამატების ან ამოღების შემთხვევა არ დადასტურებულა.

რაკი კლასტერში გაერთიანებული ყველა პროგრამა თავისი შინაარსით უკავშირდება რომელიმე უცხოურ ენას, ლიტერატურასა და შესაბამის ქვეყანათმცოდნეობას, და რაკი სწავლებისას ძირითადად უცხოენოვანი სამეცნიერო წყაროები და სახელმძღვანელოებია გამოყენებული, მათში იმთავითვე თავს იჩენს ინტერნაციონალიზაციის გარკვეული ტენდენცია. ამ ტენდენციას დამატებით გააძლიერებს პროგრამაში უცხოელი მასწავლებლების ჩართულობა, უკვე არსებული საერთაშორისო თანამშრომლობა და აკადემიური მობილობის შესაძლებლობები, რომელთა შესახებაც ინტერვიუებზე იყო საუბარი.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

ბსუ-ის მიერ წარმოდგენილი პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი და კომპლექსურობა უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს შეესაბამება. უნივერსიტეტის



საგანმანათლებლო პროგრამის დებულება ეხმარება კანონმდებლობით დადგენილ წესებს და პროგრამა შესაბამისად მოიცავს 240 ECTS კრედიტს. აქედან 175 კრედიტი ეთმობა სავალდებულო კურსებსა და 10-კრედიტიან საბაკალავრო ნაშრომს, 15 კრედიტი — არჩევით კურსებს, 60 კრედიტი კი განკუთვნილია თავისუფალი კომპონენტისთვის, რომლის შეთავაზებითაც სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, გაიდრმაგონ სავალდებულო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნა ან თავიანთი სასწავლო თუ კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე აირჩიონ შესაბამისი სასწავლო კურსები (მათ შორის დაეუფლოს რომელიმე მეორე უცხო ენას: იტალიურს, ფრანგულს, გერმანულს, რუსულს ან ჩინურ ენას). შედეგად, სტუდენტი ფაქტობრივად იძულებული ხდება, უარი თქვას მეორე სპეციალობაზე და თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში გაიაროს ისევ ძირითად სპეციალობასთან დაკავშირებული კურსები, რითაც მნიშვნელოვნად იზღუდება მისი აკადემიური თავისუფლება და დასაქმების პერსპექტივები. ასევე პრობლემური ჩანს ის, რომ ძირითადი სწავლის სფეროს პროგრამაში მიეკუთვნება ისეთი კურსებიც, რომლებიც არსებითად არ შეესაბამება პროგრამის შედეგებს. ასეთებია, მაგალითად, შესავალი ფილოსოფიაში, ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, ლათინური ენა, საინფორმაციო ტექნოლოგიები. ამ კურსების შედეგები ვერ იქნება თავსებადი ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან და, ამრიგად, მათი მოქცევა ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში დაუშვებელია.

პროგრამით გათვალისწინებული საგნები უმეტესად შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ საგნებს, რაც პროგრამის მიზანს (საბაკალავრო სწავლების დონისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ფორმირება) ეხმარება. საბაკალავრო ნაშრომის დაცვისათვის საჭირო კვლევით ტექნიკებს სტუდენტი ეუფლება სხვადასხვა კურსის ფარგლებში (მაგ. აკადემიური წერის საფუძვლები) და ამით იქმნება ლოგიკური განვითარების ჯაჭვი.

წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო გეგმას (კურიკულუმი) მიხედვით, სტუდენტები ინგლისური ენის შესწავლას იწყებენ ინგლისური ენის A2.1 დონიდან (საგანი - ინგლისური ენის ინტეგრირებული კურსი A2.1). უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტის ჩარიცხვისთვის ბსუ-ს განსაზღვრული აქვს მინიმალური ზღვარი ინგლისურ ენაში, სადაც პოტენციურმა სტუდენტმა უნდა მიიღოს შეფასების 50%-ზე მეტი აღნიშნულ ენაში (ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა). თუმცა პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტების გარკვეულ ნაწილს უკვე აქვს არსებული ენობრივი კომპეტენცია, როდესაც აბარებენ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე.

ექსპერტთა მიერ პროგრამის შეფასებისას ისევე, როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული საგანთა სემესტრული განლაგებისას, გარკვეულ შემთხვევებში, არ არის დაცული საგანთა წინაპირობა რელევანტურად; მაგალითად, საგანს - „წერთი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე“, რომელიც იკითხება ინგლისურ ენაზე და ძირითადი ლიტერატურა მოითხოვს სტუდენტს ჰქონდეს ინგლისური ენის დამოუკიდებელი გამოყენების კომპეტენცია (1. Successful Writing (upper Intermediate) by Virginia Evans. Express publishing press 2001 2. Refining Composition Skills by R. Smalley (6 th edition)) წინაპირობად განსაზღვრული აქვს საგანი - „ინგლისური ენის ინტეგრირებული კურსი A2.2“. ლოგიკურია, სტუდენტები, რომლებსაც აქვთ A2.2 დონის კომპეტენცია ინგლისურ ენაში, ვერ შეძლებენ ამ ტიპის ინფორმაციის დამუშავებასა და სწავლას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გერმანული ფილოლოგია“ მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის 180 კრედიტის ფარგლებში სტუდენტებს სთავაზობს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებს, ხოლო 60 კრედიტის ფარგლებში არჩევით კურსებს (თავისუფალ კომპონენტს) ან დამატებით სპეციალობას. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების 180 კრედიტის ფარგლებში 10 კრედიტი ეთმობა სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომს, რომელიც სტუდენტმა შეუძლია აირჩიოს ენათმეცნიერების ან ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით, ხოლო 3+3 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, თავისი ინტერესებისა და სამომავლო პროფესიული განვითარების ხედვების გათვალისწინებით არჩევანი გააკეთოს 4 ალტერნატივიდან 2 დარგობრივ ენაზე: ბიზნესის გერმანული, ტურიზმის გერმანული, სამართლის გერმანული და მედიის ენა. სტუდენტებს შეუძლიათ აგრეთვე დარგობრივი კომპეტენცია ოთხივე მიმართულებით გაიღრმავონ არჩევითი კურსების სახით თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში. თუმცა 180 კრედიტის ფარგლებში მას იმ რამდენიმე დარგობრივი ენის სავალდებულო არჩევითი კურსის გარდა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა არ ეძლევა. ამასთან, ძირითადი სწავლის სფეროს პროგრამაში მიეკუთვნება ისეთი კურსებიც, რომლებიც არსებითად არ შეესაბამება პროგრამის შედეგებს. ასეთებია, მაგალითად, შესავალი ფილოსოფიაში, ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, ლათინური ენა, ინგლისური ენა, საინფორმაციო ტექნოლოგიები. ამ კურსების შედეგები ვერ იქნება თავსებადი ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან და, ამრიგად, მათი მოქცევა ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში დაუშვებელია.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; კერძოდ, მისი მოცულობა, კომპლექსურობა და შინაარსი შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს - ბაკალავრიატს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია არჩევითი საგნების ფართო სპექტრი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის ინდივიდუალურობას. თუმცა მათი არჩევა შესაძლებელია მხოლოდ მეორე სპეციალობაზე უარის თქმის ხარჯზე, რითაც მნიშვნელოვნად იზღუდება მისი აკადემიური თავისუფლება და დასაქმების პერსპექტივები.

პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული; პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის ლოგიკურად დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება; უმეტეს შემთხვევებში შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური; თუმცა პროგრამით გათვალისწინებული საგანთა სემესტრულ განაწილებაზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ საგანი „დარგობრივი ენა: სამართლის გერმანული 1“ არჩევითი სტატუსით სტუდენტებისთვის შეთავაზებულია იმ ეტაპზე, როდესაც აღნიშნული პროგრამის სტუდენტი სწავლების შესაბამის საფეხურზე გერმანულ ენას ფლობს საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს A2.2 დონეზე, ხოლო ამ სასწავლო კურსის ძირითად ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელო „Deutsch als Fremdsprache für Juristen Lehr- und Lernmaterialien zum Zivilrecht“ (Lothar Bunn, Gabriel Kacik, Waxmann 2019 Münster x New York) განკუთვნილია იურისტებისთვის, რომლებსაც უკვე გააჩნიათ სამართლის სფეროში გარკვეული დარგობრივი ცოდნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სასწავლო კურსის სავალდებულო უცხოენოვანი ლიტერატურის წასაკითხად და გასააზრებლად საკმარისი არ არის ენობრივი კომპეტენციის ის დონე, რომელიც სტუდენტს გააჩნია შესაბამის სემესტრში. ან პირიქით, სასწავლო კურსი „ტურიზმის გერმანული 2“, რომელიც აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის შესაბამისად მეხუთე სემესტრში შეთავაზებულ არჩევით საგანთა ნუსხაშია, როდესაც აღნიშნული პროგრამის სტუდენტი უკვე ფლობს გერმანულ ენას საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B1 დონეზე, ხოლო ძირითად ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელო „Menschen im Beruf Tourismus“ ეფუძნება საერთო

ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს A1 დონეს. რიგ შემთხვევაში მოძველებული ჩანს სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც გამოყენებულია საბაკალავრო ნაშრომებში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (რომანული ფილოლოგია (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა, პირველი საფეხური)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამა „რომანული ფილოლოგია“ აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; კერძოდ, მისი მოცულობა, კომპლექსურობა და შინაარსი შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურს - ბაკალავრიატს. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომელთაგან 60 ECTS კრედიტი ეთმობა საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს (თუმცა პერსონალის დაანგარიშებისას ეს კურსებიც ძირითადი სწავლების სფეროს ნაწილად არის წარმოდგენილი), 90 ECTS კრედიტი რომანული ფილოლოგიის ძირითად ენას - ფრანგული ენის ინტეგრირებულ კურსებს, რომანული ფილოლოგიის სავალდებულო თეორიულ კურსებს და მათ შორის, საბაკალავრო ნაშრომს (10 ECTS კრედიტი), ხოლო სპეციალობის სავალდებულო არჩევითი მოდული მოიცავს 30 ECTS კრედიტს და სტუდენტს ასარჩევად სთავაზობს ერთ-ერთი რომანულ ენას - იტალიურს ან ესპანურს. 60 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის არჩევით კურსებს (თავისუფალ კომპონენტებს) ან მეორე (minor) სპეციალობას. თუმცა პროგრამის ძირითად ნაწილში (120) მეორე რომანული ენის გარდა სხვა არჩევითი კომპონენტი არ გამოიყოფა. ასევე საკითხავია, რამდენად მიიღწევა მხოლოდ მეორე რომანული ენის შესწავლით ის შედეგი, რომელიც რომანული ფილოლოგიის კვალიფიკაციას შეესაბამება, რადგან ეს უკანასკნელი არ შემოიფარგლება მხოლოდ რომანული ენების შესწავლით; იგი უნდა მოიცავდეს ფრანგული, ესპანური და იტალიურ ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის დაბალანსებულ განაწილებას შესაბამისი პროგრამის ფარგლებში. ეს ბალანსი (ისევე, როგორც არჩევითობის პრინციპი) აშკარად დარღვეულია წარმოდგენილ პროგრამაში ფრანგულენოვანი კომპონენტისთვის უპირატესობის მინიჭებისა და ესპანური და იტალიური ფილოლოგიის უგულვებელყოფის ხარჯზე, რომელთა მიმართულებითაც ყველა თეორიული კურსი მოქცეულია თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში.

სასწავლო კურსების განაწილება სემესტრების მიხედვით ლოგიკური და თანმიმდევრულია და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული ძირითადად ფრანგულის და აგრეთვე იტალიური და ესპანური ენის სწავლების გაღრმავებას თანმიმდევრული გართულების პრინციპით და სათანადო დონეების შესაბამისად. თუმცა პროგრამაში თავს იჩენს მსგავსი ფუნქციების მქონე კურსების დუბლირება. მაგალითად, ენის პრაქტიკული კურსების ერთგვარი ფუნქციური დუბლირებაა კურსები „აუდირება ა“, „წერითი კომუნიკაცია ფრანგულ ენაზე“ და „საქმიანი კომუნიკაცია (ფრანგული ენა)“. ამგვარი კურსების არსებობა პროგრამაში სავარაუდოდ განპირობებულია ენის პრაქტიკული კურსებისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობის სიმწირის კომპენსაციის საჭიროებით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

სლავური ფილოლოგიის პროგრამა თავისი შინაარსით, სწავლის შედეგებითა და სირთულით შეესაბამება კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერს. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, ხოლო ხანგრძლივობა — 8 სემესტრი, როგორც ეს საბაკალავრო პროგრამებისთვისაა განსაზღვრული. პროგრამა აგებულია შემდეგი პრინციპით: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები (180 კრედიტი) და დამატებითი პროგრამა ან თავისუფალი კომპონენტები (60 კრედიტი), რაც შეესაბამება

სწავლის სფეროების კლასიფიკატორში მოცემულ ინსტრუქციას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების შესახებ (მუხლი 6.3.ბ). პროგრამის შინაარსში სლავური ფილოლოგიის დეტალური სფეროს ხვედრითი წილი აღემატება 50%-ს და, ამრიგად, პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს „სლავური ფილოლოგია / სლავისტიკა“ (0231.1.12).

პროგრამის ხელმძღვანელთა აზრით, ბსუ-ის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სლავური ფილოლოგიის პროგრამა შინაარსობრივად გამოირჩევა საქართველოში მოქმედი სხვა მსგავსი პროგრამებისგან იმით, რომ იგი უფრო ფართოა და რუსული ენის კურსებთან ერთად სტუდენტს სთავაზობს პოლონური ან უკრაინული ენის შესწავლასაც. თუმცა პროგრამაში აშკარად დომინანტურ ადგილს იკავებს რუსულ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებული კურსები, ხოლო პოლონურსა და უკრაინულ ენებთან დაკავშირებული კურსების გავლა სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ე.წ. თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში დამატებითი პროგრამის მაგივრად. შედეგად, სტუდენტი ფაქტობრივად იძულებული ხდება, თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში გაიაროს ძირითად სპეციალობასთან დაკავშირებული კურსები. თუ სტუდენტი სხვა დამატებით პროგრამას აირჩევს, მისი კვალიფიკაცია არსებითად რუსული ფილოლოგიის შესაბამისი უფრო აღმოჩნდება, ვიდრე სლავური ფილოლოგიისა. სხვა სლავური ენების დაკნინებული მდგომარეობა პროგრამაში წარმოჩნდება ენების კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობის განსხვავებულობითაც: რუსული ენის კურსები ხუთკრედიტიანია და თითოეულ მათგანს სემესტრში 75 საათი ეთმობათ, ხოლო დანარჩენი ორი სლავური ენის კურსები ოთხკრედიტიანია და მათთვის სემესტრში მხოლოდ 60-60 საათია გამოყოფილი.

პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება არა მხოლოდ ძირითადი სპეციალობის სწავლის შედეგები, არამედ თავისუფალი კომპონენტების სწავლის შედეგებიც, რაც თვალსაჩინოდაა მოცემული სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე.

პროგრამის სტრუქტურა მეტწილად თანმიმდევრულია, რაც უზრუნველყოფილია არა იმდენად წინაპირობებით (რომლებიც ძირითადად ენის კურსებს აქვთ), რამდენადაც იმით, რომ თითოეული სასწავლო კურსის არჩევა ტექნიკურად (შიგასაუნივერსიტეტო პორტალის საშუალებით) შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ სემესტრში შესაბამისი სასწავლო წლის სტუდენტების მიერ. თეორიული კურსების უმრავლესობას წინაპირობები არ აქვს, რაც ინტერვიუებზე აიხსნა მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის კურსების არჩევის (ტექნიკური) პროცესის გამარტივების საჭიროებით. ასევე ითქვა, რომ საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს წასაკითხ მასალას აწოდებენ ქართულ ენაზე, მაგრამ სილაბუსებში მოცემული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა რუსულენოვანია. ისმის კითხვა: რამდენად შეძლებს სლავური ენების არმცოდნე სტუდენტი სამეცნიერო ანდა ლიტერატურული ტექსტების წაკითხვასა და დამუშავებას შესაბამის რუსულ ენაზე?

პროგრამის სტრუქტურა გარკვეულწილად მოუქნელი და ხისტი ჩანს, რადგან 1. უცხო ენის კურსების გავლა ყველა სტუდენტისთვის სავალდებულოა A2.1-დონიდან, იმის განურჩევლად, როგორია სტუდენტის წინარეცოდნა; 2. „ძირითადი სპეციალობის“ ფარგლებში ყველა კურსი სავალდებულოა მეორე სლავური ენის კურსების გარდა, რომლებსაც სავალდებულო-არჩევითი სტატუსი აქვთ, ე.ი. 180-კრედიტიან პროგრამაში ფაქტობრივად არ გამოიყოფა არჩევითი კომპონენტი. ამგვარი სიხისტის გამო რუსული ენის მცოდნე სტუდენტები (ასეთები კი ნამდვილად არიან პროგრამაზე) ამაოდ ხარჯავენ დროსა და კრედიტებს ენის კურსების საფეხურებზე, რომელთა გავლაც მათთვის უსარგებლოა. ამასთან, სტუდენტს არ ეძლევა შესაძლებლობა, თავისი ინტერესებისა და წინარეცოდნის შესაბამისად აირჩიოს კურსები ძირითადი პროგრამის ფარგლებში.

პროგრამაში თავს იჩენს მსგავსი ფუნქციების მქონე კურსების დუბლირება. მაგალითად, ენის პრაქტიკული კურსების ერთგვარი ფუნქციური დუბლირებაა კურსები „საუბრის ხელოვნება და აუდირება“, „წერითი

მეტყველება“ და „სამეტყველო პრაქტიკა“. ამგვარი კურსების არსებობა პროგრამაში სავარაუდოდ განპირობებულია ენის პრაქტიკული კურსებისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობის სიმწირის კომპენსაციის საჭიროებით. ასევე ერთობ ბუნდოვანია პროგრამის სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ისეთი კურსების კავშირი, როგორებიცაა „ლათინური ენა“, „ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია“, „ანტიკური ლიტერატურის ისტორია“.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)**

თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და შინაარსი შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს - ბაკალავრიატს. პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. აქედან - 180 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებს. 155 ECTS კრედიტი, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები (მოიცავს 8 სემესტრს), 15 ECTS კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები (IV, V, VI სემესტრი), 10 ECTS კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი (VIII სემესტრი), რომელიც გახდა სავალდებულო. 60 ECTS კრედიტი განკუთვნილია თავისუფალი კომპონენტებისთვის. სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსებში შესულია ზოგადსაუნივერსიტეტო საგნები, მაგალითად, ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია, აგრეთვე, ლათინური ენა, რომლებიც არ არის კავშირში ძირითად სწავლის სფეროსთან. ხოლო თავისუფალი კომპონენტი მოიცავს დამატებით დარგობრივ კურსებს, რომელთა არჩევის შემთხვევაშიც სტუდენტი ფაქტობრივად იძულებული ხდება, უარი თქვას მეორე სპეციალობაზე, რითაც მნიშვნელოვნად იზღუდება მისი აკადემიური თავისუფლება და დასაქმების პერსპექტივები.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. რამდენიმე კურსი დაჯგუფებულია თემატურად და გარკვეული (ქრონოლოგიური) თანმიმდევრობის პრინციპით, მაგალითად, თურქეთის ისტორია 1, 2 და 3, ან თურქული ლიტერატურის ისტორია 1, 2 და 3.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)**

ბსუ-ის მიერ წარმოდგენილი „თურქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის მოცულობა 120 ECTS კრედიტია, აქედან: 65 ECTS კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები (მოიცავს 3 სემესტრს), 25 ECTS კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები (III სემესტრი), 30 ECTS კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი - (IV სემესტრი). აღნიშნული თანაფარდობა ლოგიკური და ადეკვატურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს - მაგისტრატურას და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო ნაწილი მოიცავს 13 სასწავლო კურსს და სამაგისტრო ნაშრომს. რაც შეეხება, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კომპონენტს, ის მოიცავს 16 სასწავლო კურსს და მესამე სემესტრშია გათვალისწინებული. სწავლების IV სემესტრში სტუდენტები ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს. სამაგისტრო ნაშრომის თემატიკას მაგისტრანტი ირჩევს თავისი ინტერესთა სფეროდან გამომდინარე (ლინგვისტიკა, ლიტერატურა, ისტორია). სამაგისტრო ნაშრომის შესრულება სტუდენტს აძლევს საშუალებას, მიღებული ცოდნისა და გამოუმუშავებული უნარ-ჩვევების საფუძველზე განახორციელოს ინოვაციური ხასიათის კვლევა დარგის არჩეულ მიმართულებაში. თუმცა პროგრამაში არ არის გათვალისწინებული სასწავლო კურსი, რომელიც ამ უნარებს განუვითარებს მაგისტრანტს (მაგალითად, „აკადემიური წერა“, „ისტორიის კვლევის მეთოდები“, „ლიტერატურის

კვლევის მეთოდები“). გვხვდება მხოლოდ „ლინგვისტური კვლევის თანამედროვე მეთოდები“, რომლითაც ვერ დაიფარება მოცემული სამაგისტრო პროგრამის მულტიდისციპლინური კვლევითი დიაპაზონი.

პროგრამით გათვალისწინებული საგანთა სემესტრული განლაგებისას უმეტეს შემთხვევაში დაცულია საგანთა წინაპირობა. პროგრამის სასწავლო კურსების თანმიმდევრულობა ლოგიკურად არის დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები შეესაბამება სწავლების საფეხურს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (ევროპული ფილოლოგია (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია), მეორე საფეხური)

სამაგისტრო პროგრამა „ევროპული ფილოლოგია“ აერთიანებს 3 მოდულს: ინგლისური/გერმანული/ფრანგული ფილოლოგია; თითოეულ მოდულში მაგისტრანტი ეუფლება ლინგვისტიკის და ლიტერატურის სხვადასხვა დისციპლინას. სამაგისტრო პროგრამის მოცულობაა 120 ECTS კრედიტი, საიდანაც 90 ECTS კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს (60 ECTS კრედიტი სავალდებულო, 30 ECTS კრედიტი არჩევითი). სწავლების I სემესტრის 25 ECTS კრედიტი მოიცავს მხოლოდ სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო 5 ECTS წარმოადგენს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კურსს. II სემესტრში 30 ECTS კრედიტი მოიცავს მხოლოდ სავალდებულო სასწავლო კურსებს, III სემესტრში 30 ECTS კრედიტი მოიცავს ერთ სავალდებულო კურსს (5 ECTS ) და 25 ECTS კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს, ხოლო IV სემესტრის 30 ECTS კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.

სამაგისტრო ნაშრომს მაგისტრანტი წერს ინტერესების სფეროდან გამომდინარე (ლინგვისტიკა / ლიტერატურათმცოდნეობა). პრაქტიკა აჩვენებს, რომ სტუდენტების 50% იცავს სამაგისტრო ნაშრომს ლინგვისტიკაში, ხოლო სტუდენტების 50% — ლიტერატურაში. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ პროგრამა, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების ფარგლებში სტუდენტებს სთავაზობს მხოლოდ ლინგვისტურ კურსებს, რის შედეგადაც ირღვევა ბალანსი ფილოლოგიის ორ ძირითად მიმართულებას — ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობას შორის. თავის მხრივ, „ლინგვისტური კვლევის თანამედროვე მეთოდები“-ს სავალდებულო კურსის საპირწონე ლიტერატურათმცოდნეობითი კურსი „ლიტერატურის თეორია და მე-20 საუკუნის ლიტერატურული სკოლები“ გვხვდება მხოლოდ არჩევითი კურსების ნუსხაში. შესაბამისად, სათუთა, სტუდენტი აღიჭურვოს ისეთი ცოდნითა და კომპეტენციებით, რომელიც საჭიროა სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად ლიტერატურის მიმართულებით. დისბალანსი ლიტერატურათმცოდნეობით და ენათმეცნიერულ კურსებს შორის შეინიშნება პროგრამის ყველა სავალდებულო მოდულში.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულება აძლევს სტუდენტს საშუალებას, მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული/გადრმავებული უნარ-ჩვევების საფუძველზე განახორციელოს ინოვაციური ხასიათის ინტერდისციპლინარული კვლევა დარგის არჩეულ მიმართულებაში. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, კონსტრუირებისა და წარდგენისათვის აუცილებელია სტუდენტს ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და კომპეტენცია აკადემიური წერის სტანდარტების და მათი აპლიკაციის შესახებ. „ევროპული ფილოლოგიის“ (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ფილოლოგია) პროგრამის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროგრამა არ სთავაზობს სტუდენტებს „აკადემიური წერის“ კურსს. პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სტუდენტების უმეტესობა „აკადემიური წერის“ კურსს გადის საბაკალავრო საფეხურზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული ფილოლოგიის სამაგისტრო საფეხურზე აბარებენ სტუდენტები, რომლებსაც საბაკალავრო საფეხური არ დაუსრულებიათ ფილოლოგიაში, არამედ ისინი არიან ეკონომიკის, საზ. ურთიერთობების, საერთაშორისო

ურთიერთობების და სხვა პროგრამების კურსდამთავრებულები, რომლებსაც აღნიშნული კურსი არ აქვთ გავლილი.

„ევროპული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს სთავაზობს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კურსებს ყველა სასპეციალიზაციო მოდულისთვის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ფილოლოგია). უნდა აღინიშნოს, რომ შეთავაზებული კურსების რაოდენობა, საიდანაც სტუდენტმა უნდა აირჩიოს ერთი კურსი, შეადგენს მხოლოდ ორ კურსს („ლინგვოსემიოტიკა“ და „ლიტერატურის თეორია და მე-20 საუკუნის ლიტერატურული სკოლები“).

ექსპერტთა მიერ პროგრამის შეფასებისას ისევე, როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული საგანთა სემესტრული განლაგებისას, უმეტეს შემთხვევებში, დაცულია საგანთა წინაპირობები. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში თავს იჩენს ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ საგანს „ინგლისური ენა C 1.3“ წინაპირობა არ აქვს მაშინ, როდესაც პროგრამაში მის წინაპირობად განსაზღვრულია საგანი „ინგლისური ენა C 1.2“.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია“ ახალია და პირველად გადის აკრედიტაციას, მაგრამ მის შესამუშავებლად, რაც 2020 წლიდან მიმდინარეობს ბსუ-ს ევროპეისტიკის დეპარტამენტში, გამოყენებულია მოქმედი სამაგისტრო პროგრამის „ლინგვისტიკა“ (მოდული „თარგმანმცოდნეობა“) და 2006-2010 წწ. მოქმედი სამაგისტრო პროგრამის „თარგმანი და კულტურათმორისი კომუნიკაცია“ განხორციელების გამოცდილება.

პროგრამით გათვალისწინებული საგნები უმეტესად შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა ძირითადად მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ საგნებს, თუმცა მასში ნაკლებად არის წარმოდგენილი პრაქტიკული სასწავლო კურსები კონკრეტული ენებიდან თარგმანში, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის განხორციელებაში.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვისათვის საჭირო კვლევითი უნარები სხვადასხვა კურსის ფარგლებში მეტნაკლებად იფარება. თუმცა პროგრამაში არ გვხვდება თარგმანის თეორიასთან, ანალიზთან და კრიტიკასთან დაკავშირებული კურსები, რომელთა გარეშეც თარგმანის კვლევა წარმოუდგენელია. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, კონსტრუირებისა და წარდგენისათვის აუცილებელია სტუდენტს ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და კომპეტენცია აკადემიური წერის სტანდარტების შესახებ. თუმცა წარმოდგენილი პროგრამა არ სთავაზობს სტუდენტებს „აკადემიური წერის“ კურსს. პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სტუდენტების უმეტესობა „აკადემიური წერის“ კურსს გადის საბაკალავრო საფეხურზე. თუმცა თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის სამაგისტრო საფეხურზე აბარებენ სტუდენტები, რომლებიც არიან სხვა პროგრამების კურსდამთავრებულები და აღნიშნული კურსი არ აქვთ გავლილი.

„თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის“ სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს სთავაზობს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კურსებს არჩეული ენობრივი სპეციალიზაციის შესაბამისად (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული). სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა გადასახედიან ენობრივი სპეციალიზაციის შესაბამისად.

ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული საგანთა სემესტრული განლაგებისას, უმეტეს შემთხვევებში, დაცულია საგანთა წინაპირობები. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში თავს იჩენს ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო გეგმის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ სასწავლო კურსებს: „ინგლისური, გერმანული,, ფრანგული, რუსული ენა C 1.1-ის წინაპირობას წარმოადგენს შესაბამისი სასპეციალიზაციო ენის B2 დონე, მაშინ, როდესაც პროგრამაში ამ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია B1 დონე (უმადლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) დაშვების წინაპირობებია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დასრულება და საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება. შემდეგ კი აბიტურიენტი აბარებს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებს სპეციალობაში და არჩევით უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული B1 დონე)

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამები თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამების შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიზნით გათვალისწინებული აქტივობები და კომპონენტები.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- შრომის ბაზრის კვლევა
- უსდ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის დადგენილება
- კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმი
- აკადემიური საბჭოს დადგენილება
- მემორანდუმები
- ინტერვიუს შედეგები

#### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. დამსაქმებლებს, სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, შეიტანონ წვლილი პროგრამის შემუშავებაში.
2. პროგრამის მოქნილობის უზრუნველსაყოფად და სტუდენტთა წინარეცოდნის გასათვალისწინებლად საჭიროა ენის პრაქტიკულ კურსებს მიენიჭოს არჩევითი სტატუსი.
3. ენის შესწავლის დაწყებამდე მნიშვნელოვანია, სტუდენტებს ჩაუტარდეთ ტესტირება ენის ცოდნის დონის დასადგენად, რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს ენის შესწავლა შესაბამისი საფეხურიდან.

#### კლასტერის საერთო რჩევები:

1. სასურველია, სასწავლო გეგმებში კურსები დაჯგუფდეს თემატური ან რაიმე სხვა ლოგიკური პრინციპით. მიზანშეწონილი ჩანს ასევე მოდულარული პრინციპის ამოქმედებაც, რათა



სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, არჩევითი მოდულის ფარგლებში გაიდრმავონ კომპეტენციები მათთვის სასურველი (ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ისტორიის, ქვეყანათმცოდნეობის...) მიმართულებით.

2. სასურველია, პროგრამების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება მათში უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების ჩართვით.

### **რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

#### **პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

##### **რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან
2. აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
3. გადაიხედოს და მოდიფიცირდეს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო გეგმა ინგლისური ენის ინტეგრირებულ კურსებთან დაკავშირებით; სტუდენტები განაწილდნენ ჯგუფებში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე ინგლისურ ენაში, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს, სწავლა დაიწყოს ინგლისური ენის იმ დონიდან, რომელიც შესაბამისი იქნება მის ენობრივ კომპეტენციასთან;
4. გადაიხედოს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო გეგმა (კურიკულუმი) დადგინდეს საგნებისათვის წინაპირობები და, რიგ შემთხვევაში, მოხდეს მათი მოდიფიკაცია.

##### **რჩევ(ებ)ი:**

#### **პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

##### **რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. გერმანული ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან
2. აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად გერმანული ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
3. გერმანული ფილოლოგიის პროგრამაში გადაიხედოს და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსისთვის წინაპირობები.

**რჩევ(ებ)ი:**

1. მნიშვნელოვანია, გერმანული ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში შექმნილი საბაკალავრო ნაშრომები ეფუძნებოდეს თანამედროვე ლიტერატურას (კვლევებს, სამეცნიერო სტატიებს და სხვა)

**პროგრამა 3** (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. რომანული ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან
2. აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად რომანული ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
3. რომანული ფილოლოგიის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა, „ძირითადი სპეციალობის“ ფარგლებში თანაბარი ადგილი დაეთმოს სხვადასხვა რომანულ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებულ თეორიულსა და პრაქტიკულ კურსებს, რისთვისაც შეიძლება გამოსადეგი აღმოჩნდეს კურიკულუმში არჩევითი მოდულების გამოყოფა.

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 4** (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. სლავური ფილოლოგიის პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან
2. აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად სლავური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
3. სლავური ფილოლოგიის კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა, „ძირითადი სპეციალობის“ ფარგლებში თანაბარი ადგილი დაეთმოს სხვადასხვა სლავურ ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებულ კურსებს და თანაბარი დატვირთვითა და მოცულობით ისწავლებოდეს ყველა სლავური ენა.
4. მნიშვნელოვანია, რომ სლავური ფილოლოგიის პროგრამაში სავალდებულო კურსეზე/საგნებზე დაშვების წინაპირობა იყოს დასამუშავებელი ლიტერატურისა და კურსის ასათვისებლად საჭირო წინარეცოდნის ადეკვატური.

**რჩევ(ებ)ი:**

1. სლავური ფილოლოგიის პროგრამის სტრუქტურა შეიძლება აიწყოს მოდულურული პრინციპით (რუსისტიკის, პოლონისტიკისა და უკრაინისტიკის სავალდებულო-არჩევითი მოდულები). თითოეულ მოდულში ენის კურსებთან ერთად მოექცეოდა შესაბამისი ქვეყნის

ლიტერატურისა და ქვეყანათმცოდნეობის კურსები, ასევე თარგმანთან, ფუნქციურ სტილისტიკასა და დარგობრივ ენებთან დაკავშირებული გამოყენებითი კურსები.

2. სწავლის შედეგების მისაღწევად სავსებით საკმარისი იქნებოდა, სლავური ფილოლოგიის პროგრამაში თითო ან ორ-ორი მსხვილი (5-6-კრედიტიანი) კურსი დათმობოდა თითოეულ სლავურ ენაზე შექმნილ ლიტერატურასა და სლავური ენების შედარებითი ენათმეცნიერული კვლევის საკითხებს.

#### **პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)**

##### **რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში უნდა მოექცეს მხოლოდ ის კურსები, რომლებიც თავსებადია ენის დაუფლების დარგობრივ აღმწერში მოცემულ სწავლის შედეგებთან
2. აკადემიური თავისუფლების პრინციპის უზრუნველსაყოფად თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში უნდა გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

##### **რჩევ(ებ)ი:**

3. სასურველია, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაეცნონ დარგობრივ ტექსტებს და ფლობდნენ სათანადო ლექსიკას, რაც დაეხმარებათ დასაქმებაში.

#### **პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)**

##### **რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. მნიშვნელოვანია, თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში სავალდებულო სტატუსით დაემატოს კურსები, რომლებითაც სტუდენტები დაეუფლებიან კვლევითი მიდგომებს (კვლევის მეთოდები) და კვლევის ტექნიკებს / დიზაინს (აკადემიური წერა).

##### **რჩევ(ებ)ი:**

1. სასურველია, თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები დამსაქმებლები და გაითვალისწინონ მათი რეკომენდაციები, რაც გაამარტივებს კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

#### **პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)**

##### **რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. მნიშვნელოვანია, ევროპული ფილოლოგიის პროგრამაში სავალდებულო სტატუსით დაემატოს კურსები, რომლებითაც სტუდენტები დაეუფლებიან კვლევითი მიდგომებს (კვლევის მეთოდები) და კვლევის ტექნიკებს / დიზაინს (აკადემიური წერა).
2. ევროპული ფილოლოგიის პროგრამაში დაცული უნდა იყოს ბალანსი ლიტერატურათმცოდნეობით და ენათმეცნიერულ კომპონენტებს შორის, რისთვისაც შეიძლება გამოსადეგი აღმოჩნდეს კურიკულუმში არჩევითი მოდულების გამოყოფა.

##### **რჩევ(ებ)ი:**

1. სასურველია, უნივერსიტეტმა შესთავაზოს ევროპული ფილოლოგიის პროგრამის სტუდენტებს საგნების ფართო არჩევანი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსების (ყველა სასპეციალიზაციო მოდულისთვის) ფარგლებში;

**პროგრამა 8** (თარგმანმცოდნეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. მნიშვნელოვანია, თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის პროგრამაში სავალდებულო სტატუსით დამატოს კურსები, რომლებითაც სტუდენტები დაეუფლებიან კვლევითი მიდგომებსა (თარგმანის კვლევის მეთოდები, თარგმანის კრიტიკა) და კვლევის ტექნიკებს / დიზაინს (აკადემიური წერა).
2. თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, დაცული იყოს ბალანსი თეორიულ (ზოგად თარგმანმცოდნეობით) და პრაქტიკულ (დარგობრივი და ლიტერატურული თარგმანი შესაბამისი ენებიდან) კომპონენტებს შორის.

**რჩევ(ებ)ი:**

1. თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის პროგრამის სასწავლო გეგმა შესაძლებელია მოდულარული პრინციპით მოდიფიცირდეს (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული სასპეციალიზაციო ენის მოდულები). თითოეულ მოდულში ინტეგრირდეს პრაქტიკული სასწავლო კურსები კონკრეტული ენიდან თარგმანში, ასევე დარგობრივ თარგმანთან დაკავშირებული პრაქტიკული სასწავლო კურსები.
2. უნივერსიტეტმაგმანთან დაკათარგმანმცოდნეობისაან დაკავშირებული პრაქტიკული სასწავლო კურსესტუდენტებსძირითადიციოდნელის სფეროს არჩევითი კურსების ფართოადიციოდნელ ართოადიციარჩეული ენობრივი სპეციალიზაციის ფარგლებში;

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამებში ინტეგრირებული სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს ინფორმაციას სასწავლო კურსის სტატუსის, მისი ავტორების, განმახორციელებელი პირების, სასწავლო კურსის მიზნების, კრედიტების რაოდენობისა და საათების განაწილების, დაშვების წინაპირობების, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და შესაბამისი აქტივობების, ცოდნის შეფასების ფორმების, კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების, სწავლის შედეგების, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის შესახებ. თუმცა, პროგრამის შინაარსში გაწერილი არ არის ლექციით გათვალისწინებული ლიტერატურა გვერდების მითითებით.

ბსუ-ში მოქმედებს სწავლის შედეგების შეფასების უნიფიცირებული სისტემა, რომელიც აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესში. შედეგად, ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება ერთიდაიგივე (ძირითადად, ტრადიციული) შეფასების კომპონენტებით (წერითი გამოკითხვა, ზეპირი გამოკითხვა). ამრიგად, ყველა კურსისთვის წინასწარ დადგენილია შუალედური და დასკვნითი შეფასებების რაოდენობაც და ფორმატიც, რითაც იზღუდება პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლება, უგულებელყოფილი რჩება სასწავლო კურსების ინდივიდუალური სპეციფიკა და შეუძლებელი ხდება სასწავლო კურსის ფარგლებში სწავლის თითოეული შედეგის შეფასება.

ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ლექტორებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასალა სტუდენტებს კვირეულად ეტვირთებათ მათთვის განკუთვნილ პორტალზე. თუმცა სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ არსებობდა შემთხვევები, როდესაც ლექტორებს არ აუტვირთავთ მოსამზადებელი მასალა მათთვის განკუთვნილ პორტალზე. პროგრამის ფარგლებში მოქმედი საგნებით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურა, მეტწილად,

ასახავს დარგის თანამედროვე მიღწევებს და ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო კატალოგში ბეჭდური და ელექტრონული ფორმით. პროგრამით გათვალისწინებული საგნების ნაწილში ძირითად ლიტერატურად მითითებულია ე.წ. „რიდერები“. ექსპერტთა ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არ თავსდება კურსებში ინტეგრირებული „რიდერები“ და კურსის ხელმძღვანელი/ლექტორი უზიარებს რესურსებს სტუდენტებს.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

ბსუ-ის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში მოცემული კურსები, მათში ასახული შედეგების გათვალისწინებით, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსების შედეგები უმეტესად შესაბამისია საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებთან. კურსების კრედიტების გადანაწილება, უმეტესწილად, მოცემულია კურსის შინაარსის გათვალისწინებით (შესავალი ფილოსოფიაში - 4 ECTS კრედიტი, საინფორმაციო ტექნოლოგიები 3 ECTS კრედიტი, ბრიტანეთისმცოდნეობის საფუძვლები - 5 ECTS კრედიტი და კომუნიკაციური გრამატიკა 1 – 2 ECTS კრედიტი).

უმეტესწილად, პროგრამაში შემავალ საგანთა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა დაცულია საგნის შინაარსის გათვალისწინებით. მაგალითად, საგანი „ინგლისური ენის სტილისტიკა“ მოიცავს - 6 ECTS კრედიტს - 125 საათს, ამათგან 45 საათი საკონტაქტოა (ლექცია 13 სთ (I-XV კვირა); ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა/ სემინარი/ლაბორატორიული 29 სთ (I-XV კვირა); შუალედური გამოცდა - 1 სთ (IX კვირა) და დასკვნითი გამოცდა - 2 სთ (XVI-XIX კვირა), ხოლო 80 საათი არასაკონტაქტო (მზადება ჯგუფში მუშაობისთვის/პრაქტიკული მუშაობისთვის/ სემინარისთვის/ ლაბორატორიული სთავისთვის 60 სთ; მზადება შუალედური გამოცდისთვის 5 სთ; მზადება დასკვნითი გამოცდისთვის 15 სთ.).

პროგრამით გათვალისწინებულ რიგ საგნებში (ძირითადად, ინგლისური ენის ინტეგრირებული კურსები), სტუდენტები 2 სემესტრის განმავლობაში გადიან ერთ სახელმძღვანელოს, რის შედეგადაც 4-5 კვირის განმავლობაში იფარება მხოლოდ ერთი თავი/საკითხი; მაგალითად, საგნებისათვის - „ინგლისური ენის ინტეგრირებული კურსი B1.1“ და „ინგლისური ენის ინტეგრირებული კურსი B1.2.“ - ძირითად ლიტერატურად განსაზღვრულია - 1. Skills for success- Reading and writing- Debra Daise, Charles Norloff, Oxford University press. 2020. და 2. Skills for success- Speaking and Listening- Debra Daise, Charles Norloff, Oxford University press. 2020.

გარდა ამისა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ მათ აქვთ სურვილი, გაიზარდოს ინგლისური ენის პრაქტიკული კურსების სააუდიტორიო შეხვედრების რაოდენობა სტუდენტებთან, რაც საშუალებას მისცემს ლექტორს, ერთი მხრივ, დაფაროს ლიტერატურით გათვალისწინებული მასალა რელევანტურად, მეორე მხრივ, შესრულდეს ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნები ენათა კონკრეტული დონის დაუფლებისათვის საჭირო საათების რაოდენობის დაფარვის თვალსაზრისით.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

ბსუ-ის გერმანული ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში მოცემული სასწავლო კურსები, მათში ასახული შედეგების გათვალისწინებით, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსების შედეგები უმეტესად შესაბამისია საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებთან. სასწავლო კურსების კრედიტების გადანაწილება არ არის უნიფიცირებული. სასწავლო კურსებს მინიჭებული აქვთ - 3, 4 ან 5 ECTS კრედიტი, რაც ნაწილდება

ლექციაზე, ჯგუფში მუშაობაზე, შუალედური გამოცდასა და დასკვნითი გამოცდაზე (საკონტაქტო), მზადებაზე ჯგუფში მუშაობისთვის, შუალედური გამოცდისთვის და დასკვნითი გამოცდისათვის (დამოუკიდებელი მუშაობა).

პროგრამით გათვალისწინებულ რიგ თეორიულ (ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა) სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურის ნაწილი მოძველებულია. გარდა ამისა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ მათ აქვთ სურვილი, გაიზარდოს გერმანული ენის პრაქტიკული კურსების სააუდიტორიო შეხვედრების რაოდენობა სტუდენტებთან, რაც საშუალებას მისცემს ლექტორს, ერთი მხრივ, დაფაროს ლიტერატურით გათვალისწინებული მასალა რელევანტურად, მეორე მხრივ, შესრულდეს ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნები ენათა კონკრეტული დონის დაუფლებისათვის საჭირო საათების რაოდენობის დაფარვის თვალსაზრისით.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია (გრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა, პირველი საფეხური)**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგთა ანალიზის გათვალისწინებით დასტურდება, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის „რომანული ფილოლოგია“ ფარგლებში მოცემული კურსები, მათში გაწერილი შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. კურსების შედეგები შესაბამისია საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებთან.

კურსების კრედიტების გადანაწილება უნიფიცირებულია. ყველა სასწავლო კურსს მინიჭებული აქვს - 5 ECTS კრედიტი, რაც ნაწილდება ლექციაზე, ჯგუფში მუშაობაზე, შუალედური გამოცდასა და დასკვნითი გამოცდაზე (საკონტაქტო), მზადებაზე ჯგუფში მუშაობისთვის, შუალედური გამოცდისთვისა და დასკვნითი გამოცდისათვის (დამოუკიდებელი მუშაობა).

ექსპერტთა მიერ პროგრამის შეფასებისას ისევე, როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებულ რიგ საგნებში სტუდენტები რამდენიმე სემესტრის განმავლობაში გადიან ერთ სახელმძღვანელოს. თუმცა პროგრამის ფარგლებში მოქმედი საგნებით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურა, მეტწილად, ასახავს დარგის თანამედროვე მიღწევებს და ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო კატალოგში ბეჭდური და ელექტრონული ფორმით ნებისმიერი სტუდენტისა და დაინტერესებული მხარისათვის.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

„ძირითადი სპეციალობის“ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც თვალსაჩინოაა წარმოდგენილი სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე. თუმცა სასწავლო კურსების შინაარსებსა და ამ კურსების სწავლის შედეგებს შორის რიგ შემთხვევაში თავს იჩენს შეუსაბამობები. სწავლის შედეგების მისაღწევად არასაკმარისი ჩანს თეორიული კურსებისთვის გამოყოფილი კრედიტებისა და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობაც. მაგალითად, ერთ-ერთი კურსის სილაბუსში ვკითხულობთ, რომ კურსის მიზანია, „გააუმჯობესოს მხატვრული ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციის განხორციელების უნარ-ჩვევები“. ეს მიზანი იმავე სილაბუსის სწავლის შედეგებში ამგვარად ითარგმნა: „ფლობს მეცნიერული დაკვირვებისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს, შეუძლია კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით და არგუმენტირებული დასკვნების



გაკეთება“. ლიტერატურული ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება შეუძლებელია სასემინარო დისკუსიებისა და პრეზენტაციების გარეშე, ესეებისა და წერიტი ნაშრომების გარეშე. რაც მთავარია, ამგვარი კურსის ფარგლებში აუცილებელია, სტუდენტმა წაიკითხოს თვითონ ლიტერატურული ნაწარმოებები და იმსჯელოს (ზეპირადაც და წერილობითაც) მათ შესახებ. მაგრამ ამ სილაბუსის არც ძირითადი და არც დამხმარე ლიტერატურის ნუსხაში და არც შინაარსის ნაწილში არაა ნახსენები არც ერთი ლიტერატურული ნაწარმოები. ისმის კითხვა: რას ეთმობა თითოსათიანი ლექციის გარდა ე.წ. პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი ყოველკვირეული 2-2 საათი? ან როგორ შეიძლება შემოწმდეს ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი ზეპირი და წერილობითი გამოცდების ფარგლებში, რომლებიც მხოლოდ თეორიული საკითხების გამოკითხვით შემოიფარგლება? თვალშისაცემია ასევე ის, რომ აღნიშნული კურსი 4-კრედიტიანია და დამოუკიდებელი მუშაობისთვის სტუდენტს სემესტრში რჩება 55 საათი, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტს კვირაში საშუალოდ 3,5 საათზე მეტი არ უნდა ეხარჯებოდეს ლიტერატურული ტექსტების წაკითხვაზე. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შესაძლებელი, თუ თითოეული სემინარისთვის მომცრო ტექსტები იქნება შერჩეული. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვაგვარი მოცულობის (ECTS) კურსების არსებობა პროგრამაში ზოგადად მისასალმებელია, ამკარაა, რომ აკადემიურსა და მოწვეულ პერსონალს არ აქვს გაცნობიერებული კრედიტების რაოდენობის კორელაცია სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის საჭირო საათების რაოდენობასთან. ასევე ბუნდოვანი რჩება სასწავლო კურსებისთვის კონკრეტული რაოდენობის კრედიტების მინიჭების ლოგიკა (ვერც ერთმა პროფესორ-მასწავლებელმა ვერ ახსნა, რის საფუძველზეა მისი კურსი, მაგალითად, სამკრედიტიანი და არა ოთხკრედიტიანი).

ბსუ-ში მოქმედებს სწავლის შედეგების შეფასების უნიფიცირებული სისტემა, რომელიც აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესში. შედეგად, ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება ერთიდაიგივე (ძირითადად, ტრადიციული) შეფასების კომპონენტებით (წერიტი გამოკითხვა, ზეპირი გამოკითხვა). ამრიგად, ყველა კურსისთვის წინასწარ დადგენილია შუალედური და დასკვნითი შეფასებების რაოდენობაც და რაგვარობაც, რითაც იზღუდება პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლება, უგულვებელყოფილი რჩება სასწავლო კურსების ინდივიდუალური სპეციფიკა და შეუძლებელი ხდება სასწავლო კურსის ფარგლებში სწავლის თითოეული შედეგის შეფასება.

სილაბუსებში დიდწილად უკანასკნელი 10-20 წლის განმავლობაში გამოცემული რუსულენოვანი სამეცნიერო წყაროები და სახელმძღვანელოებია მითითებული, რაც გვაპარაუდებინებს, რომ სწავლებისას გათვალისწინებული იქნება სლავური ანდა უწინარესად რუსული ფილოლოგიის აქტუალური მიღწევები. თუმცა უმეტესწილად ძირითადი ლიტერატურის გრაფებში ჩამოთვლილია თეორიული სამეცნიერო წყაროები. კონკრეტულად რომელი ლიტერატურული ან დარგობრივი ტექსტები ან სხვა სახის მასალა იქნება გამოყენებული დაკვირვებისა და ანალიზისთვის, უმეტესწილად დაუზუსტებელი რჩება. ამასთან, შეიმჩნევა რუსულენოვანი წყაროების სიჭარბე სხვა სლავურ ენებზე შექმნილ სამეცნიერო წყაროებთან მიმართებით.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)**

ბსუ-ს მიერ წარმოდგენილი „თურქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსები და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ყოველივე ეს ასახულია სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე.



პროგრამა მოიცავს 36 სავალდებულო და 12 არჩევით კურსს. როგორც ძირითადი, ასევე არჩევითი კურსების უმეტესობა 5 კრედიტიანია, თუმცა არის 3 და 4 კრედიტიანი კურსებიც. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ადეკვატურია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა. მაგალითად, 5 კრედიტიან სასწავლო კურსში 60 საკონტაქტო საათი გადანაწილებულია ლექციაზე, ჯგუფში მუშაობაზე, შუალედურ გამოცდასა და დასკვნითი გამოცდაზე, ხოლო 65 საათი ეთმობა დამოუკიდებელ მუშაობას, რომელიც გადანაწილებულია მზადებაზე ჯგუფში მუშაობისთვის, შუალედური გამოცდისთვისა და დასკვნითი გამოცდისათვის.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ძირითადად შეესაბამება სწავლის სფეროს მიღწევებს, თუმცა ზოგიერთი მათგანი საჭიროებს გადახედვას და ახალი მასალით შევსებას. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში სალექციო კურსის გასწვრივ არ არის მითითებული შესაბამისი ლიტერატურა. თურქული ენის კურსის სილაბუსებში A1-დან B2 დონემდე მითითებულია ერთი და იგივე სახელმძღვანელო. მთელ რიგ სილაბუსებში სალექციო თემები მითითებულია თურქულად, რაც არ არის მართებული, რადგან სწავლების ენა არის ქართული.

თურქული ლიტერატურის ისტორიის სილაბუსებში, არ არის მითითებული უახლესი ლიტერატურა ქართულ ენაზე. თურქული ლიტერატურის ისტორია 1, კურსის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ჩანაცვლდეს თურქული ფოლკლორის კურსით. რაც შეეხება, ქვეყანათმცოდნეობის პროფილის დისციპლინებს, სასურველია, აქაც მოხდეს ლიტერატურის გადახალისება და სტუდენტები თურქულ ენაზეც გაეცნონ მასალებს, რაც მათ საშუალებას მისცემს, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას, რომელიც სავალდებულო გახდა, გამოიყენონ თურქული სამეცნიერო ლიტერატურა.

ზოგადად, სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითობის პრინციპით შეამოწმა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და უმეტესობა მათგანი არ აღმოჩნდა უსდ-ს ბიბლიოთეკაში. როგორც გაირკვა, ეს წიგნები ინახება თურქოლოგიის დეპარტამენტის ბიბლიოთეკაში.

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### **პაღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)**

ბსუ-ს მიერ წარმოდგენილი „თურქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსები და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სამაგისტრო პროგრამაში სავალდებულო საგნები წარმოდგენილია 13 სასწავლო კურსით, არჩევითი საგნები კი 16 არჩევითი კურსით, რომლებიც დაჯგუფებულია სემესტრულად (1,2,3). წარმოდგენილ პროგრამას ახლავს სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა.

როგორც ძირითადი, ასევე არჩევითი კურსები სტანდარტულად 5 ECTS კრედიტიანია, მხოლოდ ორი არჩევითი კურსია 10-კრედიტიანი. კრედიტებით გათვალისწინებული საკონტაქტო საათები მოიცავს - ლექციას, ჯგუფში მუშაობას, შუალედურ და დასკვნით გამოცდას, დამოუკიდებელი მუშაობა - მზადებას

ჯგუფში მუშაობისთვის, მზადებას შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას. სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს.

სასწავლო კურსის სილაბუსების გაცნობის შედეგად აღმოჩნდა, რომ თურქულ ენა C 1.1, თურქულ ენა C 1.2 და თურქულ ენა C 1.3 სტუდენტებმა უნდა გაიარონ ერთი სახელმძღვანელოთი, კერძოდ, Yeni HİTİT (Yabancılar için Türkçe – DERS KİTABI) 3. Ankara, 2012.

მთელ რიგ სილაბუსებში სალექციო თემები მითითებულია თურქულ ენაზე, რაც მიუღებელია, რადგან სწავლების ენა არის ქართული. სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში, სალექციო თემების გასწვრივ არ არის მითითებული სათანადო ლიტერატურა. ზოგიერთი კურსის სათაური არ შეესატყვისება მის შინაარსს, კერძოდ, „თურქული ენის ისტორიის“ კურსი, რომლის სალექციო თემები ეხება თურქული ენების ისტორიას (პროტო თურქულ ენებს, ჩუვაშურს, ყარახანულს, ხორეზმულს, ყივჩაღურს და სხვა) და მხოლოდ ერთი ლექცია ეხება საკუთრივ თურქულ (ანატოლიურ) ენას. ხოლო ოსმალური დიპლომატიკის და პალეოგრაფიის კურსის ფარგლებში ნარატიულ წყაროებს უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ვიდრე დოკუმენტური წყაროების შესწავლას.

პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს, თუმცა, სილაბუსში მითითებული ლიტერატურა საჭიროებს განახლებას და გამრავალფეროვნებას.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (ევროპული ფილოლოგია (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია), მეორე საფეხური)

ევროპული ფილოლოგიის პროგრამის ფარგლებში მოცემული კურსები, მათში ასახული შედეგების გათვალისწინებით, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსების შედეგები უმეტესად შესაბამისია სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან. კურსების კრედიტების გადანაწილება უნიფიცირებულია. ყველა სასწავლო კურსს მინიჭებული აქვს - 5 ECTS კრედიტი, რაც ნაწილდება ლექციაზე, ჯგუფში მუშაობაზე, შუალედური გამოცდასა და დასკვნითი გამოცდაზე (საკონტაქტო), მზადებაზე ჯგუფში მუშაობისთვის, შუალედური გამოცდისთვის და დასკვნითი გამოცდისათვის (დამოუკიდებელი მუშაობა).

პროგრამით გათვალისწინებულ რიგ საგნებში (ძირითადად, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების კურსები), სტუდენტები 3 სემესტრის განმავლობაში გადიან ერთ სახელმძღვანელოს, რის შედეგადაც 4-5 კვირის განმავლობაში იფარება მხოლოდ ერთი თავი/საკითხი; მაგალითად, საგნებისათვის - ინგლისური ენა C 1.1., ინგლისური ენა C 1.2. და ინგლისური ენა C 1.3. - ძირითად ლიტერატურად განსაზღვრულია - 1. Clive Oxenden, Christina Latham-Koenig “New English File,” Advanced Students’ Book, Oxford University Press, 2010. 2. Clive Oxenden, Christina Latham-Koenig with Jane Hudson “New English File,” Advanced Workbook, Oxford University Press, 2010. და 3. M. Matasek “English Advanced Vocabulary and Structure” Practice, 2003. მიუხედავად იმისა, რომ 4-5 კვირის განმავლობაში თითო საკითხი/თავი ჩაშლილია სხვადასხვა ასპექტად, აუცილებელია გამდიდრდეს ინგლისური ენის ინტეგრირებული კურსების ძირითადი ლიტერატურის ნაწილი, რაც საშუალებას მისცემს კურსის ლექტორს, დაფაროს გაცილებით მეტი მასალა, რაც სასარგებლო და შედეგის მომტანი იქნება სტუდენტისათვის ენის სრულყოფის თვალსაზრისით. გარდა ამისა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ მათ აქვთ სურვილი, გაიზარდოს ინგლისური ენის პრაქტიკული კურსების სააუდიტორიო

შეხვედრების რაოდენობა სტუდენტებთან, რაც საშუალებას მისცემს ლექტორს, ერთი მხრივ, დაფაროს ლიტერატურით გათვალისწინებული მასალა რელევანტურად, მეორე მხრივ, შესრულდეს ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნები ენათა კონკრეტული დონის დაუფლებისათვის საჭირო საათების რაოდენობის დაფარვის თვალსაზრისით.

„ევროპული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის გერმანული ენის მოდულის რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსებში („ლექსიკური სემანტიკა“, „სოციოლინგვისტიკა“, „ფსიქოლინგვისტიკა“, „ტექსტის ლინგვისტიკა“) მითითებულია ერთი-და-იგივე სახელმძღვანელო სავალდებულო ლიტერატურიდან - გამყრელიძე, თ., კიკნაძე ზ., შადურიძე, შენგალაია ნ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003.

„ევროპული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება 2005 წლიდან. მას აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წლის 12 მარტს პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი N 2, გადაწყვეტილება N16 საფუძველზე. გასული აკრედიტაციის დროს პროგრამა წარმოდგენილი იყო სახელწოდებით „ევროპეისტიკა“. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა კურსის „სწავლების თანამედროვე მეთოდების“ შეტანას პროგრამაში არჩევითი კურსის სტატუსით. უნივერსიტეტმა გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაცია, ასევე სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მოთხოვნა და კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ პროგრამაში შევიდა ძირითადი კურსის სტატუსით. მოწოდებული დოკუმენტების, სილაბუსებისა და ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები არსებულ კურსს გადიან სწავლების პირველ სემესტრში და კურსს უძღვება სამი სხვადასხვა ლექტორი „ევროპული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის მოდულების მიხედვით - ინგლისური, გერმანული და ფრანგული ფილოლოგია. თუმცა, ინფორმაცია ამის შესახებ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იძებნება, რაც ქმნის ერთგვარ ბუნდოვანებას. ასევე წარმოდგენილ სილაბუსებში ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ, კურსის „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ გერმანული ფილოლოგიის მოდულისათვის სასწავლო მასალად ფრანგულენოვანი ვიდეო გაკვეთილებია მითითებული (ვიდეო გაკვეთილი: <http://video.coursgratuits.net/5/p-psychologie-langues.php>).

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)

ბსუ-ის თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები, მათში ასახული შედეგების გათვალისწინებით, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსების შედეგები უმეტესად შესაბამისია სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგების ანალიზის საფუძველზე. კურსების კრედიტების გადანაწილება უნიფიცირებულია. ყველა სასწავლო კურსს მინიჭებული აქვს - 5 ECTS კრედიტი, რაც ნაწილდება ლექციაზე, ჯგუფში მუშაობაზე, შუალედური გამოცდასა და დასკვნითი გამოცდაზე (საკონტაქტო), მზადებაზე ჯგუფში მუშაობისთვის, შუალედური გამოცდისთვისა და დასკვნითი გამოცდისათვის (დამოუკიდებელი მუშაობა).

ინგლისური, გერმანული ფრანგული და რუსული ენების კურსების ძირითადი ლიტერატურის ნაწილი გადახედვას საჭიროებს. გარდა ამისა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მათ სურვილი აქვთ, გაიზარდოს ენის პრაქტიკული კურსების საკონტაქტო საათების რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს ლექტორს, ერთი მხრივ, დაფაროს ლიტერატურით გათვალისწინებული მასალა რელევანტურად, მეორე მხრივ, შესრულდეს ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნები ენათა კონკრეტული დონის დაუფლებისათვის საჭირო საათების რაოდენობის დაფარვის თვალსაზრისით.

მოწოდებული დოკუმენტების, სილაბუსებისა და ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ინგლისურენოვანი მასალა, რაც მნიშვნელოვნად გაართულებს მასალის დამუშავებას არჩეული ენობრივი სპეციალიზაციის შესაბამისად (გერმანული, ფრანგული და რუსული ენა) (თარგმანის ტექნოლოგიები - სალექციო კურსის ელექტრონული რიდერი. 2020. მ.აროშიძე, ნ.აროშიძე: (Baker M. In Other Words. მე-3 გამოცემა (3rd ed). Routledge. 2018. Mossop B. Revising and Editing for Translators. (3rd ed) მე-3 გამოცემა. Routledge. 2014. Byrne J. Scientific and Technical Translation Explained; St. Jerome Publication. 2012. Newmark P. A Textbook of Translation. Prentice Hall International English Language Teaching. The Translation Studies Reader. Routledge. 2012 (ამონარიდი)), „სამეცნიერო-ტექნიკური დისკურსის თარგმანი“ - რიდერი. 2020: (Routledge. 2018. Mossop B. Revising and Editing for Translators. (3rd ed) მე-3 გამოცემა. Routledge. 2014. Byrne J. Scientific and Technical Translation Explained; St. Jerome Publication. 2012. Newmark P. A Textbook of Translation. Prentice Hall International English Language Teaching. The Translation Studies Reader. Routledge. 2012 (ამონარიდი)).

თარგმანმცოდნეობის სფეროში დღეისათვის აქტიურად იყენებენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და პარალელურ კორპუსებს. „აუდიოვიზუალური თარგმანი და სმარტ-ტექნოლოგიების“ სასწავლო კურსის სილაბუსში მერვე კვირის თემატიკაში მოცემულია თანამედროვე სმარტ-ტექნოლოგიების გამოყენების უპირატესობები და შეზღუდვები (TRADOS, CAT, MT), თუმცა ამ თემის აქტუალობიდან და მასალის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია აღნიშნული თემატიკის განვრცობა და ინტეგრირება სხვა სასწავლო კურსებშიც. აგრეთვე დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის შედეგების ინტეგრირება დარგობრივ თარგმანზე სპეციალიზირებულ სასწავლო კურსებში, რათა შესაძლებელი გახდეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკები
- სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკები
- სასწავლო კურსის/საგნის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.
- ინფრასტრუქტურისა და რესურსების დათვალიერების შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;

#### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით და პროგრამებში ფუნქციური დუბლირებების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია, გაიზარდოს ენის კურსებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების რაოდენობა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე (თითო ქვესაფეხურის დასაძლევად საკონტაქტო საათების მინიმალური რაოდენობა არ უნდა იყოს კვირაში 6-8 საათზე ნაკლები).

#### კლასტერის საერთო რჩევები:

1. სასურველია, სასწავლო კურსის სილაბუსებში დაკონკრეტდეს ყოველკვირეული სასწავლო მასალა გვერდების მითითებით.

#### **რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

##### **პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

###### **რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის კურსებისთვის ლექტორის/კურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი „რიდერები“ განთავსდეს უნივერსიტეტის ბილიოთეკაში.

###### **რჩევ(ებ)ი:**

1. გამდიდრდეს ინგლისური ენის ინტეგრირებული კურსების ძირითადი ლიტერატურის ნაწილი ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში.

##### **პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

###### **რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. გერმანული ფილოლოგიის პროგრამის კურსებისთვის ლექტორის/კურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი „რიდერები“ განთავსდეს უნივერსიტეტის ბილიოთეკაში.

###### **რჩევ(ებ)ი:**

1. განახლდეს გერმანული ფილოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსებში ძირითადი ლიტერატურის ნაწილი;

##### **პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

###### **რეკომენდაცი(ებ)ი:**

###### **რჩევ(ებ)ი:**

1. გამდიდრდეს ფრანგული ენების კურსების ლიტერატურის ნაწილი, თუნდაც დამატებითი ლიტერატურის სახით.

##### **პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

###### **რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. სლავური ფილოლოგიის პროგრამაში თითოეული სასწავლო კურსი უნდა გადაიხედოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი შინაარსისა და სწავლის შედეგების ურთიერთშესაბამისობა.
2. სლავური ფილოლოგიის პროგრამაში თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა უნდა განისაზღვროს ამ კურსის შინაარსითა და ინდივიდუალური სპეციფიკით.

3. სლავური ფილოლოგიის პროგრამაში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა უნდა იყოს ადეკვატური და შესაბამისად შესაწავლო კურსის ინდივიდუალურ (!) სპეციფიკას.
4. სლავური ფილოლოგიის პროგრამაში სწავლის შედეგებთან სასწავლო მასალის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, სილაბუსებში სამეცნიერო წყაროებთან ერთად მითითებული იყოს დაკვირვების ობიექტად გამოსადეგი პირველადი წყაროებიც / საკვლევი ტექსტებიც.

**რჩევ(ებ)ი:**

1. სასურველია, სლავური ფილოლოგიის თეორიული კურსების შემთხვევაში გამოიყოს მეტი დრო დამოუკიდებელი მუშაობისთვის, რაც უნდა აისახოს მათთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობაზეც.
2. პროგრამაში, რომელსაც სლავისტიკის პროფილი აქვს, უნდა გამოიყენებოდეს არა მხოლოდ რუსულენოვანი, არამედ სხვა (სლავურ) ენებზე შექმნილი სამეცნიერო წყაროებიც.

**პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. უსდ-ს ბიბლიოთეკაში განთავსდეს თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა.

**რჩევ(ებ)ი:**

1. თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსებში სალექციო თემები მიეთითოს ქართულ ენაზე.
2. თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილ სილაბუსებში გადაიხედოს და განახლდეს ლიტერატურა.
3. სასურველია, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში მეტი ყურადღება დაეთმოს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას.
4. სასურველია, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ყურადღება გამახვილდეს დარგობრივ ტექსტებზე.

**პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსის სათაური შესაბამისი იყოს მის შინაარსთან (დასათაურდეს როგორც „თურქული ენების ისტორია“ და არა „თურქული ენის ისტორია“).

**რჩევ(ებ)ი:**

1. თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში სალექციო თემები მიეთითოს ქართულ ენაზე;
2. სასურველია, თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში განახლდეს ლიტერატურა და გამოყენებული იყოს ქართველი ავტორების უახლესი ნაშრომები.

**პროგრამა 7** (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. ევროპული ფილოლოგიის პროგრამაში სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ ინტეგრირდეს სასპეციალიზაციო მოდულების ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების ნაწილში, ასევე გადაიხედოს სასწავლო ლიტერატურა და კურსს გაუძღვეს შესაბამისი დარგის სპეციალისტი;
2. ევროპული ფილოლოგიის პროგრამისთვის ლექტორის/კურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი „რიდერები“ განთავსდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

**რჩევ(ებ)ი:**

1. ევროპული ფილოლოგიის პროგრამაში გამდიდრდეს ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების კურსების ძირითადი ლიტერატურის ნაწილი;

**პროგრამა 8** (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირდეს სასწავლო ლიტერატურა სასპეციალიზაციო ენების შესაბამისად, ასევე გადაიხედოს და კურსს გაუძღვეს შესაბამისი დარგის სპეციალისტი;
2. თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის პროგრამაში ლექტორის/კურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი „რიდერები“ განთავსდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

**რჩევ(ებ)ი:**

1. სასურველია, კომპიუტერულ ტექნოლოგიების და პარალელური კორპუსების ინტეგრირება თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში;
2. თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის პროგრამაში გამდიდრდეს ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენების კურსების ძირითადი ლიტერატურის ნაწილი;

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>



პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საკანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>



## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასათვის.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამაზე სტუდენტთა დაშვება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. კერძოდ, „საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საბაკალავრო საფეხურზე დაშვების წინაპირობებია სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

პროგრამაზე მიღება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად. კონტიგენტის დაგეგმვის პროცესში შეფასებული და გათვალისწინებულია შემდეგი ფაქტორები: პროგრამის სპეციფიკა, დაწესებულებაში არსებული ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები, რომელიც საჭიროა მოცემული პროგრამის განხორციელებისთვის, ისევე როგორც ბაზრის კვლევის შედეგები და დამსაქმებელთა უკუკავშირი.

#### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

“ინგლისური ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის #111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” შესაბამისად.

„ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტის ჩარიცხვისათვის, ბსუ-ს განსაზღვრული აქვს მინიმალური ზღვარი თითოეულ საგამოცდო საგანში: ინგლისური ენა 50% -ზე მეტი, ქართული ენა და ლიტერატურა 25% -ზე მეტი და ერთერთი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან: ისტორია 25%-ზე მეტი ან ლიტერატურა 25 %-ზე მეტი. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აბიტურიენტები საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღებიან საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების მიხედვით. ბაკალავრიატში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც მიღებული აქვთ საშუალო ან მისი ეკვივალენტური განათლება. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აბიტურიენტების, სტუდენტების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის

კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად.

„ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის (გადმოყვანის) წესით. პროგრამაზე ჩარიცხვისა და დაშვების წინაპირობის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ასევე საინფორმაციო ბუკლეტებიდან, უნივერსიტეტის ოფიციალური Facebook გვერდიდან და ღია კარის დღეების დროს საინფორმაციო/საორიენტაციო შეხვედრებზე.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის 06 გადაწყვეტილების „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის თაობაზე“, დასაქმების ბაზრის კვლევის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინების საფუძველზე ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვრა - 100 სტუდენტით.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

ბსუ-ს განსაზღვრული აქვს „გერმანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის თითოეულ საგამოცდო საგანში აბიტურიენტის შედეგისათვის მისანიჭებელი კოეფიციენტი: უცხო ენა (23%), ქართული ენა(25%) და ისტორია(25%). ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აბიტურიენტები საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღებიან საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების მიხედვით.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო გერმანული ფილოლოგიის პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის მოცულობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტში მოქმედის „ბსუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესით“, რომლითაც აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის მოცულობა შეადგენს 5 სტუდენტს,

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ წარმოდგენილი პროგრამის კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში შეფასებული და გათვალისწინებულია შემდეგი ფაქტორები: პროგრამის სპეციფიკა, დაწესებულებაში არსებული ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები, რომელიც საჭიროა მოცემული პროგრამის განხორციელებისთვის, ისევე როგორც ბაზრის კვლევის შედეგები და დამსაქმებელთა უკუკავშირი.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა, პირველი საფეხური)**

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა აგრეთვე, ბათუმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N 111 დადგენილებით დამტკიცებული „შ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. საბაკალავრო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N 224/ნ ბრძანების შესაბამისად.

პროგრამაზე მიღების წინაპირობა ქვეყნდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. ბაკალავრს სურვილის შემთხვევაში, შეუძლია ასევე დეტალურად გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამას, სასწავლო გეგმას და სილაბუსებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე (<https://www.bsu.edu.ge/sub-8/news/index.html>), რაც ხელს შეუწყობს მის უფრო სრულად ინფორმირებულობას.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის № 06 გადაწყვეტილების „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის თაობაზე“, დასაქმების ბაზრის კვლევის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტი განისაზღვრება 5 სტუდენტით.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება, რითაც უზრუნველყოფილია პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა ჩარიცხვა პროგრამაზე. ამრიგად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურადაა დაკავშირებული სწავლების საფეხურსა და შედეგებთან. საერთო ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანება). პროგრამა ღიაა ასევე შიგა და გარე მობილობისთვის.

უნივერსიტეტში მოქმედებს „ბსუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი“, რომლითაც განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვისას გასათვალისწინებელი ფაქტორები, როგორცაა, მაგალითად, ბოლო წლების ტენდენციები საერთო ეროვნულ გამოცდებზე (განაცხადების რაოდენობა). სწორედ ამ მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო სლავური ფილოლოგიის პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის მოცულობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, რაც ყოველწლიურად ხდება. ზოგადად, ფაკულტეტის ადმინისტრაცია ერიდება კონტინგენტის გაზრდას ნაკლებად მოთხოვნად პროგრამებზე. ამის მიუხედავად ბოლო წელს ამ პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის მოცულობა გაიზარდა 5-დან 10 სტუდენტამდე, რაც მისასაღებელია პროგრამის გაფართოების (რუსისტიკიდან სლავისტიკისკენ) გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში აშკარაა, რომ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაცია დაინტერესებულია სლავური ფილოლოგიის პროგრამის არსებობით და ინარჩუნებს მას არასრულად შევსებული კონტინგენტის პირობებშიც. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დეტალურადაა აღწერილი სლავური ფილოლოგიის პროგრამაში და ამრიგად, ხელმისაწვდომი გახდება საუნივერსიტეტო ვებ-გვერდზე პროგრამის განთავსების შემდეგ.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)**

ბსუ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული

განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) და რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს აღნიშნულ პროგრამაზე. საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა აგრეთვე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის #111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად იხ. ბმული <http://www.mes.gov.ge/uploads/224.pdf>.

„თურქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტის ჩარიცხვისათვის, ბსუ-ს განსაზღვრული აქვს მინიმალური ზღვარი თითოეულ საგამოცდო საგანში: ქართული ენა და ლიტერატურა - 25%-ზე მეტი, უცხო ენა (გერმანული, ინგლისური, ფრანგული, რუსული) - 20%-ზე მეტი და ისტორია - 25%-ზე მეტი. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აბიტურიენტები საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღებიან საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების მიხედვით.

„თურქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის (გადმოყვანის) წესით სტუდენტთა ჩარიცხვა. პროგრამაზე ჩარიცხვისა და დაშვების წინაპირობის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია, ასევე, საინფორმაციო ბუკლეტებიდან და ღია კარის დღეების დროს საინფორმაციო/საორიენტაციო შეხვედრებზე <https://www.facebook.com/BSUBatumi>.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საბაკალავრო საფეხურზე დაშვების წინაპირობებია სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. ბაკალავრიატში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც მიღებული აქვთ საშუალო ან მისი ეკვივალენტური განათლება. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აბიტურიენტების, სტუდენტების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის [№224/ნ ბრძანების](http://www.mes.gov.ge/uploads/224.pdf) შესაბამისად. იხ. ბმული [http://www.mes.gov.ge/ uploads/224.pdf](http://www.mes.gov.ge/uploads/224.pdf).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)**

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაზე დაშვების წინაპირობებია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დასრულება და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის № 111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, ბსუ–ს მიერ ჩატარებული შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების შედეგების საფუძველზე. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები ბარდება სპეციალობაში და უცხო ენაში (არჩევით, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული - B1 დონე).

ინფორმაცია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისა და საგამოცდო საკითხების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის (<https://bsu.edu.ge/sub-8/program/3/index.html>).

მაგისტრატურაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ან მისი ეკვივალენტური განათლება. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. ასევე, ხდება გასაუბრება ქართულ ენაში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის (გადმოყვანის) წესით სტუდენტთა ჩარიცხვა. პროგრამაზე ჩარიცხვისა და დაშვების წინაპირობის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია, ასევე, საინფორმაციო ბუკლეტებიდან და ღია კარის დღეების დროს საინფორმაციო/საორიენტაციო შეხვედრებზე.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის № 06 გადაწყვეტილების „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინენტის განსაზღვრის წესის თაობაზე“, დასაქმების ბაზრის კვლევის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინების საფუძველზე, თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა კონტინენტი განისაზღვრა 10 სტუდენტით.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (ევროპული ფილოლოგია (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია), მეორე საფეხური)

„ევროპული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტაციის ანალიზისა და სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგებზე დაყრდნობით, რომ პროგრამაზე სტუდენტთა დაშვება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. კერძოდ, „პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით

დადგენილი წესით, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის #111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. მაგისტრატურაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც მიღებული აქვთ საშუალო ან მისი ეკვივალენტური განათლება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აბიტურიენტების, სტუდენტების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამაზე „ევროპული ფილოლოგია“ ჩარიცხვის წინაპირობაა აგრეთვე, ნებისმიერი ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენაში (B2 დონე) (მოდულების მიხედვით), წერიტი გამოცდა სპეციალობაში შესაბამისი მიმართულების მიხედვით). წერიტი გამოცდა სპეციალობაში ტარდება შემდეგ საგნებში (სასპეციალიზაციო მოდულის შესაბამისად):

- ინგლისური /გერმანული /ფრანგული ენის ლექსიკოლოგია;
- ინგლისური /გერმანული /ფრანგული ენის სტილისტიკა;
- ინგლისური /გერმანული /ფრანგული ენის ისტორია;
- ანგლო–ამერიკული / გერმანული / ფრანგული ლიტერატურის ისტორია.

საგამოცდო საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა განთავსებული იქნება ბსუ–ს ვებგვერდზე [www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge). ინფორმაცია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისა და საგამოცდო საკითხების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის (<https://bsu.edu.ge/sub-8/program/3/index.html>).

ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის № 06 გადაწყვეტილების „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის თაობაზე“, დასაქმების ბაზრის კვლევის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინების საფუძველზე, ევროპული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვრა 20 სტუდენტით (გვ. 8-9. ევროპული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა).

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (თარგმანმცოდნეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)

„თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის #111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო



პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) დაშვების წინაპირობებია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დასრულება და საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება. შემდეგ კი აბიტურიენტი აბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს სპეციალობაში და არჩევით უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული). თუმცა, წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო გეგმის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ სასწავლო კურსებს: „ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ენა C 1.1“-ის წინაპირობას წარმოადგენს შესაბამისი სასპეციალიზაციო ენის B2 დონე, მაშინ, როდესაც პროგრამაში ამ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია B1 დონე (უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) დაშვების წინაპირობებია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დასრულება და საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება. შემდეგ კი აბიტურიენტი აბარებს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებს სპეციალობაში და არჩევით უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული B1 დონე). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტექნიკურ ხარვეზთან: პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს უცხო ენის ფლობა B2-დონეზე.

ინფორმაცია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისა და საგამოცდო საკითხების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის (<https://bsu.edu.ge/sub-8/program/3/index.html>). საგამოცდო საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა განთავსებული იქნება ბსუ-ს ვებგვერდზე [www.bsu.edu.ge](http://www.bsu.edu.ge). ინფორმაცია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისა და საგამოცდო საკითხების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის (<https://bsu.edu.ge/sub-8/program/3/index.html>).

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში
- დოკუმენტი „ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია“
- საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ბსუ - აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის #111 დადგენილება „ბსუ-სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ“
- ცნობარი აბიტურიენტებისათვის 2022 ერთიანი ეროვნული გამოცდები ;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი; საინფორმაციო ბუკლეტები; ღია კარის დღეები
- ინტერვიუების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

**პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

1. სასურველია, სლავური ფილოლოგიის პროგრამაზე მისაღები სტუდენტების გაზრდილი კონტინგენტი შენარჩუნდეს ან კიდევ უფრო გაიზარდოს პროგრამის გაფართოების გათვალისწინებით.

**პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

1. თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს უცხო ენის ფლობა B2-დონეზე.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა



კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

### კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტუდენტების მიერ პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების გამომუშავების ხელშესაწყობად უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყოველწლიურად ატარებს სტუდენტურ კონფერენციებს. ბსუ-ში ასევე მოქმედებს სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი. ინტერვიუებზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გაიხსენეს რამდენიმე სტუდენტური ინიციატივა, რომლებიც განხორციელდა მათი მხარდაჭერით. ასეთებად დასახელდა საქველმოქმედო აქციები და ინტელექტუალური შეჯიბრები. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ კარიერული განვითარების ვებ-გვერდზე ატვირთულია ინფორმაცია ექსტრაკურსულარული აქტივობებისა და სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ. უნივერსიტეტის მხარდაჭერით სტუდენტებს ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ ქუთაისში გამართულ ტრენინგში და ასევე ქ. პუატიესა და ქ. ერევანში გამართულ საზაფხულო სკოლებში. სტუდენტების ცნობით, მათ მოკლეტექსტური შეტყობინებებითა და სოციალური ქსელის მეშვეობით უნივერსიტეტის ადმინისტრაციიდან მიეწოდებათ ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ. კურსდამთავრებულთა

შორის კი იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ რამდენიმეთვიან გაცვლით პროგრამებში (ერაზმუს+, ქ. პუატიე, ქ. დიუსელდორფი).

პროგრამებს არ აქვს ორგანიზებული სახის პრაქტიკული კომპონენტი (პრაქტიკა, სტაჟირება), რომელიც ჩართული იქნებოდა პროგრამაში პრაქტიკული უნარების გასაუმჯობესებლად და სწავლის შედეგებთან იქნებოდა დაკავშირებული. სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი მემორანდუმები ძალზე ზოგადი ხასიათისაა და მათში არაა გათვალისწინებული არც სტუდენტების რაოდენობა, არც პრაქტიკის მიზანი, შედეგი და ხანგრძლივობა. დამსაქმებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ, მაგალითად, ერთ-ერთ სასწავლებელში შესაძლებელია პრაქტიკანტების ჩართვა Co-Teaching-ის ფარგლებში; ერთ-ერთი სკოლის წარმომადგენელმაც დაადასტურა, რომ სკოლაში შეუძლიათ, თითო მასწავლებელს სამ-სამი სტუდენტი მიამაგრონ და ჯამში 70-მდე სტუდენტს მისცენ პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა; 15-მდე პრაქტიკანტის მისაღებად მზადაა ტურიზმის დეპარტამენტიც; პრაქტიკანტებთან თანამშრომლობის კარგ გამოცდილებაზე ისაუბრეს მთარგმნელობითი ბიუროსა და მუზეუმის წარმომადგენელმაც.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ბსუ-ში სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება, წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება №02.
- ბსუ-ში უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისებელი ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება №03.
- ბსუ-ში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი. წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება №01.
- ინტერვიუების შედეგები.

#### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

#### კლასტერის საერთო რჩევები:

1. უნივერსიტეტმა/დეპარტამენტმა სხვადასხვა კერძო თუ საჯარო სკოლასთან, ენების ცენტრთან თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან უნდა გააფორმოს მემორანდუმები, რომლებშიც განსაზღვრული იქნება თანამშრომლობის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

ტრანსფერული უნარების განვითარება				
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

#### კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სწავლება-სწავლის მეთოდები სხვადასხვა პროგრამის კურსების უმეტესობაში მსგავსია: (ინტერაქციული) ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრაციული მეთოდი, ანალიზი და სინთეზის მეთოდი, დედუქციისა და ინდუქციის მეთოდი, თხრობისა და საუბრის (ვერბალური) მეთოდი, ზეპირი გამოკითხვა, წერითი დავალება, ესე, დებატები, გონებრივი იერიში, პრეზენტაცია, დისკუსია, ჯგუფში მუშაობა, ღია და დახურული ტესტი, ტექსტის კითხვა და კომენტარი, დიალოგის მეთოდი, მსჯელობის მეთოდი და სხვა. იშვიათად გვხვდება ისეთი თანამედროვე მიდგომები, როგორებიცაა, მაგალითად, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და კოოპერაციული სწავლება. ნებისმიერ შემთხვევაში, სილაბუსების დანართებში, რომლებშიც ყოველკვირეული აქტივობები უნდა იყოს აღწერილი, სწავლება-სწავლის ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების გამოყენება არ ჩანს. თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების გამოყენება სავარაუდოდ იმითაც რთულდება, რომ ბსუ-ში მოქმედი შეფასების სისტემა ძალზე უნიფიცირებულია, რის გამოც შეფასების კომპონენტები და მეთოდები არსებითად ერთნაირია ყველა სილაბუსში და შემოიფარგლება წერითი და ზეპირი გამოკითხვებით.

თვითშეფასების ანგარიშში კვითხულობთ: „კლასტერში შემავალი თითოეული პროგრამის ცალკეულ კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდები ეფუძნება ინტერაქტიულ მიდგომებსა და აქტიურ სწავლებას.“ თუმცა აქტიური სწავლის მიდგომები ([https://crlt.umich.edu/active\\_learning\\_introduction](https://crlt.umich.edu/active_learning_introduction)) კურსებში არ გამოკვეთილა. სტუდენტების თქმით, სწავლება ძირითადად სალექციო ფორმატში წარმართება. სემინარები კი (ასეთთა არსებობის შემთხვევაში) ეთმობა გამოკითხვას. სემესტრის განმავლობაში ერთხელ შეიძლება გაიმართოს პრეზენტაციები. ზოგი კურსის ფარგლებში გამონაკლისის სახით ტარდება კინოჩვენებები და დისკუსიები. ამ მხრივ, აშკარად განსხვავებული ვითარებაა უცხო ენის პრაქტიკულ კურსებზე, რომლებზეც თავს იჩენს მეტი ინტერაქცია და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში.

ინდივიდუალური პროგრამები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ძირითადად იქმნება მობილობით ან მიღევადი პროგრამებიდან გადმოსული სტუდენტებისთვის. სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური პროგრამის შედგენის სხვა შემთხვევები ვერ გაიხსენეს ვერც ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და ვერც პროფესორ-მასწავლებლებმა. თუმცა ერთი უცხოელი სტუდენტისთვის საგანგებოდ შექმნილა ინდივიდუალური პროგრამა სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მოდიფიკაციის საფუძველზე (ამისთვის შეიქმნა განსხვავებული, სტუდენტის საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისი კურსები).

პანდემიის დროს ბსუ-მა უზრუნველყო სასწავლო პროცესის გადატანა დისტანციურ რეჟიმში. ამისთვის ძირითადად გამოიყენებოდა Zoom-ის პლატფორმა. ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლამ განაპირობა გარკვეული ცვლილებები, მაგალითად, შეფასების სისტემაში (წერილობით შეფასებას დაემატა ზეპირი). მაგრამ ამის გამო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგების შეცვლის საჭიროება არ დამდგარა. ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლისას ძალიან გამოსადეგი აღმოჩნდა ბსუ-ში არსებული სასწავლო პორტალი, რომელზეც სრულად იტვირთებოდა სასწავლო მასალა. თუმცა ონლაინ-ფორმატის საჭიროების მიუხედავად ბსუ-ში არ არის სასწავლო პროცესის მართვის სისტემების (Learning Management System) გამოყენების გამოცდილება. Moodle-ის პორტალი გამოიყენება მხოლოდ მასში ჩაშენებული Turnitin-ის პროგრამის გამო, რომელიც ემსახურება პლაგიატის შემთხვევების გამოვლენას.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- პროგრამის განხორციელებისთვის უსდ-ში არსებული ელექტრონული რესურსები
- ინტერვიუს შედეგები.

### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია, პროფესორ-მასწავლებლებს მიეცეთ შესაძლებლობა, თვითონ განსაზღვრონ სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები თავიანთი კურსებისთვის ამ უკანასკნელთა მიზნების, შინაარსისა და მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით.
2. სწავლება-სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, სწავლება წარმართოს სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რომლებითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტების აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში.

3. ბსუ-მა უნდა იზრუნოს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური პროგრამების შემუშავების პრაქტიკის დანერგვაზე.
4. ბსუ-მა უნდა უზრუნველყოს, რომ პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლები იცნობდნენ და იყენებდნენ ელექტრონული სწავლების მეთოდებსა და ხელსაწყოებს.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმცოდნეობის კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.4. სტუდენტების შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**კლასტერული შეფასება**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ში ექსპერტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მიზნით, ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა მიმართ გამოიყენება სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ასევე რეგულირდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ მიხედვით.

სტუდენტთა შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე შემფასებლებისათვის. პროგრამის სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. შეფასების კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ სემესტრის დასაწყისშივე კურსის ხელმძღვანელის მიერ. თითოეულ სასწავლო კურსში შეფასება მორგებულია სწავლების შინაარსს და ითვალისწინებს მოცემული კურსის სპეციფიკას. სტუდენტის შეფასებები სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით ასევე აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. სასწავლო კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტებს წარმოადგენენ: წერიტი გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა და პრაქტიკული/თეორიული სამუშაო. სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს.

პროგრამებში ასევე გათვალისწინებულია შუალედური და საბოლოო შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. შუალედური და საბოლოო გამოცდების შეფასება ხორციელდება ბსუ-ის მიერ შემუშავებული რეგულაციების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროგრამების სილაბუსებში წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით გაწერილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: დისკუსიაში მონაწილეობას, სასემინარო წერიტი სამუშაოებს, საშინაო (პრაქტიკული) დავალებებს, ზეპირი პრეზენტაციებს, ასევე ზეპირი ან/და წერიტი გამოცდის ჩატარებას. მართალია გამოყენებული შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სწავლის შედეგების მიღწევისაკენ, თუმცა შესაბამისი ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუსა და სილაბუსების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასემინარო აქტივობების შეფასება ხორციელდება უნიფიცირებული მეთოდებით.

ვიზიტის განმავლობაში განხორციელებული ინტერვიუებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად ასევე გამოიკვეთა პროგრამების კვლევითი კომპონენტის შეფასების მექანიზმების შესაბამისობა არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებთან. ზაზგასასმელია, რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები კვლევითი უნარების განვითარების მიზნით ითვალისწინებენ საბაკალავრო ნაშრომის შესრულებასაც, თუმცა ეს უკანასკნელი არჩევითია და სტუდენტებისათვის ატარებს არასავალდებულო ხასიათს. ნაშრომი ფასდება 100 ქულით (საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის შეფასება - მაქსიმუმ 30 ქულა (აფასებს ხელმძღვანელი), რეცენზენტის შეფასება - მაქსიმუმ 30 ქულა, საჯარო დაცვაზე წარმოდგენილი ნაშრომის პრეზენტაცია - მაქსიმუმ 40 ქულა). საბოლოო შეფასება დგინდება თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით. სტუდენტის საბოლოო შეფასება ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ აისახება სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემაში.

რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამებს, სტუდენტები დასკვნით ეტაპზე წარმოადგენენ სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც მოიცავს 30 კრედიტს და ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი

სისტემით (სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია: რეგენზენტის შეფასება მაქსიმუმ 40 ქულა - ა) აქტუალობა - მაქსიმუმ 5 ქულა; ბ) კვლევის მეთოდოლოგია - მაქსიმუმ 10 ქულა; გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - მაქსიმუმ 10 ქულა; დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - მაქსიმუმ 10 ქულა; ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე- მაქსიმუმ 5 ქულა. და კომისიის შეფასება - მაქსიმუმ 60 ქულა: ა) კვლევის სამეცნიერო ხარისხი - მაქსიმუმ 20 ქულა; ბ) არგუმენტირების და დასკვნის უნარი- მაქსიმუმ 20 ქულა; გ) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - მაქსიმუმ 5 ქულა; დ) ნაშრომის ვიზუალური მხარე და მომხსენებლის საპრეზენტაციო უნარი- მაქსიმუმ 5 ქულა; ე) კომუნიკაციის უნარი - მაქსიმუმ 10 ქულა). სამაგისტრო ნაშრომმა შეიძლება მიიღოს უარყოფითი შეფასება (0-50 ქულის ფარგლებში).

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თხოვნის საფუძველზე, უსდ-მ წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომები, რომელთაგან ერთერთი ინგლისურ ენაზე აღმოჩნდა შესრულებული, თუმცა პროგრამა ქართულენოვანია. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, ამგვარ პროგრამაზე სამაგისტრო ნაშრომები უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე

როგორც ფოკუს-ჯგუფებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, ბსუ-ში შემუშავებულია სასწავლო პროცესში პლაგიატის გამოვლინებისა და რეაგირების პროცედურა. სტუდენტები კარგად იცნობენ ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმებისა და პლაგიატის პროგრამაში მოცემული ნაშრომის შემოწმების წესებსაც. სტუდენტი ვალდებულია შესაბამის სემესტრში, Moodle-ის პლატფორმაზე ატვირთოს ნაშრომი, რომელიც შემოწმდება როგორც ანტიპლაგის პროგრამით, ასევე სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. აღნიშნული საკითხი რეგულირდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“. ანტიპლაგის პროგრამა ინტეგრირებულია Moodle ელექტრონული სწავლების პლატფორმასთან და ახორციელებს ნაშრომის ორიგინალობის შეფასებას/სხვა ნაშრომთან მსგავსების გამოვლენას ელექტრონული სისტემა Turnitin-ის მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედი ელექტრონული სწავლების პლატფორმა, რომელიც წარმოადგენილია სტუდენტური პორტალისა (portal.bsu.edu.ge) და მასში ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით (spm.bsu.edu.ge) საშუალებას აძლევს სტუდენტებს, მიიღონ უკუკავშირი სწავლის შედეგებზე და ინდივიდუალურად გაეცნონ შეფასების შედეგებს. აღნიშნული ელექტრონული პლატფორმა უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. ამასთანავე, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ყოველწლიურად პროგრამის სამეცნიერო პერსონალის მიერ ხორციელდება შეფასების შედეგების ანალიზი. როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სტუდენტები ასევე კარგად იცნობენ მოქმედ სააპელაციო სისტემას. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასების შედეგები. გაასაჩივრების შემთხვევაში სტუდენტი წერილობითი განცხადებით (აპელაცია) მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. განცხადება რეაგირებისთვის გადაეცემა საგნის ლექტორს (სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირს) არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა. დეკანი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის ნაშრომის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე.

ვიზიტის განმავლობაში, ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ რეგულარულად ხორციელდება როგორც სტუდენტების ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ. ამასთანავე, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევთ, გააუმჯობესონ სწავლის შედეგები.



აქვე ხაზგასასმელია, რომ ვიზიტის შედეგებმა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობამ დაგვანახა, რომ შეფასების არსებული სისტემა კარგადაა ცნობილი შემფასებლებისათვისაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემის თაობაზე ხდება ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა მექანიზმით. კერძოდ, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აცნობს აკადემიურ პერსონალს უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების მექანიზმებს. თუმცა, როგორც ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, სასურველია აკადემიურ პერსონალს, განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალს შესაბამისი სამსახურის მიერ ჩაუტარდეს პერიოდულად კონსულტაციები შეფასების სისტემის არსებული გაიდლაინებისა და შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებული ახალი სტანდარტებისა და წესების გაცნობის მიზნით.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ელექტრონული სწავლების პლატფორმა [portal.bsu.edu.ge](http://portal.bsu.edu.ge);
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „ბსუ-ში ტურნიტინის პროგრამის ადმინისტრირების წესი“;
- წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება № 07-01/19, 2019. ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ;
- ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 7 სექტემბრის N01-08/154 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის წესი“;

#### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. პროგრამაში უნდა დაიშვას შეფასების მეთოდებისა და კომპონენტების მრავალფეროვნება, რათა შესაძლებელი იყოს სწავლის თითოეული შედეგის შეფასება სასწავლო კურსის ინდივიდუალური სპეციფიკის გათვალისწინებით.
2. ბსუ-მა უნდა უზრუნველჰქოს, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები იწერებოდეს ქართულ ენაზე.

#### კლასტერის საერთო რჩევები:

1. სწავლის შედეგების მიღწევის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია მოხდეს პროგრამის სილაბუსებით გაწერილი სასემინარო აქტივობების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გამრავალფეროვნება. აღნიშნული შეფასების მეთოდები შეირჩეს სასწავლო კურსის მიზნების, შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდების, შინაარსისა და რეალური



პროცესების გათვალისწინებით და სილაბუსებში გაიწეროს შერჩეული შეფასების მეთოდების დეტალური კრიტერიუმები.

- აკადემიურ პერსონალს, განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალს შესაბამისი სამსახურის მიერ ჩაუტარდეს პერიოდულად კონსულტაციები შეფასების სისტემის არსებული გაიდლაინებისა და შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებული ახალი სტანდარტებისა და წესების გაცნობის მიზნით.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმცოდნეობის კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმშორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

#### კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბსუ-ში ექსპერტთა მიერ ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუს ჩატარების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის, პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების ჩატარების საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტებს მოცემული პროგრამების ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ყველა ის საჭირო დახმარება და კონსულტაცია, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად და განსახორციელებლად. მოცემულ პროცესში სტუდენტებს დახმარებას უწევენ პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ სტუდენტისა და კურსდამთავრებულისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას როგორც უშუალოდ სწავლის პროცესთან დაკავშირებით, ასევე მათი შემდგომი პროფესიული ზრდის შესაძლებლობების თაობაზეც. ბსუ-ში ასევე მოქმედებს სასწავლო პროცესის

მარეგულირებელი წესი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის უფლება-მოვალეობებს. ზოგადი კონსულტაციები სტუდენტებთან იმართება პროგრამებზე ჩარიცხვიდან პირველივე კვირაში, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და მასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ. ხაზგასასმელია, რომ უნივერსიტეტის რექტორი სასწავლო სემესტრის დასაწყისში გამოსცემს ბრძანებას „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის საკონსულტაციო საათების (სამუშაო ყოფნის განრიგის) და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამუშაო განრიგის დამტკიცების შესახებ. გარდა საკონსულტაციო საათებისა, რომელთა განრიგის განთავსებაც ხდება დეპარტამენტის საინფორმაციო დაფაზე, აკადემიური პერსონალის თითოეული წევრის ინდივიდუალურ დატვირთვაში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. შესაბამისად, სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით და სტუდენტთა განსაკუთრებული საჭიროებებიდან გამომდინარე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა. მიიღოს დამატებითი კონსულტაციები აკადემიური პერსონალის მხრიდან.

სტუდენტები აკადემიური პერსონალისგან სილაბუსით გაწერილ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში იღებენ ყველა საჭირო დახმარებასა და ინფორმაციას. კონსულტაციისთვის გამოიყენება ინდივიდუალური შეხვედრები, ელ-ფოსტა, ელექტრონული სასწავლო პორტალი და ოფიციალური სოციალური ქსელები. ხაზგასასმელია ის ეფექტიანი უკუკავშირი, რომელიც არსებობს პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესის შეფასებაში. სტუდენტები მონაწილეობენ როგორც სემესტრულ გამოკითხვებში, რომლითაც აფასებენ სხვადასხვა სასწავლო კურსებს, ასევე წელიწადში ერთხელ მონაწილეობენ საერთო კმაყოფილების კვლევის პროცესში. თუმცა გამოიკვეთა მათი პასიური ჩართულობა უშუალოდ პროგრამების შეფასების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედი ელექტრონული სწავლების პლატფორმა, რომელიც წარმოდგენილია სტუდენტური პორტალისა ([portal.bsu.edu.ge](http://portal.bsu.edu.ge)) და მასში ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ([spm.bsu.edu.ge](http://spm.bsu.edu.ge)) საშუალებას აძლევს სტუდენტებს, ჩაერთონ უნივერსიტეტის შიდა საინფორმაციო სივრცეში. ამასთანავე, მოცემულ პორტალზე სტუდენტები რეგისტრირდებიან და ირჩევენ სასწავლო კურსებს. ხაზგასასმელია, რომ სტუდენტის პროფილი ასევე სინქრონულ რეჟიმში მუშაობს საჯარო რეესტრთან, რომლის შედეგადაც სტუდენტის სტატუსი და სხვა ინფორმაცია ავტომატურად აისახება პროფილში. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს ჩატარების შედეგად გამოიკვეთა, სტუდენტის ინფორმირების მიზნით ასევე ეფექტიანად გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ქსელებში შექმნილი ოფიციალური ჯგუფები და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული გვერდი.

ასევე, ბსუ-ის ვებ გვერდზე განთავსებული „სტუდენტთა გზამკვლევის“ მეშვეობით სტუდენტს საშუალება აქვს, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ. მოცემული საშუალებების გამოყენებით, სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროგრამის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, სასწავლო მასალებისა და საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ, თუმცა როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სტუდენტები არ ფლობენ ინფორმაციას სამეცნიერო ბაზებისა და მათი სარგებლობის წესების შესახებ. სტუდენტებს შესაბამისი სამსახურების მიერ ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია სწავლის დაფინანსებისა და გაცვლითი პროგრამების თაობაზე. საერთაშორისო პროექტების, გაცვლითი პროგრამების, საზაფხულო სკოლების, კონფერენციებისა და მობილობის შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობას ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად უძღვება ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი. ხაზგასასმელია, რომ უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს ფინანსური მხარდაჭერის მრავალფეროვან მექანიზმებს, მათ შორის მოიაზრება სოციალურად დაუცველი სტუდენტის დაფინანსება,

მაღალი მოსწრების სტუდენტების სტიპენდიები და ასევე სხვადასხვა სახელობითი და სემესტრული სტიპენდიები. სტუდენტებისათვის ასევე დაწესებულია ერთჯერადად წამახალისებელი ფულადი ჯილდოები სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის.

პროგრამების სტუდენტებს საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით ასევე მიეწოდებათ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი სტუდენტური კონფერენციების, კვლევითი პროექტებისა და გრანტების თაობაზე. სტუდენტთა მომსახურების პროცესში აქტიურადაა ჩართული ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახური. სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულები და სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილ სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში და საჯარო ლექციებში. თუმცა ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების პასიური ჩართულობა სტუდენტურ კონფერენციებში. პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში, საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები ასევე აქტიურად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში. სტუდენტები 2013-2018 წლების განმავლობაში სხვადასხვა დროს ჩართულები იყვნენ პუატიეს უნივერსიტეტის (საფრანგეთი) საზაფხულო სკოლების აქტივობებში, მონაწილეობდნენ თურქეთში, აზერბაიჯანში და ერევანში 3 თვიან გაცვლით პროგრამებში. 2013-2014 წლებში ორმა სტუდენტმა მიიღო სრული დაფინანსება ერასმუს მუნდუს (Erasmus Mundus Action 2 Webb) საბაკალავრო პროგრამაზე. 2015 წელს სტუდენტები მონაწილეობდნენ გაცვლით პროგრამაში ნახჭევანში. 2016 წელს ბსუ-ს სტუდენტთა თვითმმართველობის, სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრისა და თურქოლოგიის სპეციალობის 20-მდე სტუდენტი იმყოფებოდა ასევე ირანის ისლამური რესპუბლიკის ქალაქ თავრიზში ქვეყნის კულტურისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობის მიზნით. 2022 წლის ივლისში ასევე ორი სტუდენტი მონაწილეობდა AUF- ფრანკოფონიის საერთაშორისო საუნივერსიტეტო სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ფრანკოფონიის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც გაიმართა რუმინეთის ქალაქ ბუქარესტში. თუმცა ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა საბაკალავრო პროგრამების აქტიურ სტუდენტთა ჩართულობის სიმცირე მიმდინარე გაცვლით პროგრამებში. სტუდენტებმა, საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით, მათ ასევე გამოთქვეს უცხოელი მოწვეული ლექტორების (native speakers) სასწავლო პროცესში უფრო მეტად ჩართვის სურვილი.

ხაზგასასმელია, რომ უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს გამორჩეულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დასაქმდნენ ან/და სტაჟირება გაიარონ იმ ადგილობრივ და საერთაშორისო დაწესებულებებში, რომლებთანაც მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტი. მოცემული კუთხით, ხაზგასასმელია ასევე „ევროოდისეას“ პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2009 წელს ფრანგული ფილოლოგიის 2 კურსდამთავრებული გაიგზავნა ქალაქ ტულუზაში სტაჟიორ მასწავლებლად. სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით, ფაკულტეტი მუდმივად ახდენს სტუდენტთა ინფორმირებას არსებული ვაკანსიების შესახებ, აკავშირებს პოტენციურ დამსაქმებელთან, უწევს რეკომენდაციას შერჩეულ კანდიდატურას. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დეკანატი, და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად არიან ჩართულნი აღნიშნულ პროცესში. ხორციელდება პერიოდულად ტრენინგები და სემინარები სტუდენტთა პროფესიული და კარიერული მხარდაჭერის მიზნით. ამასთანავე, პერიოდულად ეწყობა დასაქმების ფორუმები.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ელექტრონული სწავლების პლათფორმა portal.bsu.edu.ge;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“;
- ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 7 სექტემბრის N01-08/154 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის წესი“;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გზამკვლევი (2022-2023 სასწავლო წელი) - <https://www.bsu.edu.ge/main/page/3925/index.html>
- ბსუ-ს რექტორის ბრძანება აკად. პერსონალის სამუშაო განრიგის (სააუდიტორიო და საკონსულტაციო საათები) დამტკიცების შესახებ;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის 02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების სამსახურის დებულება;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულება“;

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

1. მნიშვნელოვანია, შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ სამეცნიერო ბაზების გაცნობა სტუდენტებისათვის და მათი გამოყენების ინსტრუქციის მიწოდება კვლევითი პროცესების გაუმჯობესების მიზნით;

**კლასტერის საერთო რჩევები:**

1. სასურველია ინტერნაციონალიზაციის პროცესების ხელშეწყობის მიზნით გაცვლით პროგრამებში საბაკალავრო საფეხურის სტუდენტთა აქტიურად ჩართვის ხელშეწყობა და საორგანიზაციო პროცედურებზე პასუხისმგებელი შესაბამისი მხარდაჭერი სამსახურების აქტივობის გაძლიერება;
2. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობის მიზნით სასურველია უცხოელი მოწვეული ლექტორების (native speakers) სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა;
3. მნიშვნელოვანია, განხორციელდეს სტუდენტურ კონფერენციებში საბაკალავრო პროგრამების სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა და მხარდაჭერა;

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

### კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბსუ-ში ექსპერტთა ვიზიტის, ჩატარებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფაკულტეტი სტუდენტს აძლევს საშუალებას, კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში რეგულარული კონსულტაციები მიიღოს როგორც ხელმძღვანელისგან ისე სხვა აკადემიური პერსონალისგანაც. ხაზგასახმელია, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კვლევითი ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რომელის მიხედვითაც ხორციელდება ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტიანობის შეფასება. ამ კუთხით ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წელს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭომ მიიღო დადგენილება აკადემიური პერსონალის კეთილსინდისიერების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე. ხელმძღვანელობის პროცესის სწორად წარმართვას ასევე არეგულირებს 2015 წელს შემუშავებული ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. თითოეულ სტუდენტს ფინალური სემესტრის დაწყებამდე მის მიერ შერჩეული საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე გამოყოფილ აკადემიური ხელმძღვანელთან მთელი სემესტრის განმავლობაში უტარდება უშუალო სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები, რათა სემესტრის ბოლოს დაცვაზე წარდგენილი ნაშრომი შეესაბამებოდეს დადგენილ კრიტერიუმებს. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში აიყვანონ თანახელმძღვანელიც. ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთან სამაგისტრო



საფეხურზე შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში. სტუდენტები დასკვნით ეტაპზე წარმოადგენენ სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც მოიცავს 30 კრედიტს. სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას და ხელმძღვანელს შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში - სტუდენტის სწავლების მესამე სემესტრში. ნაშრომის ხელმძღვანელი სტუდენტს უტარებს რეგულარულ კონსულტაციებს კვლევითი პროცესის სწორად წარმართვის მიზნით.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამების აკადემიური პერსონალის რეზიუმეები;
- „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილება;
- მაგისტრანტებისა ხელმძღვანელების მიერ განხორციელებული კვლევების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ხელმძღვანელების პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტები, საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული მონოგრაფიები;
- ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის შესახებ დადგენილება N06-01/54;
- ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- პროგრამის სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომები;
- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 8 ივლისის დადგენილება № 06-01/71 აკადემიური პერსონალის კეთილსინდისიერების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)



რეკომენდაცი(ებ)ი:  
 რჩევ(ებ)ი:  
 პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)  
 რეკომენდაცი(ებ)ი:  
 რჩევ(ებ)ი:  
 პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)  
 რეკომენდაცი(ებ)ი:  
 რჩევ(ებ)ი:  
 პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)  
 რეკომენდაცი(ებ)ი:  
 რჩევ(ებ)ი:  
 პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)  
 რეკომენდაცი(ებ)ი:  
 რჩევ(ებ)ი:  
 პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)  
 რეკომენდაცი(ებ)ი:  
 რჩევ(ებ)ი:  
 პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)  
 რეკომენდაცი(ებ)ი:  
 რჩევ(ებ)ი:  
 პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)  
 რეკომენდაცი(ებ)ი:  
 რჩევ(ებ)ი:

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ პირები, რომლებიც აკადემიურ თანამდებობებზე არჩეული არიან ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ შეესაბამება საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ. სასწავლო პროცესში ჩართულ აკადემიურსა და მოწვეულ პერსონალს უმეტესად კვალიფიკაცია აქვს შესაბამისი ენის ფილოლოგიის ან (აღმოსავლეთმცოდნეობის პროგრამაში) ისტორიის მიმართულებით. იშვიათ შემთხვევაში გვხვდებიან პირები, რომლებსაც კვალიფიკაცია მიღებული აქვთ განათლების / პედაგოგიკის მიმართულებით, თუმცა მათი (ისევე, როგორც პერსონალში ჩართული სხვა პროფესორ-მასწავლებელთა) სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა ბოლო 5 წელზე მეტი დროის განმავლობაში დაკავშირებულია შესაბამისი ენის დაუფლების სფეროსთან. თეორიულ კურსებს უმეტესად უძღვებიან დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, ხოლო ენის პრაქტიკული კურსებს — მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები. მოწვეულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია ასევე დასტურდება ცოდნითა და გამოცდილებით, რომლებიც საჭიროა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ბსუ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც აღწერილია *აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესში*. ამ წესით განისაზღვრება სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა ყოველწლიური დატვირთვა 300, 350 და 370 საათით, რაც საშუალოდ შეესაბამება ყოველკვირეულ პედაგოგიურ დატვირთვას 10, 11 და 12 საათის ოდენობით. ასევე გამოიყოფა სამი სხვადასხვა ტიპის (ა, ბ, გ) დატვირთვა იმის მიხედვით, რამდენად აფილირებულია პროფესორი (ა), რამდენად ჩართულია იგი ადმინისტრაციულ საქმიანობაში (ბ) და რამდენად

დატვირთულია იგი სხვა უსდ-ში (გ). ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით, დატვირთვების ამგვარი დიფერენციაცია ემსახურება არააფილირებული აკადემიური პერსონალის შეკავშირებას ბსუ-სთან. ამავე წესით დადგენილია სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა სხვადასხვა საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო), მიმართულებების (საბუნებისმეტყველო და სხვა), ფორმატის (სალექციო, სასემინარო), სტატუსის (სავალდებულო, არჩევითი) ან პროგრამის ტიპის (ძირითადი, დამატებითი) მიხედვით. მაგალითად, საბაკალავრო საფეხურზე ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა იყოს 15-ზე ნაკლები, მაგისტრატურაში კი — 5-ზე ნაკლები. კლასტერში გაერთიანებულ ზოგ პროგრამაზე ამჟამად და სავარაუდოდ მომავალშიც შეიძლება ვერ მოხერხდეს სტუდენტთა ასეთი კონტინგენტის დაკომპლექტება ცალკეულ საგნებზე (და პროგრამებზეც). თუმცა ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით, მცირერიცხოვანი კონტინგენტის მქონე პროგრამების შესანარჩუნებლად აკადემიური საბჭოს ყოველწლიური დადგენილებით დაიშვება გამონაკლისი ამ წესში. ასევე ინდივიდუალურად და მიზეზების გარკვევის საფუძველზე წყდება ანაზღაურების შენარჩუნების საკითხი იმ პროფესორ-მასწავლებელთა შემთხვევაში, რომლებმაც ვერ შეძლეს მინიმალური დატვირთვის შესრულება.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმდინარე სასწავლო წლის დატვირთვის დოკუმენტში თავი იჩინა ამგვარმა მოცემულობამ: სრულ პროფესორთა მინიმალური დატვირთვა მერყეობს 285-დან 580 საათამდე (ე.ი. დაახლ. 19 საათი კვირაში); ასოცირებულ პროფესორთა დატვირთვა მერყეობს 145-დან 670 საათამდე (ე.ი. დაახლ. 22 საათი კვირაში); ასისტენტ-პროფესორთა დატვირთვა კი — 310-დან 510 საათამდე (ე.ი. დაახლ. 17 საათი კვირაში). დატვირთვის ქვედა მაჩვენებლები ძირითადად განპირობებულია ადმინისტრაციული დატვირთვის შეთავსებით (ბ კატეგორიის დატვირთვა). მაგრამ დატვირთვის ზედა მაჩვენებლები საკმაოდ დამაფიქრებელია იმის გათვალისწინებით, რომ ბსუ-ის ადმინისტრაცია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან ელის სამეცნიერო-კვლევით აქტიურობასაც, რომელიც პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად საგანგებოდ ფასდება (იხ. *აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი*). ამასთან, დატვირთვის ზედა მაჩვენებელი სავარაუდოდ დამატებით გაიზრდება ახალი პროგრამების ამოქმედების შემდეგ (წარმოდგენილ კლასტერში ასეთია 5 პროგრამა).

*აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი* ავალდებულებს ა და ბ კატეგორიის დატვირთვების მქონე პროფესორ-მასწავლებლებს, ჩაუტარონ სტუდენტებს კვირაში 2-4-საათიანი კონსულტაციები. ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ პროფესორ-მასწავლებელთა კონსულტაციების ცხრილი რექტორის ბრძანების საფუძველზე დგინდება თითოეული სემესტრის დასაწყისში და საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. კონსულტაციები ძირითადად გამოიყენება აკადემიური უნარების განსავითარებლად, ინდივიდუალური საჭიროებების მქონე სტუდენტებთან სამუშაოდ, გამოცდების წინ სტუდენტთა დასაკვალიანებლად, სხვადასხვა საკითხზე (მაგალითად, პლაგიატი) ინფორმაციის მისაწოდებლად, ზოგჯერ უცხოელი სტუდენტებისთვის ენობრივი ბარიერის გადალახვაში დასახმარებლად. კონსულტაციები ტარდება ე.წ. „კაბინეტებში“ (ე.ი. შესაბამისი სპეციალობისთვის/მიმართულებისთვის გამოყოფილ ოთახებში), რომელთა ნომრებიც მითითებულია კონსულტაციების ცხრილში.

პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი შეფარდება სხვადასხვაგვარია. სახელდობრ, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების სწავლებას უძღვება 14 აფილირებული პროფესორი, რომელსაც პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი აქვს (1/25); გერმანული ფილოლოგიის პროგრამაზე 3 აფილირებული პროფესორი ასწავლის დაახლოებით 20 სტუდენტს (1/7); ერთმანეთის მსგავსი შეფარდებები გვხვდება რომანული (5 პროფესორი / 20 სტუდენტი, შეფარდება: 1/4) და სლავური

(6 პროფესორი / 20 სტუდენტი, შეფარდება: 1/3) ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამებზე; თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე კი დაახლოებით 50 სტუდენტი განაწილებულია 8 აფილირებულ პროფესორზე (1/6). თურქოლოგიის ახალ სამაგისტრო პროგრამაზე პროფესორთა და სტუდენტთა მოსალოდნელი შეფარდებაა 5 აფილირებული პროფესორი / 12 სტუდენტი (1/2), ხოლო თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმშორისი კომუნიკაციის ახალ სამაგისტრო პროგრამაზე — 11 აფილირებული პროფესორი / 20 სტუდენტი (1/1). ევროპული ფილოლოგიის მოქმედ სამაგისტრო პროგრამაზე კი 30 მაგისტრანტისთვის სასწავლო პროცესს უძღვება 20 აფილირებული პროფესორი (1/1.5).

პროფესორების რაოდენობა ამჟამინდელი მოცემულობით სავსებით საკმარისი ჩანს იმისთვის, რომ ბაკალავრებსა და მაგისტრანტებს დაუბრკოლებლად გაეწიოთ ხელმძღვანელობა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას. ეს დადასტურდა ინტერვიუებზეც: სტუდენტებმა ვერ გაიხსენეს ხელმძღვანელობაზე უარის ვერც ერთი შემთხვევა. პროფესორთა და სტუდენტთა თანაფარდობა იძლევა იმის შესაძლებლობასაც, რომ სტუდენტებმა მიიღონ ჯეროვანი და დროული უკუკავშირი შესრულებულ დავალებებზე. ამისთვის უმეტესწილად გამოიყენება სასწავლო პორტალი და Moodle-ში ნაშრომების კომენტარების შესაძლებლობა. თუმცა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობათა ესოდენ მკვეთრი განსხვავებულობა კლასტერის სხვადასხვა პროგრამაზე მიანიშნებს პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის ბუნდოვანებაზე. მართლაც, *ბსუ-ის აკადემიური პერსონალის დატვირთვის განსაზღვრის წესი* ძალზე ზოგადია იმისთვის, რომ გამოდგეს თუნდაც სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტად აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსასაზღვრად კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. ამასთან, ზემოთ წარმოდგენილ მაჩვენებლებზე დაკვირვების შედეგად აშკარავდება, რომ ვერ სრულდება ვერც აღნიშნული წესის მუხლი 2.2., რომლის მიხედვითაც, „საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად“.

აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა კლასტერის თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში უმეტესად აღემატება პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული პერსონალის რაოდენობას, რომელიც ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განხორციელებაშია ჩართული: ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში მათი შეფარდებაა 14/6, რომანული ფილოლოგიის პროგრამაში — 5/5, სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში — 6/2, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში — 8/3, თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში — 5/5, ევროპული ფილოლოგიის პროგრამაში — 20/6, თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმშორისი კომუნიკაციის პროგრამაში — 11/3. გამონაკლისია გერმანული ფილოლოგიის პროგრამა, რომელშიც მოწვეული პერსონალის რაოდენობა აღემატება აკადემიური პერსონალის რაოდენობას (3/9). აკადემიური და მოწვეულის პერსონალის დენადობის ინტენსიურობის მაჩვენებელი კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამებზე დაბალია (0-3) და მასში შეიმჩნევა მატებისკენ მიმართული დინამიკა. მართალია, ამ პროგრამების რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი წარმოდგენილი არ ყოფილა, ინტერვიუებში შევითქვით, რომ ბოლო კონკურსების შედეგად 6-7 ახალგაზრდა პროფესორი შეემატა აკადემიურ პერსონალს. მოწვეულ პერსონალსაც დაემატნენ ჩინურისა და იაპონურის მასწავლებლები. ბსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თქმით, მოწვეულ მასწავლებლებს აქვთ აკადემიური თანამდებობების დაკავების პერსპექტივა. ამრიგად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების მდგრადობას აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობისა და მისი დენადობის კუთხით ამჟამად არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებს ხელმძღვანელობას უწევს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირები. აღსანიშნავია, რომ კლასტერის თითოეულ პროგრამას ჰყავს ორ-ორი ან სამ-სამი ხელმძღვანელი. თითოეულ მათგანი პასუხისმგებელია პროგრამის გარკვეულ ასპექტზე; მაგალითად, ერთი მათგანი

უძღვება ლიტერატურათმცოდნეობით ნაწილს, მეორე კი — ენათმეცნიერულს; ან (თურქოლოგიის შემთხვევაში) ერთი უძღვება ფილოლოგიურ ნაწილს, მეორე კი — ისტორიულს; ან (რომანული ფილილოგიისა და ევროპული ფილოლოგიის შემთხვევაში) პასუხისმგებლობა განაწილებულია ენების მიხედვით. რიგ შემთხვევაში, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ან მათ კომპონენტებს ხელმძღვანელობენ ერთი-და-იგივე პირები. ინტერვიუებით დადასტურდა პროგრამის ხელმძღვანელთა აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარებისა და განხორციელების საქმეში. ისინი უშუალოდ მონაწილეობენ პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებში და შეუძლიათ ახსნან თითოეული მათგანის მიზეზი. გაურკვეველი დარჩა, როდის ეცნობიან სტუდენტები თავიანთი პროგრამების ხელმძღვანელებს და რამდენად აქვთ მათთან შეხვედრის შესაძლებლობა. ზოგი სტუდენტის თქმით, იგი ხელმძღვანელს გაეცნო პროგრამაზე ჩაბარების პირველივე კვირაში, სხვები კი თავიანთი პროგრამის ხელმძღვანელს გაეცნობიან მისი სასწავლო კურსის გავლის შედეგად. თვითონ პროგრამის ხელმძღვანელებს გაუჭირდათ პროგრამის ბოლო შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი მიგნებების დასახელება. მართალია, მათ იციან იმის შესახებ, რომ სასწავლო პორტალზე ტარდება გამოკითხვები, მაგრამ ამ გამოკითხვების შედეგების ანალიზის პროცესში ისინი აშკარად არ ყოფილან ჩართული.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალით. ინტერვიუებზე განსაკუთრებით გამოირჩა დეკანის თანაშემწე როგორც პირი, რომელსაც სტუდენტები მიმართავენ როგორც კურსების არჩევისას კონსულტაციის მისაღებად, ისე სხვა ადმინისტრაციული (ფინანსური, ტექნიკური და სხვა) საკითხების გასარკვევად ან მოსაგვარებლად. სტუდენტების ცნობით, დეკანის თანაშემწე მუდმივად ხელმისაწვდომია და გამოირჩევა სწრაფი, საქმიანი და სანდო პასუხებით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

კლასტერში გაერთიანებული პროგრამებიდან ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში ყველაზე უფრო დიდი რაოდენობის აფილირებული პროფესორია ჩართული (14), რაც ლოგიკურია ამ პროგრამაზე სტუდენტების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით (დაახლ. 350). თვალშისაცემია, რომ მხოლოდ ორი მათგანი ასწავლის ლიტერატურათმცოდნეობით კურსებს, ყველა დანარჩენი კი დატვირთულია ლინგვისტური კურსებით ან ინგლისური ენის პრაქტიკული კურსებით, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ენათმეცნიერულ კურსებს მეტი მნიშვნელობა ენიჭებათ ამ პროგრამაში.

<b>პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)</b>				
<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)</b>	<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი</b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სულ აკადემიური პერსონალი</b>	<b>43</b>	<b>20</b>	<b>20</b>	<b>14</b>
<b>- პროფესორი</b>	6	3	3	3
<b>- ასოცირებული პროფესორი</b>	23	10	10	10

- ასისტენტ-პროფესორი	3	1	1	1
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	11	6	6	-
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	-

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

გერმანული ფილოლოგიის პროგრამაზე ბალანსი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციების მქონე პირებს შორის დაცულია. თუმცა აფილირებულ პროფესორთა რაოდენობა უკიდურესად მცირეა (3), მით უფრო, რომ იგივე პერსონალი იქნება ჩართული ევროპული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის გერმანულ მოდულში.

<b>პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)</b>				
<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)</b>	<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი</b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სულ აკადემიური პერსონალი</b>	<b>29</b>	<b>12</b>	<b>7</b>	<b>3</b>
- პროფესორი	4	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	13	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	2	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	10	9	4	-
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	-

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა, პირველი საფეხური)**

რომანული ფილოლოგიის პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ანალიზის შედეგად თავი იჩინა მწვავე დისბალანსმა სამი სხვადასხვა (ფრანგული, იტალიური, ესპანური) ენისა და ლიტერატურის სპეციალისტების რაოდენობის მხრივ. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე 5 აფილირებული პროფესორიდან 4 არის ფრანგული ფილოლოგიის სპეციალისტი (მათგან მხოლოდ ერთია ფრანგული ლიტერატურის სპეციალისტი), 1 კი არის იტალიური ფილოლოგიის



(ლიტერატურის) სპეციალისტი. პროგრამაში ჩართული აფილირებული პერსონალის არც ერთი წარმომადგენელი არაა ესპანური ენის ანდა ლიტერატურის სპეციალისტი.

<b>პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)</b>				
<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)</b>	<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი</b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სულ აკადემიური პერსონალი</b>	<b>26</b>	<b>10</b>	<b>7</b>	<b>5</b>
- პროფესორი	4	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	11	3	3	3
- ასისტენტ-პროფესორი	5	1	1	1
- ასისტენტი	0	0	0	0
<b>მოწვეული პერსონალი</b>	<b>6</b>	<b>5</b>	<b>2</b>	<b>-</b>
<b>სამეცნიერო პერსონალი</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>-</b>

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

აფილირებული აკადემიური პერსონალი არათანაბრადაა განაწილებული სლავური ფილოლოგიის პროგრამაზე. პროგრამაში ჩართულ აფილირებულ პერსონალს (6) კვალიფიკაცია აქვს რუსულ ფილოლოგიაში (მათ შორის რუსული ლიტერატურის სპეციალისტი მხოლოდ ერთია). არც ერთი აფილირებული პროფესორი არ არის პროგრამაში წარმოდგენილი დანარჩენი ორი (პოლონური და უკრაინული) ენისა და ლიტერატურის მიმართულებით.

<b>პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)</b>				
<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)</b>	<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი</b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სულ აკადემიური პერსონალი</b>	<b>18</b>	<b>8</b>	<b>8</b>	<b>6</b>
- პროფესორი	3	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	10	4	4	4



- ასისტენტ-პროფესორი	3	1	1	1
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	2	2	2	-
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	-

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)**

თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალში თანაბრად გვხვდებიან ისტორიის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის სპეციალისტები, რითაც სრულად დაკმაყოფილდება თურქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით ცოდნის გაღრმავების სურვილის მქონე სტუდენტების საჭიროებები. აფილირებული აკადემიური პერსონალის ნაწილის რესურსი იხარჯება თურქული ენის პრაქტიკული კურსების სწავლებაზე.

<b>პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)</b>				
<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)</b>	<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი</b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სულ აკადემიური პერსონალი</b>	<b>22</b>	<b>11</b>	<b>10</b>	<b>8</b>
- პროფესორი	5	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	7	3	3	3
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	7	2	1	-
სამეცნიერო პერსონალი	1	1	1	-

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)**

თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალშიც თანაბრად გვხვდებიან ისტორიის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის. აფილირებულ პროფესორთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის რაოდენობასთან (5/12) სავსებით ადეკვატურია იმისთვის, რომ თითოეულ მაგისტრანტს სათანადოდ გაეწიოს ხელმძღვანელობა ნაშრომზე მუშაობისას.

<b>პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)</b>				
<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)</b>	<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი</b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სულ აკადემიური პერსონალი</b>	<b>11</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>5</b>
- პროფესორი	3	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	2	1	1	1
- ასისტენტი	0	0	0	0
<b>მოწვეული პერსონალი</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>-</b>
<b>სამეცნიერო პერსონალი</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>-</b>

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია), მეორე საფეხური)**

ევროპული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია რამდენიმე მიმართულების (ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიისა და ფრანგული ფილოლოგიის) აფილირებული აკადემიური პერსონალი. აფილირებულ პროფესორთა რაოდენობა საკმარისზე მეტია (20) იმისთვის, რომ მოემსახუროს 30-სტუდენტთან კონტინგენტს. თუმცა აკადემიური პერსონალის უდიდეს ნაწილს ინგლისური ენის მიმართულებით აქვს კვალიფიკაცია.

<b>პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)</b>				
<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)</b>	<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი</b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სულ აკადემიური პერსონალი</b>	<b>26</b>	<b>26</b>	<b>26</b>	<b>20</b>
- პროფესორი	6	6	6	6
- ასოცირებული პროფესორი	13	13	13	13
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1

- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	6	6	6	-
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	-

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)

თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია რამდენიმე მიმართულების (ინგლისური ფილოლოგიის, გერმანული ფილოლოგიისა და ფრანგული ფილოლოგიის) აფილირებული აკადემიური პერსონალი. აფილირებულ პროფესორთა რაოდენობა საკმარისზე მეტია (11) იმისთვის, რომ მოემსახუროს 20-სტუდენტთან კონტინგენტს. თუმცა აკადემიური პერსონალის უდიდეს ნაწილს ინგლისური ენის მიმართულებით აქვს კვალიფიკაცია, რის გამოც გერმანულ-ქართული და ფრანგულ-ქართული თარგმანით დაინტერესებულ სტუდენტთა საჭიროებები შეიძლება უგულებელყოფილი აღმოჩნდეს.

<b>პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)</b>				
<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)</b>	<b>პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი</b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სულ აკადემიური პერსონალი</b>	<b>14</b>	<b>14</b>	<b>11</b>	<b>11</b>
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	7	7	7	7
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	3	3	0	-
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის (მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალის, ასევე მაგისტრანტთა, დოქტორანტთა ხელმძღვანელების) დატვირთვის სქემა, რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც;

- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე/პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით;
- უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში პერსონალის შესახებ ასახული ინფორმაცია;
- პროგრამით გათვალისწინებულ მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე გამყვან სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტებში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი (მოქმედი პროგრამის შემთხვევაში)
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამების ხელმძღვანელთა ფუნქციები და პირადი საქმეები
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიმდინარე წლის დატვირთვა
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 16 აგვისტოს № 07-01/24 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“.
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“.
- პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები
- პროგრამის განმახორციელებელ პირთა ჩამონათვალები
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №2 გადაწყვეტილება - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N3 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 16 აგვისტოს №07-01/25 გადაწყვეტილება აკადემიური პერსონალის აფილირების, დატვირთვის და შრომის ანაზღ. გაცემის წესის დამტკიცება.
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №03 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი“.
- 2020 წლის 14 აგვისტოს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N03 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. იხ.
- პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები. [https://bsu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_9728\\_1.pdf](https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_9728_1.pdf)
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №05 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდი, ფაკულტეტის სიახლეები
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალზე დაკისრებული პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მოვალეობების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, შემცირდეს პროფესორ-მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვა იმგვარად, რომ მათ რჩებოდეთ დრო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის.
2. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველსაყოფად შესაბამისი რაოდენობის აკადემიური პერსონალით მნიშვნელოვანია, ბსუ-ში მოქმედებდეს აკადემიური პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის უფრო კონკრეტული მეთოდოლოგია, რომელიც აისახება შესაბამის წესში და რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება, თითოეულ პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელ და პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე აფილირებულ პროფესორთა რაოდენობა დაიგეგმოს სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად.
3. პროგრამის მდგრადობის ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია, ბსუ-მა სისტემატურად შეისწავლოს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებლები, გააანალიზოს ისინი და ანალიზის შედეგები გამოიყენოს პროგრამის მდგრადობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
4. მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ჩართული იყვნენ სტუდენტების კონსულტირებისა და პროგრამების შეფასების პროცესში იმგვარად, რომ მათ მიერ თავიანთ პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები ნაკარნახევი იყოს პროგრამების შეფასების ანალიზის შედეგებით.

#### კლასტერის საერთო რჩევები:

1. სასურველია, კონსულტაციები ტარდებოდეს ნაკლებად ფორმალიზებული სახით (ბრძანებისა და ცხრილის გარეშე) და კონსულტაციების ჩასატარებლად თითოეული პროფესორისთვის გამოყოფილი იყოს ინდივიდუალური ან საზიარო სამუშაო სივრცე.
2. სასურველია, პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვები არ იყოს ასე განსხვავებული ერთმანეთისგან და მეტად შეესაბამებოდეს საუნივერსიტეტო წესის მიხედვით განსაზღვრულ დატვირთვის სქემას.
3. სასურველია, აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი რაოდენობრივი მაჩვენებლები უფრო ზუსტი იყოს, სახელდობრ, სტუდენტების რაოდენობა დაანგარიშებული უნდა იყოს არა ჰიპოტეტური/სასურველი რაოდენობების, არამედ რეალური რაოდენობების გათვალისწინებით, ხოლო აკადემიური პერსონალის რაოდენობრივ მაჩვენებლებში უნდა აისახოს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი, რომელსაც პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი აქვს.
4. სასურველია, ბსუ-ის ადმინისტრაციას ჰქონდეს ხედვა წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებში აკადემიური პერსონალის ახალი კადრებით შევსების / ახალგაზრდა პროფესორთა დასაქმების სიხშირის შესახებ.

#### რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

### **პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

#### **რეკომენდაცი(ებ)ი:**

#### **რჩევ(ებ)ი:**

1. სასურველია, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალის რესურსი არ იხარჯებოდეს ენის პრაქტიკული კურსების სწავლებაზე.
2. სასურველია, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე დაცული იყოს რაოდენობრივი ბალანსი ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებების პროფესორებს შორის, რათა სტუდენტებს არ ჰქონდეთ შეზღუდვა თავიანთი საბაკალავრო ნაშრომებისთვის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევისას.

### **პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

#### **რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. გერმანული ფილოლოგიის პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ მასში ლიტერატურათმცოდნეობითი და ენათმეცნიერული კომპონენტების განხორციელებაში ჩართული იყოს მეტი აფილირებული პროფესორი.

#### **რჩევ(ებ)ი:**

### **პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

#### **რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. რომანული ფილოლოგიის პროგრამაში სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სამივე რომანული (ფრანგული, ესპანური და იტალიური) ენისა და ლიტერატურის მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი. ბალანსი დაცული უნდა იყოს როგორც სამივე ფილოლოგიის წარმომადგენელთა შორის, ისე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის.

#### **რჩევ(ებ)ი:**

### **პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

#### **რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. სლავური ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სამივე სლავური (რუსული, პოლონური და უკრაინული) ენისა და ლიტერატურის მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი. ბალანსი დაცული უნდა იყოს როგორც სამივე ფილოლოგიის წარმომადგენელთა შორის, ისე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის.

#### **რჩევ(ებ)ი:**

### **პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)**

#### **რეკომენდაცი(ებ)ი:**



**რჩევ(ებ)ი:**

1. სასურველია, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალის რესურსი არ იხარჯებოდეს ენის პრაქტიკული კურსების სწავლებაზე.

**პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. ევროპული ფილოლოგიის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში დაბალანსებულად იყოს ჩართული სამივე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ფილოლოგიის მიმართულებით აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი. ბალანსი დაცული უნდა იყოს როგორც სამივე ფილოლოგიის წარმომადგენელთა შორის, ისე ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელთა შორის.

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. თარგმანმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ მის განხორციელებაში ჩართული იყოს აფილირებული პერსონალი, რომლის კომპეტენციებიც უკავშირდება ლიტერატურულსა და დარგობრივ თარგმანს. დაცული უნდა იყოს ბალანსი ინგლისურ-ქართული, გერმანულ-ფრანგული, ფრანგულ-ქართული და რუსულ-ქართული თარგმანის სპეციალისტებს შორის.

**რჩევ(ებ)ი:**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 4 (სლაფური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუს ჩატარების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტებთან სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში. სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად და სამაგისტრო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრულია სამეცნიერო ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამასთანავე, სამაგისტრო პროგრამების შემუშავების პროცესში, სამუშაო ჯგუფის მიერ მოსმენილი იქნა ინფორმაცია (განათლება, კვალიფიკაცია, სამეცნიერო პუბლიკაციები, სამუშაო გამოცდილება და სხვა) სასწავლო/სამეცნიერო ან/და სხვა კომპონენტის განსახორციელებლად პერსონალის კომპეტენციის შესაბამისობის დადგენის მიზნით. როგორც აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, სამეცნიერო ხელმძღვანელები, ისევე როგორც პოტენციური თანახელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართულნი სამეცნიერო კვლევებში, მოპოვებული აქვთ სამეცნიერო გრანტები, აქტიურად მონაწილეობენ კონფერენციებში და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო სტატიები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)**



როგორც ექსპერტთა ვიზიტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ემსახურებიან მაღალკვალიფიციური კადრები. გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული პროგრამა ახალია, მას არ ჰყავს აქტიური სტუდენტები, შესაბამისად შეფასდა სამაგისტრო ნაშრომების პოტენციურ ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია, პროგრამის მომსახურე აკადემიური პერსონალის გამოცდილებაზე და კვალიფიკაციაზე დაყრდნობით. „თურქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს კონკურსის წესით არჩეული პროფესორები და მოწვეული მასწავლებლები. აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამის, ასევე შესაბამისი დოკუმენტაციისა და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა სტუდენტს სთავაზობს თავისი ინტერესების სფეროს შესაბამისად კვალიფიციური ხელმძღვანელის არჩევის შესაძლებლობას. ის ფაქტი, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის უმრავლესობა უნივერსიტეტთანაა აფილირებული, ასევე უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ჩართულობას მაგისტრანტთა კონსულტაციისა და კვლევის პროცესში. ხაზგასასმელია, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული თითოეული აკადემიური ხელმძღვანელი გამოირჩევა მდიდარი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილებით, რაც დასტურდება მათ მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებით, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობითა და სამეცნიერო კვლევით პროექტებში ჩართულობით (ბოლო 10 წლის განმავლობაში სამეცნიერო პერსონალი ჩართული იყო 40-მდე სამეცნიერო კვლევითი გრანტის განხორციელების პროცესში). რაკი პროგრამა ჯერ არ ამოქმედებულა, სტატისტიკური მონაცემები სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების შესახებ არ მოიპოვება.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (ევროპული ფილოლოგია (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია), მეორე საფეხური)

პროგრამა მოქმედებს 2005 წლიდან. საგანმანათლებლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალი აფილირებულია უნივერსიტეტთან. პროგრამაში ჩართული არიან შესაბამისი ცოდნის, უნარების, ღირებულებების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრები. უნივერსიტეტში აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე პერსონალის არჩევა ხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ბსუ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად, კონკურსის წესით, რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ. ევროპული ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული არიან შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესორ-მასწავლებლები. მოცემული პროგრამის ფარგლებში, როგორც ფოკუს ჯგუფებთან გასაუბრებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ მაგისტრანტს პროგრამა სთავაზობს მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელის არჩევის შესაძლებლობას, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს მაგისტრანტის მიერ კვლევითი პროცესის წარმატებით განხორციელებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შესრულებული თითოეული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება, რაც დასტურდება მათი რეზიუმეებით, სამეცნიერო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით (ჩართულობა კონფერენციებში, მონაწილეობა კვლევით გრანტებში, გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები), საერთაშორისო თუ ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით. სამაგისტრო ხელმძღვანელის მდიდარი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება საშუალებას აძლევს, სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს, გაეცნონ დარგში არსებულ სამეცნიერო სიახლეებს, საკვლევ პრობლემებსა და თანამედროვე მიღწევებს.

<b>პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)</b>			
<b>სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა</b>	<b>ნაშრომების ხელმძღვანელები</b>	<b>მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები<sup>6</sup></b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა</b>	<b>18</b>	<b>18</b>	<b>17</b>
- პროფესორი	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	7	7	7
- ასისტენტ-პროფესორი	6	6	6
მოწვეული პერსონალი	1	1	-
სამეცნიერო პერსონალი			-

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმშორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში “თარგმანმცოდნეობა და კულტურათმშორისი კომუნიკაცია” ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი სრულად პასუხობს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მოცემული პროგრამა მოქმედებს 2020 წლიდან და ამჟამად აკრედიტაციის პროცესშია. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო გამოცდილება, რაც დასტურდება მათი რეზიუმეებით, გამოქვეყნებული სახელმძღვანელოებითა და სამეცნიერო კვლევითი პუბლიკაციებით, იძლევა იმის საშუალებას ვამტკიცოთ, რომ მაგისტრანტი იღებს ყველა იმ აუცილებელ მხარდაჭერას, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მის მიერ დაწყებული კვლევითი პროცესის წარმატებით დასრულებას. ხაზგასასმელია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა აკადემიური პერსონალი ბსუ-სთანაა აფილირებული. აღნიშნული თავის მხრივ ხელს უწყობს სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაციის დამყარებასა და შენარჩუნებას, საკონსულტაციო პროცესის წარმატებით მიმდინარეობას და სტუდენტთა კვლევითი გამოცდილების ამაღლებას. ხაზგასასმელია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურადაა ასევე ჩართული დარგის აქტუალური საკითხების კვლევის პროცესში, რეგულარულად მონაწილეობენ სამეცნიერო სიახლეებისადმი მიძღვნილ კონფერენციებში, ტრენინგებში და კვლევით პროექტებში. რაკი პროგრამა ჯერ არ ამოქმედებულა, სტატისტიკური მონაცემები სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების შესახებ არ მოიპოვება.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

<sup>6</sup> საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამების აკადემიური პერსონალის რეზიუმეები;
- „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილება;
- მაგისტრანტებისა ხელმძღვანელების მიერ განხორციელებული კვლევების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ხელმძღვანელების პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტები, საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული მონოგრაფიები;
- ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილება N06-01/54;
- ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1** (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩე(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩე(ებ)ი:**

**პროგრამა 3** (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩე(ებ)ი:**

**პროგრამა 4** (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩე(ებ)ი:**

**პროგრამა 5** (თურქოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ):

რჩევ(ებ):

პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)

რეკომენდაცი(ებ):

რჩევ(ებ):

პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)

რეკომენდაცი(ებ):

რჩევ(ებ):

პროგრამა 8 (თარგმანმცდონეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)

რეკომენდაცი(ებ):

რჩევ(ებ):

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცდონეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

#### კლასტერული შეფასება

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომლის მიხედვითაც, ფასდება პროფესორ-მასწავლებელთა როგორც პედაგოგიური, ისე სამეცნიერო-კვლევითი და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობა. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიურად ხორციელდება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამებში ჩართული პერსონალის შეფასება. პერსონალის შეფასებების ერთ-ერთ მიგნებად დასახელდა, მაგალითად, კვლევაში მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ჩართულობის ნაკლებობა, რისი გამოსწორებაც იგეგმება უახლოეს მომავალში. ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თქმით, შეფასების შედეგებს ბსუ-ის ადმინისტრაცია ძირითადად ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კონკურსების დროს როგორც აკადემიური პერსონალის დაწინაურებისა და წახალისების მექანიზმს. მაგალითად, აქტიური ასისტენტ-პროფესორები დაწინაურდნენ ასოცირებულ პროფესორებად და დაინიშნენ პროგრამების ხელმძღვანელებად, რაც (ე.ი. ორი-სამი თანახელმძღვანელის ჩართულობა პროგრამის მართვაში) დადებითად ასახულა პროგრამების განვითარებაზე.

ერთ-ერთი აღმოჩენა, რომელიც აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგად გაკეთდა, უკავშირდება საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების ვალდებულებას. ეს ვალდებულება 2019 წლიდანაა დაწესებული, მაგრამ პერსონალის შეფასების ანალიზის შედეგად გამოაშკარავდა, რომ იგი ვერ სრულდება სათანადოდ. ამის საპასუხოდ, საერთაშორისო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების ხელშეწყობის მიზნით ბსუ-ში შემოიღეს წახალისების მექანიზმი. აკადემიური და მოწვეული პერსონალისგანაც ასევე შევიტყვეთ, რომ მათ მიერ მიცემული უკუკავშირის საფუძველზე რამდენიმე სასწავლო კურსი დაემატა ერთ-ერთ კურიკულუმს, შექმნილ იქნა სახელმძღვანელოები ერთ-ერთი კურსისთვის, სილაბუსში შემცირდა განსახილველი ტექსტების რაოდენობა.

პერსონალის კმაყოფილების საკვლევად გამოიყენება ელექტრონული პორტალი. ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ცნობით, კმაყოფილების კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აკადემიური პერსონალი ნაკლებად ყოფილა ინფორმირებული აკადემიური გაცვლის შესაძლებლობების შესახებ, რისი გათვალისწინებთაც ბსუ-ის ადმინისტრაციამ ჩაატარა საინფორმაციო ღონისძიებები, შედეგად კი კონკურსის მონაწილეთა რაოდენობა გაზრდილა 1,5-ჯერ. ეს რამდენიმე მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ ბსუ-ის ადმინისტრაცია გარკვეულწილად (სავარაუდოდ უმეტესად არაფორმალური უკუკავშირის ფორმატში) ანალიზებს და იყენებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და კმაყოფილების კვლევების შედეგებს, მათ შორის — აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. მაგალითად, გასული წლის დეკემბერში ჩატარებულა ტრენინგი სასწავლო პროცესში სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდების / საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ, მოგვიანებით კი შეთავაზებული ყოფილა ტრენინგი კურიკულუმის განვითარების და ხარისხის

უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ, რაც სავარაუდოდ კლასტერული აკრედიტაციისთვის სამზადისის ნაწილი იყო. დასახელდა ასევე საერთაშორისო ონლაინ-ტრენინგი თემაზე „Classroom Activities“, რომლის ხარჯებიც ბსუ-ის დაუფარავს. თუმცა სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი კითხვარებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის შეთავაზებულ ტრენინგებს შორის თემატური კავშირი ბუნდოვანია.

პროგრამებში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტში გამართული ღონისძიებების, საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობების / საგრანტო კონკურსებისა და აკადემიური მობილობის კონკურსების შესახებ პროფესორ-მასწავლებლებს ეგზავნებათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები. შესაბამისი ინფორმაცია თავსდება საუნივერსიტეტო ვებ-გვერდზეც. ინტერვიუებზე პროფესორ-მასწავლებლებმა ამგვარი ღონისძიების მაგალითად დაასახელეს ერაზმუსის პროგრამების პრეზენტაცია. დადასტურდა აკადემიური მობილობის შემთხვევებიც.

მართალია, ბსუ-ში პროფესორ-მასწავლებლებისთვის არაა გამოყოფილი ინდივიდუალური სამუშაო სივრცე სამეცნიერო კვლევის განსახორციელებლად, მაგრამ უნივერსიტეტში ამოქმედებულია *პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი*, რომლითაც განისაზღვრება აკადემიური მივლინების ხარჯების ანაზღაურების პირობები და მოცულობა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის ამგვარი ხარჯებისთვის გამოყოფილია 11 000 ლარი. ფინანსური რესურსების სიმწირის გამო სამივლინებო დაფინანსების მოსაპოვებლად ყოველ სემესტრში ცხადდება კონკურსი. ერთ-ერთმა რესპოდენტმა დადასტურა ამგვარ კონკურსში მონაწილეობის მიღებისა და ბსუ-ის მიერ მისთვის სამგზავრო და ცხოვრების ხარჯების ანაზღაურების ფაქტი. თუმცა აღმოჩნდა, რომ ბსუ ზღუდავს მივლინების ხანგრძლივობას (თვითდაფინანსების შემთხვევაშიც) წელიწადში 30 დღით, რაც შეიძლება იქცეს დაბრკოლებად პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისთვის.

პანდემიის დროს ბსუ-ის ადმინისტრაციამ თავისი პროფესორ-მასწავლებლებისთვის უზრუნველყო წვდომა Zoom-ის პლატფორმაზე. მომზადდა და პროფესორებს გაეგზავნათ მისი გამოყენების ინსტრუქცია. ინტერვიუებზე დადასტურდა პროფესორ-მასწავლებელთა კომპეტენტურობა ვიდეო-ლექციების ჩატარების მხრივ. ზოგ მათგანს გამოუყენებია თეთრი დაფის რესურსიც. თუმცა ელექტრონული სწავლება-სწავლის სხვა ხელსაწყოებისა და მეთოდების (მათ შორის შეფასების მეთოდების) შესახებ პროფესორ-მასწავლებლების უმრავლესობა არ აღმოჩნდა ინფორმირებული.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №060-1/92 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“.
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს № 06-01/91 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“.
- ბსუ აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის დაფინანსების 2019 წლის ზღვრული ოდენობების (ლიმიტის) დამტკიცების შესახებ
- პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი

- პერსონალის მივლინების ადმინისტრირების წესი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

1. მნიშვნელოვანია, აკადემიური პერსონალის შეფასება და კმაყოფილების კვლევა განხორციელდეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სამუშაო ჯგუფის მიერ იმგვარად, რომ წარმოჩნდეს პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კონკრეტული საჭიროებები.
2. კვლევის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად საჭიროა, შემცირდეს პროფესორთა აკადემიური დატვირთვა, მათთვის გამოიყოს სამუშაო სივრცე (კაბინეტები კომპიუტერული აღჭურვილობით) და მათ მიეცეთ შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად ისარგებლონ ხანგრძლივი (რამდენიმეთვიანი, ერთსემესტრიანი) აკადემიური მივლინებებით (ინგლ. sabbatical).
3. ბსუ-მა უნდა უზრუნველყოს თავისი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ შეძლონ, ჯეროვნად გაუძღვნონ სასწავლო პროცესს ონლაინ-ფორმატში.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

1. იმისთვის, რათა აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების გავლა არ გამოდგეს უშედეგო, სასურველია ბსუ-ს ჰქონდეს ტრენინგის შედეგად სასწავლო პროცესში განხორციელებული ცვლილებების მონიტორინგისა (და საჭიროების შემთხვევაში — წახალისების) მექანიზმი.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**  
**პროგრამა 5** (თურქოლოგია, პირველი საფეხური)  
**რეკომენდაცი(ებ)ი:**  
**რჩევ(ებ)ი:**  
**პროგრამა 6** (თურქოლოგია, მეორე საფეხური)  
**რეკომენდაცი(ებ)ი:**  
**რჩევ(ებ)ი:**  
**პროგრამა 7** (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)  
**რეკომენდაცი(ებ)ი:**  
**რჩევ(ებ)ი:**  
**პროგრამა 8** (თარგმანმცდონეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)  
**რეკომენდაცი(ებ)ი:**  
**რჩევ(ებ)ი:**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცდონეობა და კულტურათმორისი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>



კომუნიკაცია, მეორე საფეხური)				
------------------------------	--	--	--	--

#### 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

##### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

##### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი წარმართება ტრადიციული ტიპის, ფრონტალური ლექციის ჩასატარებლად გამოსადეგი საშუალო სიდიდის აუდიტორიებში. სასემინარო დისკუსიებისა და გუნდური სამუშაოსთვის ადეკვატური განლაგების მქონე ოთახები დათვალაიერების დროს არ ყოფილა შემჩნეული. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამების განვითარების მხრივ მნიშვნელოვანი მონაპოვარია ლინგაფონის კაბინეტი, რომელშიც თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ექნებათ სათარჯიმნო უნარ-ჩვევების გამომუშავება-დახვეწის შესაძლებლობა.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ასევე ბიბლიოთეკა, რომელშიც გამოყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი რამდენიმე სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკის შესახებ სტუდენტები ინფორმაციას იღებენ როგორც ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან საორიენტაციო შეხვედრაზე, ისე ლექტორებისგან. მაგრამ ბიბლიოთეკაში წიგნების მოძიება ერთობ მოუხერხებელია რამდენიმე პარალელური ბაზის არსებობის გამო. დათვალაიერებისას აღმოჩნდა, რომ სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურის დიდი ნაწილი მოიპოვება მხოლოდ ცალკეულ კომპიუტერებში ჩატვირთული ელექტრონული დოკუმენტის ფორმატში. ბიბლიოთეკის წარმომადგენელთა მტკიცებით, სასწავლო ლიტერატურის დიდი ნაწილი (რიდერები) ხელმისაწვდომია შესაბამისი კათედრების კაბინეტებში. ის, რომ საბიბლიოთეკო რესურსები არაა საკმარისი, დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრებაზეც, რაც მიანიშნებს საბიბლიოთეკო რესურსების განახლებისა და სისტემატიზაციის საჭიროებაზე. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია რამდენიმე საერთაშორისო ელექტრონული ბაზა (იხ. ქვემოთ), სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი არ იცნობენ და არ იყენებენ ამ ბაზებს. ეს მოცემულობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება იმით, რომ სასწავლო კურსებისთვის საჭირო ლიტერატურა ატვირთულია საუნივერსიტეტო პორტალზე და, ამრიგად, არის და პანდემიის დროსაც იყო ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის.

სტუდენტებისთვის თავისუფლად ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის შენობის დერეფნებში განთავსებული კომპიუტერები და სავარძლები, თუმცა მათი რაოდენობა ძალიან მწირია. სტუდენტების განკარგულებაშია ასევე ე.წ. „თავისუფალი სივრცე“ კაფეტერიასთან, თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლებად გამოსადეგი ჩანს გუნდური დავალებების ან ინდივიდუალური ნაშრომის მოსამზადებლად. კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახები უმეტესწილად დაკეტილია სტუდენტებისთვის. თუმცა საინფორმაციო რესურსებზე წვდომის ნაკლებობის ერთგვარ კომპენსაციას ემსახურება ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერები.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტისას დადასტურდა, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა უზრუნველყოფილია ტექნიკური და მატერიალური რესურსით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ კომფორტულ გარემოში. აუდიტორიები უზრუნველყოფილია საჭირო მოწყობილობებით (პროექტორით, კომპიუტერით). სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტში არსებული ისეთი ელექტრონული რესურსებით, როგორებიცაა: Web of Science, SCOPUS, ERIH PLUS, GOOGLE SCHOLAR). ბიბლიოთეკა მყუდრო და სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს ქმნის მუშაობისთვის.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტისას დადასტურდა, რომ „გერმანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია ტექნიკური და მატერიალური რესურსით. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ინტერნეტ ქსელში ჩართული მატერიალური რესურსი. უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამებს უზრუნველყოფს, აგრეთვე, საკონფერენციო დარბაზებით,

უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ ძირითად საერთაშორისო ბაზებთან:

- Elsevier - [www.elsevier.com](http://www.elsevier.com);
- sciencedirect- [www.sciencedirect.com](http://www.sciencedirect.com);
- Scopus - [www.scopus.com](http://www.scopus.com);
- EBSCO და სხვა.

ასევე, უნივერსიტეტს გააჩნია წვდომა კემბრიჯის სხვადასხვა მიმართულების ბაზებთან, ჩამონათვალი და მათზე ზოგადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებგვერდზე: <https://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-174/index.html>

ბიბლიოთეკა იყენებს მართვის ინტეგრირებულ სისტემებს “Open Biblio“ და “KOHA“, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს დისტანციურად მონახოს და დაჯავშნოს მისთვის საინტერესო რესურსი.

ბსუ, როგორც ორგანიზაცია, დარეგისტრირებულია EURAXESS-ის პორტალზე, შესაბამისად, უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიურ პირებს აქვთ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ EURAXESS ვებ. გვერდზე, რაც საშუალებას აძლევს მათ, რომ ჩაერთონ საერთაშორისო კონკურსებსა და პროექტებში, მოიპოვონ დაფინანსება.

გერმანული ფილოლოგიის პროგრამის სილაბუსებში მითითებული სასწავლო ლიტერატურა განთავსებულია ცენტრალიზებულ საბიბლიოთეკო კატალოგში. სასწავლო ლიტერატურის, რიდერების და სხვა მასალის მოპოვებას სტუდენტი შეძლებს აგრეთვე გერმანისტიკის დეპარტამენტის ბიბლიოთეკაში.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (რომანული ფილოლოგია (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა, პირველი საფეხური)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტისას დადასტურდა, რომ „რომანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია ტექნიკური და მატერიალური რესურსით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ კომფორტულ. აუდიტორიები უზრუნველყოფილია საჭირო მოწყობილობებით (პროექტორით, კომპიუტერით).

უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ ძირითად საერთაშორისო ბაზებთან:

- Elsevier - [www.elsevier.com](http://www.elsevier.com);
- sciencedirect- [www.sciencedirect.com](http://www.sciencedirect.com);
- Scopus - [www.scopus.com](http://www.scopus.com);
- EBSCO და სხვა.

ბიბლიოთეკა იყენებს მართვის ინტეგრირებულ სისტემებს “Open Biblio“ და “KOHA“, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს დისტანციურად მონახოს და დაჯავშნოს მისთვის საინტერესო რესურსი.

ბსუ, როგორც ორგანიზაცია, დარეგისტრირებულია EURAXESS-ის პორტალზე, შესაბამისად, უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიურ პირებს აქვთ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ EURAXESS ვებ. გვერდზე, რაც საშუალებას აძლევს მათ, რომ ჩაერთონ საერთაშორისო კონკურსებსა და პროექტებში, მოიპოვონ დაფინანსება.

სასწავლო ლიტერატურისა და სხვა მასალის მოპოვებას სტუდენტი შეძლებს აგრეთვე რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ბიბლიოთეკაში.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

სლავური ფილოლოგიის პროგრამის სილაბუსებში მითითებული სასწავლო ლიტერატურის ფაქტობრივად ვერც ერთი ერთეული ვერ მოიძებნა ვერც ერთ ცენტრალიზებულ საბიბლიოთეკო კატალოგში. თუმცა შესაბამისი რიდერები და მასალა ატვირთული აღმოჩნდა საუნივერსიტეტო პორტალზე შესაბამისი კურსების გვერდებზე. ამრიგად, სტუდენტებს არ ექმნებათ დაბრკოლება საჭირო საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომის მხრივ.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5** (თურქოლოგია, პირველი საფეხური)

ბსუ-ში ვიზიტისას დადასტურდა, რომ „თურქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია ტექნიკური და მატერიალური რესურსით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ კომფორტულ, სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოში. უნივერსიტეტის აუდიტორიები უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, პროექტორებით, ლინგაფონის და სინქრონული კაბინეტებით.

„თურქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დარგობრივი დეპარტამენტის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროგრამების სამუშაო და თვითშეფასების ჯგუფის წევრების მიერ გადამოწმებული იქნა საბიბლიოთეკო ფონდში განთავსებული სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. ამ ეტაპზე არსებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი საბიბლიოთეკო ფონდის ხელმისაწვდომობა მატერიალურადაც და ელექტრონულადაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ბსუ-ს წიგნადი ფონდი დარეგისტრირებულია პროექტში “ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - EIFL“ კონსორციუმის წევრად, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები: EBSCO Host (<http://search.epnet.com>), Cambridge University Journals (<http://journals.cambridge.org>), Oxford University Journals (<http://www.oxfordjournals.org>), Oxford Reference Online (<http://www.oxfordreference.com>), Elsevier [www.sciencedirect.com](http://www.sciencedirect.com) ან [www.scopus.com](http://www.scopus.com); ([Cambridge Journals Online](http://journals.cambridge.org)); Bio One Complete (<http://www.bioone.org>); -Duke Journals Scholarly Collection (<https://www.dukeupress.edu/>); - Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>); -IMEche Journals (<https://us.sagepub.com/en-us/nam/IMEche>); - IMF eLibrary (<http://www.elibrary.imf.org/?redirect=true>); - [New England Journal of Medicine](http://www.nejm.org/) (<http://www.nejm.org/>); - Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>); - SAGE Premier (<http://journals.sagepub.com/>); -Elsevier - [www.elsevier.com](http://www.elsevier.com); sciencedirect- [www.sciencedirect.com](http://www.sciencedirect.com); Scopus - [www.scopus.com](http://www.scopus.com). სტუდენტების ინფორმირებას არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ ახორციელებს უსდ-ს ბიბლიოთეკის პერსონალი. უნივერსიტეტის ვებგვერდზე [https://bsu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_5449\\_1.pdf](https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_5449_1.pdf) განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: [library@bsu.edu.ge](mailto:library@bsu.edu.ge) და მისამართი, უსდ-ს I კორპუსი მე-3 სართული.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უსდ ზრუნავს პროგრამის საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსების განახლებაზე.

პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად 2021 წელს უსდ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ბაზაზე შეიქმნა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“, რომელიც ღია წვდომისაა და ციტირებული და ინდექსირებულია ევროპულ ბაზებში. სულ გამოსულია ხუთი ტომი. ჟურნალში იბეჭდება ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ამ ჟურნალში სტუდენტებსაც შეუძლიათ დაბეჭდონ სტატიები. <https://openjournals.ge/index.php/hos>

ინტერვიუებზე აღინიშნა, რომ პანდემიის პერიოდში სასწავლო პროცესი დისტანციურ რეჟიმში ხორციელდებოდა ყოველგვარი ხარვეზის გარეშე. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილი იყო საჭირო სასწავლო რესურსით.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტისას დადასტურდა, რომ „თურქოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია ტექნიკური და მატერიალური რესურსით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ კომფორტულ, სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოში.

უნივერსიტეტის აუდიტორიები უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და პროექტორებით, ლინგაფონის და სინქრონის კაბინეტებით, სხვა საჭირო ტექნიკით.

„თურქოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დარგობრივი დეპარტამენტის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროგრამების სამუშაო და თვითშეფასების ჯგუფის წევრების მიერ გადამოწმებული იქნა საბიბლიოთეკო ფონდში განთავსებული სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. ამ ეტაპზე არსებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი საბიბლიოთეკო ფონდის ხელმისაწვდომობა მატერიალურადაც და ელექტრონულადაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ბსუ-ს წიგნადი ფონდი დარეგისტრირებულია პროექტში “ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - EIFL“ კონსორციუმის წევრად, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები: EBSCO Host (<http://search.epnet.com>), Cambridge University Journals (<http://journals.cambridge.org>), Oxford University Journals (<http://www.oxfordjournals.org>), Oxford Reference Online (<http://www.oxfordreference.com>), Elsevier [www.sciencedirect.com](http://www.sciencedirect.com) ან [www.scopus.com](http://www.scopus.com); ([Cambridge Journals Online](http://www.cambridgejournals.com)); Bio One Complete (<http://www.bioone.org/>); -Duke Journals Scholarly Collection (<https://www.dukeupress.edu/>); - Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>); -IMeche Journals (<https://us.sagepub.com/en-us/nam/IMEche>) ; - IMF eLibrary (<http://www.elibrary.imf.org/?redirect=true>) ; - [New England Journal of Medicine](http://www.nejm.org/) (<http://www.nejm.org/>) ; - Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>); - SAGE Premier (<http://journals.sagepub.com/>); -Elsevier - [www.elsevier.com](http://www.elsevier.com) ; sciencedirect- [www.sciencedirect.com](http://www.sciencedirect.com); Scopus - [www.scopus.com](http://www.scopus.com) . სტუდენტების ინფორმირებას არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ ახორციელებს უსდ-ს ბიბლიოთეკის პერსონალი. უნივერსიტეტის ვებგვერდზე [https://bsu.edu.ge/text\\_files/ge\\_file\\_5449\\_1.pdf](https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_5449_1.pdf) განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია: ელფოსტა: [library@bsu.edu.ge](mailto:library@bsu.edu.ge) და მისამართი, უსდ-ს I კორპუსი მე-3 სართული.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უსდ ზრუნავს პროგრამის საბიბლიოთეკო, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსების განახლებაზე.

პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად 2021 წელს უსდ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის ბაზაზე შეიქმნა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალი „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“, რომელიც ღია წვდომისაა და ციტირებული და ინდექსირებულია ევროპულ ბაზებში. სულ გამოსულია ხუთი ტომი. ჟურნალში იბეჭდება ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ამ ჟურნალში სტუდენტებსაც შეუძლიათ დაბეჭდონ სტატიები. <https://openjournals.ge/index.php/hos>

ინტერვიუებზე აღინიშნა, რომ პანდემიის პერიოდში სასწავლო პროცესი დისტანციურ რეჟიმში ხორციელდებოდა ყოველგვარი ხარვეზის გარეშე. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილი იყო საჭირო სასწავლო რესურსით.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ბსუ-ს თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. ინფორმაცია განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (ევროპული ფილოლოგია (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია), მეორე საფეხური)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტისას დადასტურდა, რომ „ევროპული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია ტექნიკური და მატერიალური რესურსით.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ კომფორტულ გარემოში. აუდიტორიები უზრუნველყოფილია საჭირო მოწყობილობებით (პროექტორით, კომპიუტერით).

უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ ძირითად საერთაშორისო ბაზებთან:

- Elsevier - [www.elsevier.com](http://www.elsevier.com);
- sciencedirect- [www.sciencedirect.com](http://www.sciencedirect.com);
- Scopus - [www.scopus.com](http://www.scopus.com);
- EBSCO და სხვა.

ასევე, უნივერსიტეტს გააჩნია წვდომა კემბრიჯის სხვადასხვა მიმართულების ბაზებთან, ჩამონათვალი და მათზე ზოგადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებგვერდზე: <https://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-174/index.html>

ბიბლიოთეკა იყენებს მართვის ინტეგრირებულ სისტემებს “Open Biblio“ და “KOHA“, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს დისტანციურად მონახოს და დაჯავშნოს მისთვის საინტერესო რესურსი.

ბსუ, როგორც ორგანიზაცია, დარეგისტრირებულია EURAXESS-ის პორტალზე, შესაბამისად, უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიურ პირებს აქვთ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ EURAXESS ვებ. გვერდზე, რაც საშუალებას აძლევს მათ, რომ ჩაერთონ საერთაშორისო კონკურსებსა და პროექტებში, მოიპოვონ დაფინანსება.

სასწავლო ლიტერატურისა და სხვა მასალის მოპოვებას სტუდენტი შეძლებს აგრეთვე ევროპეისტიკის დეპარტამენტის ბიბლიოთეკაში.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

ბსუ-ში ვიზიტისას დადასტურდა, რომ „ევროპული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამა მათ შორის მოდული „ფრანგული ფილოლოგია“ უზრუნველყოფილია ტექნიკური და მატერიალური რესურსით.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ კომფორტულ, სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოში. აუდიტორიები უზრუნველყოფილია საჭირო მოწყობილობებით (პროექტორით, კომპიუტერით).

უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ ძირითად საერთაშორისო ბაზებთან:

- Elsevier - [www.elsevier.com](http://www.elsevier.com);
- sciencedirect- [www.sciencedirect.com](http://www.sciencedirect.com);
- Scopus - [www.scopus.com](http://www.scopus.com);
- EBSCO და სხვა.

ბიბლიოთეკა იყენებს მართვის ინტეგრირებულ სისტემებს “Open Biblio“ და “KOHA“, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს დისტანციურად მონახოს და დაჯავშნოს მისთვის საინტერესო რესურსი.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი როგორც ორგანიზაცია, დარეგისტრირებულია EURAXESS-ის პორტალზე, შესაბამისად, უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიურ პირებს აქვთ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ EURAXESS ვებ. გვერდზე, რაც საშუალებას აძლევს მათ, რომ ჩაერთონ საერთაშორისო კონკურსებსა და პროექტებში, მოიპოვონ დაფინანსება.

სასწავლო ლიტერატურისა და სხვა მასალის მოპოვებას სტუდენტს შეუძლია აგრეთვე ევროპეისტიკის და ფრანგული ფილოლოგიის დეპარტამენტის ბიბლიოთეკაში.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8** (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტისას დადასტურდა, რომ „თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმორისი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია ტექნიკური და მატერიალური რესურსით.

უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები. უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამებს უზრუნველყოფს, აგრეთვე, საკონფერენციო დარბაზებით, პრაქტიკის ბაზებით, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით, ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსებით. აგრეთვე აღსანიშნავია, სპეციალიზირებული აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია სინქრონული თარგმანის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით.

უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ ძირითად საერთაშორისო ბაზებთან:

- Elsevier - [www.elsevier.com](http://www.elsevier.com);
- sciencedirect- [www.sciencedirect.com](http://www.sciencedirect.com);
- Scopus - [www.scopus.com](http://www.scopus.com);
- EBSCO და სხვა.

ასევე, უნივერსიტეტს გააჩნია წვდომა კემბრიჯის სხვადასხვა მიმართულების ბაზებთან, ჩამონათვალი და მათზე ზოგადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებგვერდზე: <https://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-174/index.html>

ბიბლიოთეკა იყენებს მართვის ინტეგრირებულ სისტემებს “Open Biblio“ და “KOHA“, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს დისტანციურად მონახოს და დაჯავშნოს მისთვის საინტერესო რესურსი.

ბსუ, როგორც ორგანიზაცია, დარეგისტრირებულია EURAXESS-ის პორტალზე, შესაბამისად, უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიურ პირებს აქვთ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ EURAXESS ვებ. გვერდზე, რაც საშუალებას აძლევს მათ, რომ ჩაერთონ საერთაშორისო კონკურსებსა და პროექტებში, მოიპოვონ დაფინანსება.

სასწავლო ლიტერატურისა და სხვა მასალის მოპოვებას სტუდენტი შეძლებს აგრეთვე ევროპეისტიკის დეპარტამენტის ბიბლიოთეკაში.



ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს მატერიალური და საინფორმაციო რესურსები
- ბსუ-ს ვებგვერდი
- ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრირების წესი
- ბსუ-ს ბიბლიოთეკის დებულება
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები.

#### კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები მიღწევის უზრუნველსაყოფად ბსუ-ის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს და საერთო ონლაინ-კატალოგში უნდა იქმნებოდეს სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო წყარო და სხვა სასწავლო მასალა.
2. იმისთვის, რათა ენის დაუფლების სფეროსთან დაკავშირებული ახალი და უახლესი სამეცნიერო კვლევის შედეგები გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად, ბსუ-მა უნდა უზრუნველჰქოს სტუდენტების ინფორმირება მათთვის ხელმისაწვდომი თანამედროვე სამეცნიერო პერიოდული გამოცემების, ციფრული რესურსებისა და საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ.

#### კლასტერის საერთო რჩევები:

1. სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით სასურველია, ტრადიციული ტიპის აუდიტორიებთან ერთად ენის სწავლების სფეროს საგანმანათლებლო პროგრამისთვის მოიპოვებოდეს სასემინარო ტიპის აუდიტორიები მერხების წრიული განლაგებით.
2. სასურველია, კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახები თავისუფლად ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

#### რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

**პროგრამა 1** (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 2** (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:



**რჩევ(ებ)ი:**  
**პროგრამა 3** (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)  
**რეკომენდაცი(ებ)ი:**  
**რჩევ(ებ)ი:**  
**პროგრამა 4** (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)  
**რეკომენდაცი(ებ)ი:**  
**რჩევ(ებ)ი:**  
**პროგრამა 5** (თურქოლოგია, პირველი საფეხური)  
**რეკომენდაცი(ებ)ი:**  
**რჩევ(ებ)ი:**  
**პროგრამა 6** (თურქოლოგია, მეორე საფეხური)  
**რეკომენდაცი(ებ)ი:**  
**რჩევ(ებ)ი:**  
**პროგრამა 7** (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)  
**რეკომენდაცი(ებ)ი:**  
**რჩევ(ებ)ი:**  
**პროგრამა 8** (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)  
**რეკომენდაცი(ებ)ი:**  
**რჩევ(ებ)ი:**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ევროპული ფილოლოგია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (თარგმანმცოდნეობა და კულტურათმორისი კომუნიკაცია, მეორე საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

#### კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტები სხვადასხვაგვარი პრინციპითაა შემუშავებული (იხ. ქვემოთ). თუმცა ყველა მათგანი გაწერილია საბაკალავრო პროგრამების შემთხვევაში ოთხ წელზე, ხოლო სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში ორ წელზე. თითოეული ბიუჯეტის დასაყრდენია სტუდენტთა ჰიპოტეტური / სასურველი (და არა ამჟამად რეალურად არსებულ) რაოდენობა. თუმცა რაკი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური არის თითოეული პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის ერთადერთი წყარო და რაკი შეუძლებელია, წინასწარ ვიცოდეთ, რამდენად სრულად შეივსება თითოეული პროგრამისთვის გათვალისწინებული ადგილები, პროგრამების ფინანსური მდგრადობის წინასწარი შეფასება შეუძლებელია. ამასთან, კლასტერში დაჯგუფებული ზოგი პროგრამა წამგებიანია და მათში ჩართული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება ხორციელდება საერთო საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან ბსუ-ის ადმინისტრაციის პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და აკადემიური პრიორიტეტების საფუძველზე. ამრიგად, ზოგი პროგრამის მდგრადობა სრულად დამოკიდებულია ბსუ-ის ადმინისტრაციის კეთილ ნებაზე. ეს ემჩნევა წარმოდგენილ ბიუჯეტებსაც, თუ დავაკვირდებით მათში პროფესორთა შრომის ანაზღაურებისთვის განკუთვნილი თანხების გადათამაშების ხარჯზე ჯამური მოგების ჩვენების ცდებს. სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა შრომის ანაზღაურება ზოგჯერ ხდება პროგრამის ბიუჯეტიდან, ზოგჯერ კი სავარაუდოდ — საერთო საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან, თუმცა ხარჯების ამგვარი განაწილების ლოგიკა ბუნდოვანი რჩება. მთლიანობაში რვავე პროგრამის ბიუჯეტი შეიძლება დახასიათდეს როგორც პირობითი ანდა სავარაუდო.

#### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ფილოლოგია, პირველი საფეხური)

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა ყველაზე მომგებიანი (მოგება შეადგენს 1 891 856 ლარს) პროგრამაა კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებს შორის. ამ პროგრამის სტუდენტთა რაოდენობა და მათ მიერ გადახდილი წლიური საფასურიც საკმარისია არა მხოლოდ მოწვეულ მასწავლებელთა შრომის ასანაზღაურებლად და პროგრამის განხორციელება-განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯების

(პროგრამის შემოსავლის 40%) დასაფარად, არამედ აკადემიური პერსონალისთვის სახელფასო სარგოს უზრუნველსაყოფადაც.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

გერმანული ფილოლოგიის პროგრამის ბიუჯეტი მომგებიანი ჩანს იმის ხარჯზე, რომ იგი სტუდენტთა ჰიპოტეტურ (40) რაოდენობაზე გათვლილი და მის (სწავლის ძირითად სფეროსთან დაკავშირებული კომპონენტის) განხორციელებაში რეალურად მხოლოდ 3 პროფესორია ჩართული. იდეალურ შემთხვევაში პროგრამის შემოსავალი საკმარისი უნდა იყოს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის შრომის ასანაზღაურებლად და არაპირდაპირი დანახარჯების დასაფარად. ბიუჯეტში მითითებული მოგების ოდენობა (105 041 ლარი) ამჟამინდელ მოცემულობაში სრულიად პირობითია.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (რომანული ფილოლოგია (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა, პირველი საფეხური)**

რომანული ფილოლოგიის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მხოლოდ (ერთი) ასისტენტ-პროფესორის შრომის ანაზღაურება. სრულ და ასოცირებულ პროფესორთა ხელფასის ანაზღაურება კი სავარაუდოდ საერთო საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან იგეგმება. ამგვარი გადანაწილებისა და სტუდენტთა ჰიპოტეტური რაოდენობის მითითებით ამ პროგრამის ბიუჯეტშიც ნავარაუდევია მოგება (216 000 ლარი).

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია, პირველი საფეხური)**

სტუდენტთა დაგეგმილი კონტინგენტის სრულად შევსების შემთხვევაში (40 სტუდენტი) სლავური ფილოლოგიის პროგრამის შემოსავლები საკმარისი იქნება მასში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სახელფასო ხარჯისა და პროგრამის არაპირდაპირი დანახარჯების დასაფარად. ლოგიკურია, რომ პროგრამის მოგება ძალიან მწირი გამოვა (53 623 ლარი).

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (თურქოლოგია, პირველი საფეხური)**

თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა გათვლილია 20 სტუდენტზე, სინამდვილეში კი ამჟამად ამ პროგრამაზე 50-მდე სტუდენტი სწავლობს. შემცირებული კონტინგენტის პირობებში პროგრამის შემოსავალი საკმარისია მხოლოდ სრული და ასისტენტ-პროფესორების, ასევე მოწვეული მასწავლებლების შრომის ასანაზღაურებლად და არაპირდაპირი ხარჯების დასაფარად. დარჩენილი მოგება ძალიან მწირია: 16 565 ლარი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (თურქოლოგია, მეორე საფეხური)**

თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაშიც გათვალისწინებულია მოსალოდნელი კონტინგენტის (12 სტუდენტი) ნახევრისგან (ე.ი. 6 სტუდენტისგან) მისაღები შემოსავალი. ბიუჯეტში ასახულია მხოლოდ სრული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორებისა და მოწვეული მასწავლებლების შრომის ასანაზღაურებლად და არაპირდაპირი ხარჯების დასაფარად განკუთვნილი ხარჯები. გაუგებარი რჩება, საიდან უნდა დაიფაროს ასოცირებულ პროფესორთა სახელფასო ხარჯი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7** (ევროპული ფილოლოგია (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია), მეორე საფეხური)

ევროპული ფილოლოგიის პროგრამის შემოსავალი, რომელიც 40 სტუდენტზეა გათვლილი, ფარავს მხოლოდ მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას. შედეგად, ამ ბიუჯეტში თითქოს მცირე მოგებაც რჩება: 81 550 ლარი.

